

ლიტერატურული გაზეთი

№3 (379) 14 - 27 თებერვალი 2025

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ლია სტურუა

ოთახი

რისი გეშინია?
ამ მორყეულმაგიდიანი ოთახის დატოვების?
რომელიც დაიღალა შენთან ურთიერთობით,
დაძაბულობით, იმპულსების ტრიალით,
როცა გეუბნებოდნენ: —

ცხელა შენს გვერდით!

ვილა გეტყვის? კი, იცი, მაგრამ
სიჩუმე მტერია, წნეხი კიდე შეგიძლია?
ვთქვათ, მყიფე დილებზე, აქედან სინათლე —
სიცხის უფრო წყნარი ვარიანტი,
ამასაც მოიხდენს, ბოლოს და ბოლოს,
შენი ოთახია,

შიშსაც კუთხეებისკენ გარეკავს,
ვილაცებს მოიყვანს, მაგ.
იმას, კუზი რომ ტკივა
და სახლიდან ვერ გამოდის,
სხვას, რომელსაც თავში

კარუსელები უტრიალებს,
უსახელო საგნებით გატენილ დემენციას,
ყვირილისგან პირგახეულ ონკოლოგიას?
დავინყებულები რეფრენი

„ცხელა შენს გვერდით“

ტკივილსაც უხდება, აკვდება ზედ...
და რა გენანება?
ეს მორყეულმაგიდიანი ოთახი?
ოფიციალურ ცხოვრებაში

კერძო საკუთრება,
არადა, ერთი დალილილი ოთახი,
დაღონებულიც კი, თუ ამჩნევ...

II



ვასილ ბესელია

ქალი

ჩემი კაბინეტის ფანჯარა გადიოდა პატარა მოედანზე,
რომლითაც დაღმართზე ჩამომავალი ორი ვიწრო ქუჩა
ერთდებოდა და ერთ ფართოქუჩადქცეული ქვემოთ, სან-
აპიროსკენ, მიემართებოდა. მოედნის მარჯვენა მხარეს,
ქუჩების შესაყარზე, ლამფებით შეჭედილი მაგიდა იდგა,
რომელსაც ცალ მხარეს გრძელი სკამი გასდევდა... ეს გა-
ჩორკნილი მერხი ღარებიანი პლასტიკატის ფურცლით
იყო გადახურული.

მოედნიდან მტკვრისკენ ჩამავალი ფართო ქუჩის გა-
დაღმა ორი დაწესებულება იყო. ერთი — ზუსტად ჩემი
კაბინეტის წინ, ფირნიში აქედანაც რომ კარგად იკითხე-
ბოდა, მეორე — უფრო ქვემოთ, აქედან წარწერას ვერ გა-
არჩევდი.

ზუსტად ათ საათზე დარეკავდა ჩემი საათი, ჭამის დრ-
ოს მამცნობდა. ავდგებოდი, ჩავკეტავდი კარს, დავდგებ-
ოდი ფანჯარასთან და უგემურად შევექცეოდი შავი პურ-
ისა და ცხიმოხდილი ყველის ბუტერბროდს. თან „ბორჯ-
ომს“ ვაყოლებდი, ყელზე რომ არ დამდგომოდა. საათის
დარეკვა და ქუჩის გადაღმა ზედა, მოპირდაპირე, დაწესე-
ბულებიდან კაცის გამოსვლა ერთი იყო. მოუკიდებდა სი-
გარეტს და მერხზე ჯდებოდა. შორიდან ვიცნობდი ამ პე-
რსონას, დაწესებულების უფროსის მოადგილედ მუშაობ-
და. გენო ერქვა, ასე, ორმოცდახუთი-ორმოცდაათი წლის
იქნებოდა.

დაახლოებით ხუთ წუთში მოედნისკენ დაღმართზე
ჩამომავალი ქუჩით მობრძანდებოდა ახალგაზრდა ქალ-
ბატონი, რომელიც ქვედა დაწესებულებაში მუშაობდა.
სამსახურს იქაც ცხრა საათზე იწყებდნენ, მაგრამ, როგო-
რც ჩანს, ამ ლამაზმანს შეღავათი ეკუთვნოდა. გენო ისე
მოხერხებულად ჯდებოდა და ქალს გამოჩენიდან შენობა-
ში შესვლამდე ისე აყოლებდა თვალს, თავის შებრუნება
თითქმის არ სჭირდებოდა.

ქალი კი ანგელოზს ჰგავდა. მუდამ კაბიანი დადიოდა.
შარვალში არ მინახავს. მოკლე კაბებს იცვამდა. იცოდა
საკუთარი სწორი და თეთრი ფეხების ფასი. მხარზე ჩანთა
ეკიდა. მაღალ მკერდს თვალს ვერ მოარიდებდი. სამოსიც
ისე ჰქონდა მორგებული, მისი იდეალური ფიგურის ყვე-
ლა ნიუანსს ხაზს უსვამდა. მოდიოდა და მშვენიერების
ნიაღვარი მოჰყვებოდა. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებ-
ის პაკიპუკით თავდახრილი ჩაუვლიდა მერხს... თავი არა-
სოდეს აუწევია და სკამზე მჯდომი კაცისკენ არასოდეს
გაუხედავს. მეჩვენებოდა, რომ საერთოდ ვერ ამჩნევდა.
კაცი კი, გაბრუნებული და მონუსხული, სიგარეტს სიგარე-
ტზე ეწეოდა. ასე ხდებოდა ყოველდღე.

ღილით დავირტყამდი ინსულინის ნემსს. ათზე დარეკა-
ვდა საათი. ვეცემოდი კარადას, დავიჭერდი ხელში „ბორ-
ჯომსა“ და ბუტერბროდს, დავდგებოდი ფანჯარასთან და
გამოვიდოდა კიდეც გენო. ცოტა ხანში ავხედავდი მეტრ-
ოდან ჩამომავალ ქუჩას და მობრძანდებოდა ის ქალმე-
რთი, მოდიოდა და, მზიან დღეშიც კი, მოედანს სინათლე
ემატებოდა. შევიდოდა თუ არა ქალი შენობაში, კაციც
უცებ გაქრებოდა.

იმ საღამოს მეგობარმა დამირეკა, ბიჭო, გენო მომკვ-
დარაო. გუშინ, ვერ ვარ კარგადო და სამსახურიდან ადრე
წასულა, დაუძინია და ძილში გაპარულა.

ძალიან შევწუხდი.

შაბათ-კვირა დაემთხვა.

ორშაბათს ისევ დარეკა ჩემმა საათმა. ფანჯარასთან
დავდექი გულმონურული.

მოდიოდა.

ოღონდ ქუჩა არ ჩახჩახებდა! სადღა იყო ის ჯეირანივ-
ით ლამაზი და ამაყი ქალი. მოთენთილი, მოშვეებული მოა-
ბიჯებდა. ცარიელ მერხს როცა გაუსწორდა, ვიგრძენი,
რა აუცილებელი იყო, იქ გენო მჯდარიყო. როგორ სჭირდ-
ებოდა ამ ქალს ის აღმაფრენა, რაც მის გარეგნობას ასე
ღვთაებრივსა და უნაკლოს ხდიდა. სრულყოფილების ის
ბუნებრივი ზეიმი, რასაც ყოველდღე უნებლიეთ ვესწრე-
ბოდი, გაქრა! დამთავრდა იდუმალების ამოუცნობი ქარა-
გმა.

წვიმების სეზონი დაიწყო.

ფანჯარას არ ვეკარებოდი.

წავიდაო ის ქალი.

...მერე არასოდეს მინახავს...

II-III

რაულ ჩილაჩავა

მზეს,
ბურუსიდან ამოშავალს,
აქვს შენი სახე!..

ეს ნოემბერი, უცნაურად ცივი და მკაცრი,
ყვითელ ტყისპირებს მიუყვება,

როგორც ეგერი.

დღე იცვამს სამოსს,

სიფრიფანა ნისლით შეკერილს
და დილის ლოშქრი არეშარეს აცრის და აცრის.
აქ სიმშვიდეა. უფლის თვალი მდარაჯობს...

ჭრელი
ფოთლები უკვე გააფრინეს ქარებმა... ქარებს
რა ენაღვლებათ, შეაღებენ დეკემბრის კარებს
და უმასპინძლებთ საშობაო მონეტის მჭრელი.
გახსოვს,

ამ ზღაპრის ერთად ნახვა რომ შეგთავაზე!
არ ჩამოხვედი!.. თუმცა გვიანი არაა ჯერაც
პეპლების მსგავსად

სულ პირველი ფიფქების ჭერა,
და მერე სიყრმის გახსენება ფინჯან ყავაზე.
როცა რიჟრაჟი ახლოვდება,

მე სარკმელს ვაღებ,
თითქოს სინათლეს ოქროს ეტლით

შენ მოაცილებ
და მერამდენედ სასწაულის ვარ მონანილე:
მზეს, ბურუსიდან ამოშავალს, აქვს შენი სახე!

III-V





პათეტიკური

ზაფხული. მახვილი სინათლეზე!
მზეზე სამი ძახილის ნიშანი!
საგანს როგორ ასულიერებენ?
მაგ. ვაშლს? კურკებს ამოუღებენ
და შიგ ფუტკარს, ან ბელურას ჩაუსვამენ?
ღმერთს ხომ სამოთხე ვაძლითაც უყვარს,
ანუ ჩემი ცნობისმოყვარეობით,
რომელიც გრძელდება, ინელება
იმ პატარა აპოკრიფამდე,
სიყვარული რომ მასწავლა,
ჯიუტი ნექნებიდან კაცები მაკეთებინა
(ტვინი უკულმა)
ბიბლია ის პოეზიაა, ამასაც აიტანს,
სიყვარულის მონატრებასაც,
როცა ბერდები, როგორ გამოხატავ?
ალისფერი სპაზმებით სიტყვაში, მაგრამ
ვილას უნდა ცეცხლისმყლაპავი გიჟი,
ანუ თვითნაკეთი ცირკი
ხალხის გასართობად?
„ხალხი“ — ლოზუნგების პირველი სიტყვა,
„გიჟი“ — სქოლიოსი.
არ ხედავენ ერთმანეთს, არ ეხებიან,
რა აქვთ საერთო?
მკერდზე ხელმიდებული პათოსი?
მრავლობითი რიცხვის კუთრი წონა?
თუ მარტო სისხლი,
ან ისე რა ლექსში
მზეზე სამი ძახილის ნიშანი?


სიტყვა რაა?

ვერ გამოდიხარ ძილიდან წყნარი,
მენდელეევის ტაბულა კი დაახარჯე.
მზე ჯერ ისევ უხვია,
დროს გიტოვებს ზამთრის მომჭირნეობამდე,
როცა თვითეშპარობის კედელს ეფარები,
მონოსპექტაკლებს, უპასუხო რიტორიკას...
სიტყვით შესაბამისობა შენი საქმეა:
ტექნიკა ისწავლე, იმპულსების გადაფარვა
სარეკლამო პაუზით.
მარტოობის სახელმძღვანელო
რომ არსებობდეს, განმარტავდა,
რატომ უნდა მოგინდეს
გარეთ გასვლა ფანჯრიდან
(ფანჯარა უფრო ახლოა ცასთან,
ვიდრე კარები?)
რომ არ მოგინდეს,
ადექი და ილაპარაკე, ილაპარაკე,
თუნდაც იმიტომ, რომ
ლაპარაკი ვერტიკალური სტიქიაა,
შენს შემთხვევაში, სევდიანი ხაზი
ქვევიდან ზევით,
რალაც გაუგებარი ნასკვები ყელში...
სიტყვა რაა? ურთიერთობის საშუალება
ვინმე მეორესთან, მესამესთან, მეათესთან
რეალურებთან? წარმოსახვითებთან?
მთავარია, რომელ ვინ-მე-შიც მე ჭარბობს,
იმან მოგისმინოს, დაგინახოს
ჩვეულებრივი შენ კი არა,
შენ, ზღარბით ყელში!
ნეტა, მერამდენე ზღარბის მერე
ინყება პოეზია?

მე და შენ!
შუაში მუხტები დარბიან,
ელექტრობა, მესამე პირი, ცოცხალი:
ან მოგვკლავს, ან მიგვანებებს ერთმანეთს,
მიგვაშტერებს...
— მუსიკა! არის!
ოლონდ, არა მელოდია
მომრგვალებული ხელების ქვეშიდან,
ტექნიკური, მკვეთრი თითები
მუსიკის ნერვს აქუცმაცებენ
(სასჯელი ჩემს ურითმობისთვის?)
სახლი არის და არც არის —
მიზიდულობის კანონი, მოხარშული
შეუძლებლობიან — ჩემიანად
და კიდევ უფრო,
ხელისგულებში შემწვარი საკვები,
ერთჯერადი, მეტს ტკივილი აღარ ეყოფა,
არც ვერბალური ძალადობა,
თუ თავგამეტებული ხალხის ამბავი?
ვისაც ჩვენი ტვინი აქვს ნაჭამი,
აქედან მუხტები, რომელთა „უკულმა“ სიმშვიდეა,
მაგრამ ქრონოლოგია უკულმა?
ნაცნობები, მეზობლები, ნათესავები,
წაღმა მხარეს რომ იპრიალებენ,
მოგვეშველებიან, ყველა დამწვრობაზე
წყალს დაგვასხამენ,
მოვლენ, ჩაგვაქრობენ...

არაფერი ახალი ამ მზის ქვეშ

ნერდი, კითხულობდი, გიყვარდა, იყავი,
აბრეშუმისგან მკაცრი ძაფით შეკერილი,
ქსოვილად ვერ ივარგე, ვერც ბავშვად,
ყველა გვირისტი გტკიოდა
გახევამდე, სისხლის გამოჩენამდე,
კიბეებიც სისხლით მოდიოდნენ
და არა ხალიჩით, იქამდეც რა?
მხატვრული ხერხების სახელმძღვანელო,
ემოცია ენის წვერზე,
ფილოლოგიის ფაკულტეტი ზურგს უკან?
დაიცავი ხარისხი,
კათედრების ციხე-კოშკში იცხოვრე!
თავთან გუმბათი დაიმრგვალე,
ფეხებთან — ფიანდაზი,
ხალიჩის სინონიმი
ოლონდ, ლექსიკონის მოტკბილო-მოყალბო
ადგილებიდან, თითქოს...
კიბეები სისხლით მოდიან, ან ხალიჩით,
პირველი უფრო ემოციისაა, მეორე — სტატუსის,
ნამალი — ძილი!
იცი, რა სამშობლოებია საბნის ქვეშ,
ბუების თავშესაფარში?
კი, ეს ქვეყანა ტოროლებისაა,
გამოზომილად მოქმედებენ,
წკრიალის განრიგიც კი აქვთ,
რომელმაც ძალიან თუ მოგიჭირა,
შეიძლება აქედან ანარქიაც გამოიყვანო:
კონფლიქტები, ქაოსი, ანტისამყარო,
შენც იქვე, სადმე, მიხორცებული სიტყვასთან,
და ყველაფერი ამაო...



ტრასის გასწვრივ, მეტალობაზის მავთულბადით შე-
მოღობილ ეზოში, ბეტონის შპალებზე შემონყობილი არ-
მატურის შტაბელების ქვეშ, ირლანდიურმა სეტერმა,
დესიმ, ლეკვები დაყარა.
გზის პირას, მზის გულზე, ინვა წინა თათებში თავჩაყო-
ფილი. ლურწკიანი ენა გადმოეგდო. უცებ ტკივილი იგ-
რძნო და მიხვდა, მუცელში ლეკვები წრიალებდნენ. კვნე-
სით წამოდგა, ბანცალ-ბანცალით გადაიარა ამომშრალი
არხი, მავთულბადის ლობეში გამობდღვნილ ადგილს მიაგ-
ნო, გაიზნიქა და საწყობის ეზოში შეძვრა. მავთულების
გაჩაჩხულმა წვეტებმა ზურგი დაუკანრა, მაგრამ მუცლის
გვერდამ ყველანაირი ტკივილის შეგრძნება გადაფარა...
ექვსი ლეკვი აფუთფუთდა და ძუძუს დაუნყო ძებნა.
ჯერ დატრიალდა ძუქნა, მერე ნელ-ნელა ჩაიმუხლა, მოი-
კაკვა და შვილებს მიუწეა.
ხუთი დღე არხის პირას ეგდო და პატრონს ელოდებო-
და. როგორ დამტოვებდა ასე უმადურადო, ფიქრობდა.
როცა მანქანის უკანა კარებში შეხტომა ანიშნა, კი გაუჭი-
რდა, მაგრამ მაინც ხალისიანად შეასრულა ბრძანება, ასე-
თებს შეჩვეული იყო, მაგრამ აქ, ამ ხვატში, გავარვარებ-
ულ ასფალტზე რატომ ჩამოსვა, რატომ უთხრა — „ჩადი“,
რა სანადირო ჭალა და სოიოს ყანები აქ იყო...
ბოლო ერთი წელი მოეშვა. ასაკი დაეტყო. სიოც კი აბა-
ნდალებდა და თავს ვერ იმაგრებდა. ბალანიც ნელ-ნელა
გაუცვდა და გაუხუნდა. სადღა იყო ყავისფერი აბრეშუმ-
ის სამოსი!
დაღოღავდნენ ლეკვები. ძუძუს ვერ აგნებდნენ. რომც
მიეგნოთ, წვეთი რძე არ ჰქონდა ხუთი დღის წამიმძლარ
ძუქნას. დილით ვილაც მაღლიანმა გამხმარი პურის ნატეხი
დაუგდო. დესიმ უნდოდ დასუნა ობმოკიდებული ლუქმა,
მერე თათებში მოიმწყვდია და გალოკა. შიმშილმა დაძლია,
თორემ ხმელა პური არასოდეს უჭამია. ამ ბოლოს კბილე-
ბიც მოერღვა და მოუფამფალდა, ძვალისვით გამაგრებულ
პურს ვერაფერი მოუხერხა და ლოკვა მიატოვა. ბოლო
ხანებში პატრონი რძისა და ორცხობილას ფუჩხოლით
კვებავდა. ახლა ეს ნაფოტივით პური ჯოჯოხეთის ქვასავ-
ით მძიმე იყო... სწყუროდა. გადახრუკულ-გადატრუსუ-
ლიყო მეტალობაზის ეზო. ჟანგიაწი არმატურები სხიოდა.
იქით, არხს გაღმა, გავარვარებულ ასფალტს ოხშივარი
ასდიოდა. აქეთობისას მდინარეს კი მოჰკრა თვალი ჯიპ-
ის ფანჯრიდან, მაგრამ ის კაი შორს დარჩა და იქამდე ვერ
მიაღწევდა. იქნებ ვერც მიეგნო, ბოლოს გეში და გუმანიც
ლალატობდა.
უცებ წამოვარდა. შვილებს დახედა და სათითაოდ გა-
ლოკა. ერთი არ მოძრაობდა. სიკვდილის სუნი ეცა. გაშეშე-
ბულ ლეკვს პირი დაავლო და შტაბელებიდან გამოცოცდა.
შემოუარა ეზოს. კუთხეში, ქამენიებისა და ანწლების ზვია-
რში, შეძვრა, ერთი ხელისდადება მოტიტვლებული ადგი-
ლი შეარჩია და თათებით მომცრო ორმო ამოთხარა. ჩაას-
ვენა ახალშობილი და მიწა მიაყარა. კარგა ხანი დამტერე-
ბოდა საფლავს, მერე მუცელზე დანვა და ბორცვს თავი
დაადო.
იქ, არმატურების ქვეშ, შიმშილით დაოსებული ხუთი
ლეკვი ელოდა. დაფეთებული წამოვარდა და შვილებისაკ-
ენ წაძუნძულდა. პირი უშრებოდა, ენა უხმებოდა, კუჭში
სულისმოსათქმელად ხეცა არ ჩასვლოდა, წყურვილი ხომ
ცეცხლს უკიდებდა ისედაც გამხმარსა და სიცოცხლეგა-
ბეზრებულს...
რა დროს ჩემი მაკეობა იყო, ფიქრობდა დესი, უცებ ის
გაახსენდა, მეზობლის კოკერ-სპანიელს, მის მუდმივ პარტ-
ნიორს, ყოველი ახურებისას ერთად რომ დაამწყვდედ-
ნენ ხოლმე შემოლობილში... ო, რა ტკბილი იყო ის დღეები,
როგორ ტრიალებდნენ ერთმანეთზე გადაბმულები და
სიყვარულისგან გამოლენჩებული თვალებით შესციცინე-

ბდენე ერთმანეთს... რა უცებ დაბერდა. ბოლოს სპანიელმა-ც ერთი დასუნა და ზურგი შეაქცია. სიკვდილი ინატრად დესიმ, თუმცა თავსაც გამოუტყდა, არც თვითონ იყო სასიყვარულო რიტუალის ხასიათზე. საკუთარ სხეულს თვითონაც ამრეზით დაჰყურებდა და ახალგაზრდა ხვადს რა გაემტყუნებოდა, ვის უნდოდა ბალანგაქუცული და ყნოსვადაკარგული ბებრუხანა! ის უჯიშო და შეუხედავი დვარნიაშკა მაინც საიდან გამოტყვრა, ან ეზოში როგორ შემოძვრა, რა ესაქმებოდა ჩემთან, ირლანდიელ არისტოკრატთან, ამ უსახლკარო ცხოველს... თითქმის ჩამქრალსა და გადაგრილებულს რა ძუძუები მისრისა, რა მენახუნა და მლოკა და ჩვილივით დამკბინა, რა ჟრუანტელის ნაკვერჩხლები დამაყარა, სპანიელისგანაც კი არასოდეს მიგრძნია სასიყვარულო ვულკანის ამნაირი ამოფრქვევა... ამახურა ისევ იმ ჩემი ცოდვის საცემე, გამასულელა და ამამჩატა ეს გადახრეული მდედრი და ვერაფრით ვიპატიე ჩემი მოფამფალებული და სველი საშო! აჰა, ინვალე ახლა, ჩემი თავი ჯანდაბას, ამ ლეკვებს რა ვუყო, მობრძანდეს ახლა ის დვარნიაშკა და მიხედოს შვილებს!

დესი არმატურებიდან გამოძვრა. რადაც უნდა დაჯდომოდა, საკვები უნდა ემოვნა, წყალი უნდა დაელია, ძუძუებში რძე უნდა ჩაეყენებინა. ეზოს შუაგულში პატარა შენობა იდგა. დერეფანში შევიდა და კარლია ოთახში შეიხედა.

— გადი, ძაღლო, აქედან, ვინ დაგსვა, ვინ დაიღო შენი ცოდვა, ვერ გაცალა სიკვდილი?

— ბიჭო, ირლანდიური სეტურია, ბებერია საწყალი, მოიშორა, ალბათ, პატრონმა, დაუგდე პური, ცოდვას!

დესიმ ოდნავ გააქიცილა კუდი.

— ებიჭო, გადმომიგდე, თუ მაძლევ!

— არ გვექონია პური, რა გიყო, ქალბატონო!

— გადი, ძაღლო, გარეთ, რას ჰგავს ეს უპატრონო!

დესიმ კუდი ამოიძუა. სიკვდილი ერჩივნა ახლა იმედგაცრუებას. ეგებ ეს პურიც ვერ გაელეჭა, მაგრამ გალოკავდა მაინც, რძის მოსაყვანად ყველაფერი უნდა ელონა. „წყალი“, „წყალი“, ყვიროდა გულში, მაგრამ ვინ იყო ან წყლის მიმწოდებელი, ვის ესმოდა მისი ყვირილი, თორემ ეგებ წყალი მართლა არ დანახებოდათ...

ისევ ტრასაზე გავალო, იფიქრა. გზის მეორე მხარეს, მაღაზიასთან, მშვიდი დვარნიაშკები ირეოდნენ; იცოდა დესიმ, ადგილობრივი ძაღლები იქ არაფერს არგუნებდნენ, არც გასაყოფსა და გასამეტებელს ელოდა რამეს, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, ბედი უნდა ეცადა. კარგა ხანს იყურყუტა მაღაზიის წინ. შიგნითაც შეიხედა. მოულოდნელად ნოქარი გარეთ გამოვიდა, ერთი „ბუხანკა“ პური დაამტვრია და ძაღლებს გადაუყარა. თითქმის ყველა ლუკმა ჰაერში დაიჭირეს, მინაზე დაყრილები კი თვალსა და ხელს შუა ანაპნეს ღონეგამოლეულ დესის. აფსუს, სიბერევე, პურის ნატეხი კი არა, რამდენჯერ აფრენილი მწყერი დაუჭერია ჰაერში, რამდენ ფრთამომსხვერეულ იხეს ცურვით დადევნებია უჩაღელეს ლაქაშებში... რამდენ ხანს მდგარა სამ ფეხზე განაბული გლერტაბალახით აბიზინებულ მინდორში და ლანდივით აჰყოლია ჰაერში ქონმოლეულ გნოლებს...

ისევ არმატურებისკენ ნაძუნძულდა. ლეკვები ერთმანეთს ეხუტებოდნენ და თითქოს ფრუტუნებდნენ, არაბუნებრივ ხმებს გამოსცემდნენ.

„რა გამხდრებია, ამათ რა გადაარჩენს!“

ორი მათგანი არ მოენონა. დრუნჩი დაადო, თითქოს სიციხეს უზომავდა. მერე თათით გადააგორ-გადმოაგორა.

„ამათაც სიკვდილის სუნი უდით!“

ორივე ერთად აიყვანა პირით და ისევ სარეველების ზვიარში შეძვრა. ძველი სამარის გვერდით უფრო დიდი ორმო ამოთხარა, ლეკვები შიგ ჩაალაგა და მინით დაფარა. მიუნვა საფლავს და ბორცვს თავი დაადო. თვალებიდან ცრემლების ორი ზოლი ყვრიმალებს ჩამოჰყვა და ნიკაპის ქვეშ შეერთდა...

გინახავთ როგორ ტირიან ძაღლები?

მაშინ ბავშვი ვიყავი. ერთი გიშერა გვყავდა. ძალიან საყვარელი დვარნიაშკა. დაეჩვია წინილების ქამას. ყოველდღე გვეკარგებოდა ოჩხოტუები. ვერც დაბმამ უშველა, ვერც ცემაზე, არ დაადგა საშველი, ვერ მოიშალა უზნეობა. ბოლოს, როცა ოთხი ყვინჩილა ერთ ნუთში გაბდღვნა, უნდა მოვკლაო, ბაბუამ, ეზოს ბოლოში ლეღვის ხეზე მიაბა და თოფი დაუმიზნა. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ტრიალებდა ძაღლი ხის ირგვლივ და ლეღვის ტანს ეფარებოდა. ბოლოს ბაბუას მიაშტერდა და ატირდა. ლაპალუპით ჩამოდიოდა ცრემლები.

— იგუმანა, ბაბუ, ხედავ? ეშინია სიკვდილის, აწი აგი ქათამს პირს არ დააკარებს!

— მართლა კლავდი, ბაბუ?

— არა, ბაბუ, ძაღლს რავა მოვკლავ. როცა ცემა არ გაჭრის, მოკვლით უნდა შეაშინო, ასეა ნათქვამი ძველებსგან. თან ყველაფერი ისე უნდა გააკეთო, ნამდვილს ჰგავდეს, არავის უნდა გაენდო, ყასიდად რომ მოქმედებ, თორემ ოხერია ძაღლი, ტანი უგრძნობს, მიხვდება და მისას არ მოიშლის!

— მე ვიცოდი, რომ არ ესროდი, ბაბუ!

— შენ კი იცოდი, ბაბუა, მარა, ძაღლმა არ იცოდა!

ჯაჭვი შესხნა. წადი, ჭკუით იყავიო. გიშერა იქვე დანვა და დაღამებამდე არ განძრეულა.

მთელი კვირა არ დაუყვიფია. ბაბუას დანახვაზე კუდს ამოიძუებდა და ნკმუტუნებდა. არ ვიცი, ეს წყენის ნკმუტუნი იყო თუ უმწეობის!

მერე მართლა არ გაკარებია ქათმებს, მაგრამ ბაბუასთან თამაშზე სამუდამოდ მოიშალა.

სამი ლეკვილა დარჩა დესის. როგორც იქნა, მოახერხა და ერთს გამხმარი ძუძუსთავი პირში ჩაუდო. გაიტრუნა.

ლეკვმა ტუჩები ოდნავ გაცმაცუნა, თითქოს მოქაჩა კიდევც, მაგრამ გამშრალი დვრილი პირიდან გამოუვარდა.

„არა, წყალი უნდა მოვძებნო, რძე ისე არ ჩამიდგება!“

ისევ ტრასაზე გავიდა და ძუნძულით გაუყვა გზისპირს, საგარაუდოდ, მდინარისაკენ. გზადაგზა რამდენჯერმე შეისვენა და სული მოითქვა. მოსალამოებულზე მდინარის ხმა მოესმა და სიხარულისგან გულისცემა გაუხშირდა. ფლატეს ჩაუყვა და წყალში შეტოპა. არნახულმა შვებამ დაუარა ტანში. ახლა შეეძლო, დაელია რამდენიც უნდოდა. მობარტყალებული ძუძუები ცივ მდინარეში ჩააღბო. გამხმარი ენა ძლივს მოხარა და სვენებ-სვენებით დაენაფა დალოცვილ სითხეს. თან ლეკვები ეფიქრებოდა — სასწრაფოდ უნდა დაებრუნდეთ, თან წყურვილს ვერ იკლავდა, მდინარიდან ამოსვლა არ უნდოდა, წყალს ვერ ელიოდა. ნაპირზე ამობობლდა და ხრეშზე წამოწვა, ცოტას დავისვენებ და წავეთრევიო. ჩათვლიმა. ბოლოს როდის ეძინა, არც ახსოვდა — ხან შიმშილი არ აძლევდა საშველს, ხან წყურვილის აუტანელი განცდა. ჩვარივით მიეგდო. შუალამემდე ფეხი არ გაუწირევია. გაელვიდა და გიჟივით წამოვარდა.

— ვაიმე, ლეკვები!

ისევ მოსვლილა წყალი და თავჩაქინდრული, ძუნძულით დაადგა შვილებისაკენ მიმავალ გზას. ირიჟრაჟა. ეს რა დამემართაო, თავს იტუქსავდა, რამ ჩამაძინა, რა ჯანდაბა მეცაო... გრილოდა უთენია. მეტალობაზის ეზოში შტაბელების კონტურები გამოიკვეთა. სულმოუთქმელად გაძვრა გამორღვეულ ღობეში და არმატურებში შევარდა. ლეკვები არ ჩანდნენ. გულგახეთქილი გამოძვრა და პირდაპირ ბანჯგვლიან ახმახს, მეტალობაზის დარაჯს, შეეფეთა.

„სადაა ჩემი შვილები?“ — ლამის ენა ამოიდა.

— ხახაა, სადაა და გავატანე ნაგვის მანქანას, არა, ბიჭო, თქვენი მძუნაობა და ღნავილი მინდოდა აქ!

„ამოგინყდა ოჯახი შენ!“ — ნკმუტუნს გული ამოაყოლა ძაღლმა, ახმახს თვალი აარიდა, ისევ არმატურებში შეძვრა და ჯერ კიდევ ლეკვების სუნშერჩენილ მინას ცოცხალმკვდარი დაემხო.

კარგა ხანი ეგდო ასე. ამასობაში მზემაც ამოიღმართა და უსაშველოდ ჩამოცხა.

— დესი!

მოესმა თუ მართლა ვილაც ეძახდა, ვერ გაარკვია.

— დესი!

სამალავიდან ტრასა არ ჩანდა, არადა ხმა იქიდან მოდიოდა. ძაღლი ღობისკენ გაცოცდა.

გზაზე პატრონის შავი ჯიპი იდგა.

— დესი, დესი! — ეძახდა ნაცნობი ხმა.

ძაღლი მათუღბადემი გაძვრა და ჯიპისკენ ბორძიკით გაეშრდა. კანონი იყო მისთვის პატრონის ძახილი! გადაიარა არხი და შეჩერდა.

— ცოცხალი ხარ, შე უბედურო? რასაა, რომ დამსგავსებულხარ!


პატრონმა მანქანის კარი გამოაღო, სალონიდან თერმოსი და ალუმინის ჯამი გადმოიტანა. რძისა და ორცხო-ბილას ფუჩხოლია ჯამში ჩაუსხა და ცხვირწინ დაუდო.

ძაღლმა უკან დაიხია. სალაფავის ნაცნობმა სუნმა ერთი კი დააბარბაცა, მაგრამ უცებ გამოერკვა და პატრონს თვალეშში შეხედა.

— ჭამე, შე საწყალი! — შეაგულიანა მასპინძელმა.

დესიმ წინა მარჯვენა ფეხი ასწია, გაშეშდა და ჯამს ჩაამტვრია.

ეს იყო მისი უკანასკნელი ნაბული. თვალეზიდან ცრემლების ორი ზოლი ყვრიმალებს ჩამოჰყვა და ნიკაპის ქვეშ შეერთდა... მიტრიალდა, არხი გადაიარა, მეტალობაზის ეზოში შეძვრა და ქამენიებისა და ანწლების ზვიარში ორ საყვარელ ბორცვს შუა ჩანვა...



წინ საზღვარი და იმ საზღვარს დავარდევ ახლა...

მე ვარ დამრღვევი: მყუდროების, წესის, ადამის. ვერსად ვჩერდები, ვერსად ვდგები, ვერსად ვბინადრობ. მგონი, დრო დადგა, რომ ისეთი რამე ვინატრო, რაც სიზმრებიდან შეუმჩნევლად ცხადში გადადის! როგორც მინდოდა, არ აენყო ცხოვრება ისე და საერთოდაც აენყო კი? ვცოცხლობ თუ არა?.. ჩემს გალაქტიკას ქარიშხალმა გადაუარა და წრფელად რომ ვთქვა,

გადარჩენის ვერ გხედავ მიზეზს.

მაინც არაფერს არ ვაკეთებ, ჩავივლი ზღვისკენ,

მე უკან დამრჩა ყველა ხიდი, ბოგირი, ფონი, წინ საზღვარია და იმ საზღვარს დავარდევ ახლა.

მთელი განძიდან მხოლოდ შენი სახელი დამრჩა...

ჩემი სამყარო გაიხლიჩა: გჩანვარ შუაში, ვით ბრონეულის უმთავრესი, დედო მარცვალი. მე არც სესხი მაქვს არავისი უკვე, არც ვალი, და შემოდგომის ბოლო დღეებს ვხატავ გულში. თენდება მძიმედ, დედანის რუხი სარქველი — ცა, სხივთა ნაცვლად ხოშკაკალას მაყრის... ვსველდები. ჩემი შიშები, განგაშები, ჩემი ელდები ახელენ თვალს... ო, რამდენის ვარ დამკარგველი ამ დროთა ცვლაში, ამ ფერების რია-რიაში, როცა ჩიტებიც სულ სხვა ხმებით გალობენ... ხენი იხდიან სამოსს, გზისპირ თეთრი ბალახობს ცხენი და ციცქნა ღელე ციცქნა ტალღებს ფლატეს მიაშლის. ცივმა ქარებმა გადათელეს ტრფობის ჯეჯილი, ძველ ნაყანევი შარშანდელი შრიალეს ნამჯა... მთელი განძიდან მხოლოდ შენი სახელი დამრჩა და ბრონეულის მსგავსად ორად ვარ გახლეჩილი.

თუ რა დაკარგა, მე არ გეტყვი, შენ უნდა მიხვდე, თავადვე უნდა გაარჩიო კარგი და ავი.

საცაა მოთოვს, ჩვენს ხეობას ჩახერგავს ზვავი, და ის დუმილი, რასაც დღემდე როგორღაც იხდენ, იქცევა საზარ შეკივლებად... ტირილად, გლოვად, ასე მთავრდება ყველა მრუდე ნაბიჯი რადგან. იყო ზაფხული და შეცრად ზამთარი დადგა, რაც იმას ნიშნავს — გაზაფხული არასდროს მოვა! ჩაიშლივინა ეშელონმა... მისი ტვირთია ვნებების შლაკი, ოდინდელი კოცნების ტარა. ბორბლების „ტარა-ტარა-ტარა...“ გამხდარა „არა!“ სემაფორები, გეგონება, წუთებს მითვლიან. მე ყველაფერი ვიცი!.. მეტი! — ვიდრე გგონია, და ამ ცოდნაში, დამიჯერე, არა ყრია რა. ბოლო ვაგონმა თითქოს მკერდზე გადამიარა და მასთან ყველა დანაკარგი მონაგონია!





მე დღეს მარხვა მაქვს... საკუთარ თავს მივეცი ფიცი... საკუთარ თავს მივიცი ფიცი...

მე დღეს მარხვა მაქვს... საკუთარ თავს მივეცი ფიცი... ჯერ კიდევ მჯერა, მართალი ვარ... შენდობა მელის. მე მომეწება იარლიყი გრძნობათა მკვლელის, მაგრამ არა ვარ... არც ვყოფილვარ... უფალმა იცის! ეს სექტემბერი, ოქტომბერი, ეს ნოემბერი, მექცა გოლგოთად, ჯვარცმად,

გვემად, სულის ამოხდად. არაფერს ავხსნი, თვითონ უკეთ იცი, რა მოხდა, რა იქნა ის დრო, აღტაცების სიოს მომბერი! მე დავიღალე, შეიძლება ითქვას, აღარ ვარ, და მიკვირს ძლიერ: პირში ენას როგორ ვიბრუნებ. ეჰ, გარდასული ერთი წამიც ვერ დავიბრუნე, შენ კი შესძელი ჩემი შუბლის დარდით დაღარვა. მე დღეს მარხვა მაქვს... საკუთარ თავს მივეცი ფიცი... ჯერ კიდევ მჯერა, მართალი ვარ... შენდობა მელის. მე მომეწება იარლიყი გრძნობათა მკვლელის, მაგრამ არა ვარ... არც ვყოფილვარ... უფალმა იცის!

ჩემი ნოჰარიც, იმედია, ჯარ კიდევ გახსოვს!..

ვერ დავიჩემებ, ყველაფერში რომ ვარ მართალი, ველარც შენ გეტყვი, ყველაფერში მართალი ხარო! ამოგითხრია ტყვე გულისთვის უძირო ხარო და თვით გამხდარხარ სურვილების მთავარსარდალი. მე უკვე ვიცი: ის, რაც იყო, არ დაბრუნდება, რაც დაბრუნდება, არ იქნება ჩავლილის მსგავსი. ნაპერწკალს უცდის მობოხოქრე ვნებათა ავზი და ხვალინდელი დღის კონტური ჩანს ბინდბუნდებად. მხოლოდ გუმანით, იდუმალი მეექვსე გრძნობით, მე ვიხედები სამყაროში, რომელიც გაქრა. შენ იქ ხარ... ირგვლივ გამჭვირვალე ბურუსი გაკრავს და ძველებურად სუნთქვას გიკრავს მთავარი ჰობი. კალამი სათქმელს სულ, სულ ბოლო სტრიქონში აქსოვს, ბოლო ნერტილის მერე რჩება სუფთა ფურცელი. რამე რომ იყოს, ჩემი გრძნობა რჩება უცვლელი, ჩემი ნომერიც, იმედია, ჯერ კიდევ გახსოვს!

მე შენი გლოჰი მკარღჯა მაღვეს შავი ლოდივით...

წაშლა, დაბლოკვა... — უარყოფის ახალი ფორმა! იყავი... არ ხარ... გაიარე... შენი გზა ნახე! ღრუბლების ჩრდილი დასწოლია ძვირფას სანახებს, გამშრალი მინა კვლავ მოითხოვს ნალექებს ორმაგს. არაფრის გამო ყველაფერი დასრულდა წამში, კლდე ჩამოიქცა, მინა იძრა, ხანძარი გაჩნდა. მცირე წყენისთვის,

შენ რომ მკერდზე ნერტილად გაჩნდა, მრავალჯერ გითქვამს, რომ

ერთხელაც უთუოდ წამშლი. და ეს დროც დადგა... აღარც მე ვარ, აღარც შენა ხარ. ის მომეწვია, თავს ზემოთ რომ არ არის ძალა. ვექებე, მაგრამ ვერ წავანჭვი საწუკვარ ალაგს, ის, რაც დავკარგე, მანდ სათუთად რომ შემენახა! გადაიჩეხა ხრამში ტრფობის ლოკომოტივი, რომლის სულ ბოლო შეკივლება

თავზარს მცემს დღემდე. თავის მართლების უშედეგო მცდელობის შემდეგ მე შენი ბლოკი მკერდზე მადევს შავი ლოდივით.

ჰარ ვიტან, როცა ვცდები, თუმაცა, აბა, ვინ იტანს!..

მხოლოდ სიმშვიდე, მოთმინება და თავდაჭერა!.. ჩაცხრა პირველი აღგზნება და მიწელდა წყენა. არ დაიჯერო, რასაც ზოგჯერ ამოთქვამს ენა, ფარულად გეტყვი: მისი ზოგჯერ თვითონ არ მჯერა! გასაგებია: არ დარეკავ, არ მოხვალ, აღარ... რამდენი „აღარ“ უკვე იყო, მაგრამ განულდა. გაეხდი მძევალი შეცდომათა და სინანულთა, მე დაბლა ვრჩები, შენ კი ისევ მწვერვალზე დგახარ.

ადრეც შევნიშნე: გილიმოდა ხშირად ბედი შენ, (ბედის ლიმილმა, ცნობილია, შეჩვევა იცის!) მეც უნებურად შევეჩვიე შენს დარდს და სიცილს და ჩემს ლექსებში, ავდექი და გაგაფვტიშე. ვერ ვიტან, როცა ვცდები, თუმცა, აბა, ვინ იტანს თავის შეცდომას!.. თითქოს ჩემთვის ვილაცას ეკრას ხელი... და ვხედავ, „ნოუტბუკის“ ნაცრისფერ ეკრანს თანდათან როგორ ეუფლება სიტყვა: „ინიტა!“

ისა მშვიდად ჰარ, სასაფლავს რომ შეპურდება...

ისე მშვიდად ვარ, სასაფლავს რომ შეშურდება, სულის ალვიდან ჩამოვარდა ბოლო ფოთოლი. ეზოს, ველ-მინდორს, უნაზესად ვხედავ მოთოვლილს, ციცქნა ფიფქები ძირს ცვივიან ზეცის ხურდებად. გადამიარა მეცხრე ტალღამ...გამოვალნიე მღვრიე ქაფიდან... კვლავ ჩემს მხარეს იყო განგება, რაც იმას ნიშნავს, სამართალი არ იკარგება და ჩემი ტანიც იმ სამართლის გამო ვაქციე ციხესიმაგრედ, ციტადელად, მიუვალ ზღუდედ, რომელშიც სანდოდ მოვათავსე ტრფობის არქივი, რათა არ ეგდოს სადმე გზისპირ ფუჭი ბარგივით... და ვიზიტორთა გვარ-სახელიც უღმობლად ვზლუდე. ბურღულს უცდიან მზენვიები და ბელურები, მეტს ველარ მიდის მათი ფიქრი, მათი ოცნება, მე კი დარდი მკლავს: ამ პირველ თოვლს, ამ საოცრებას არ დააჩნდება ერთად ჩვენი ნაფეხურები!

გავალჯე კარს და ნავალ შენგან, ნავალ შენიდან!..

არაფერია გასაკვირი — განყდა ბაგირი, რომელზეც დიდხანს ქანაობდა ბედი-ჯამბაზი. ჩემი სონეტი, ვილანელა და მუხამბაზი გაფანტა ქარმა, როგორც ოხვრა მოჯამაგირის. ასეც ვიცოდი: დაუბერავს ერთხელ ზღვაური და სიყვარულის თავშესაფარს, სიმწრით ანაგებს, დაეჯახება, დაამსხვრევს და გააჩანაგებს და გაფრენილი თოლიების აურზაური ვერ გადაფარავს ჩემი გულის ბაგაბუგს... ახლა ვზივარ და ვუსმენ ძველ ფირსაკრავს...

გბრუნდები შენში. ჯერ დამამშვიდებ, მაგრამ მერე ხელახლა შემშლი, რომ საბოლოოდ სასიკვდილო მეწვიოს დაღლა. გახსოვს, ოდესღაც ეს მუსიკა როგორ მშველიდა! უკვე არ მშველის!.. (თუმცა შველა არც მინატრია!) გამთენიისას, გარიჟრაჟზე, დილაადრიან, გავალებ კარს და ნავალ შენგან, ნავალ შენიდან!

და ყველაფერი ზღაპარ იყო, ზღაპარ!.. ერიჰა!..

კვლავ შემახსენა წვიმამ თავი... მოწმენდილ ცაზე გაკრთა ელვა და ქუხილს მოჰყვა ისეთი თქეში, რომ ეზოს მიღმა შემოდგომის ტყე ჰგავდა შეშლილს, ქარი ფოთლებით წრეებს ჰკრავდა, ავლებდა ხაზებს. მე გამახსენდა: ჩვენ, საღამო და სანაპირო... მღვრიე ტალღები გაშმაგებით მოასკდნენ ჯვბირს. შენ უცებ ტანზე ამეკარი ჩურჩულით: „ვრჩები!“ არ დავაყოვნე მეც პასუხი: „გოლუაფირო!“ და წამოვიდა, წამოვიდა ჯერარნახული დელგმა, ისხარი, ზღველა, ლეზღმა, ბოლოს — ლელეხი, გადაეუხადეთ სულ ერთ წამში სეფდას ქელეხი, ჩვენ აღტაცებით ვსველდებოდით — იდგა ზაფხული! ზღვა გუგუნებდა შტორმულ ხმებით: „ბედნიერი ხარ!“ მეც ვიფერებდი და წყლის ღვარებს ვუშვერდი სახეს... მე მხოლოდ ახლა, ამ წუთს მივხვდი: სიზმარი ვნახე! და ყველაფერი ზღაპარ იყო, ზღაპარ!.. ერიჰა!

და სისხლიც პორგავს, მატჩი, აბა, რაღა ქნას სისხლმა!..

მე შევამჩნიე, რომ უშენოდ არა აქვს ის ხმა წვიმას... აკლია თითქოს ერთი ძვირფასი ნოტი. მაგრამ ის მაინც გააფთრებით მოდის და მოდის, და სისხლიც ბორგავს, მეტი, აბა, რაღა ქნას სისხლმა! შენ რომ აქ იყო, ერთ საბანქვემ გასუსულები წვეთების როკვას მოვუსმენდით სულ სხვა აზარტით და მელოდია, სიზმრებიდან ამონაზარდი, გაგვხდიდა ერთხორცს... მოილხენდნენ ჩვენი სულები. ახლა კი მარტო ჩემთვის უკრავს კოკისპირული წვიმა და მისი ვარ სოლისტი და დირიჟორი და გულსევდიანს აუხსნელი შენი სიშორით, მინდა ჩურჩულით დაგიმღერო: „ჩქიბდა ირული!“ ივსება სახლი შენზე ფიქრით ამჟამად, აქ და, კრთის წარსულიდან მოხმობილი ლანდების რიგი... სად არის იგი, ღმერთო ჩემო, სად არის იგი — ნოტი, რომელიც ამღამინდელ მუსიკას აკლდა!

და მაინც ჩემი ერთადერთი ხარ საუსავი...

ცხოვრება ასეც შეიძლება: დგები და წვები, მუაღედებში ღობე-ყორეს ედები... წეალობ.

ტანზე თანდათან გეცვითება, გეხვეა ჯვალო, გავლილთან ერთად გასავლელი გამძიმებს წლები. საცოდავია, ვინც კი გაჩნდა, უკლებლივ ყველა, ვიცი... ჩემს თავზე გამოვცადე... არც რას ვამატებ!.. არ დაიჯეროთ ამ ცხოვრების სიანდამატე, განსაცდელში ვართ, საფრთხე გველის,

გვჭირდება შველა! ახლაც, ამ წუთას, როცა წვიმს და როცა ქარია და ნაძვის ტოტებს შეეუფვიან სველი ჩიტები, დონ კიხოტივით უუჟმურეს ფიქრს ვეჭიდები, ისე ვარ, თითქოს არასოდეს გამიხარია! შენც შეთქმულივით ცეცხლზე ნავთი დაამატე და დატოვე შუქის ანარეკლი ჩასულ მზესავით. და მაინც ჩემი ერთადერთი ხარ საესავი, და ვით მაცდური ლორელაი, მიხმოზ ფლატედან.

„არ ვაპირებდი, არ მინდოდა, ენა წამიცდა!..“

არ ვაპირებდი, არ მინდოდა, ენა წამიცდა და ახლა ვნანობ... ძველი წყლული აღარ მრთელდება. შენს მოლოდინში თავზე ისევ დამათენდება და მეთასედ ვიჩურჩულებ: „წამიც, წამიც და...“ კვლავ აყალყული ზღვის დგაფუნი... ოტელი... კვდომა ნდობის, იმედის, აღმაფრენის... „არა და არა!..“ — მინდა ვიყვირო, მაგრამ, მგონი დუმილიც კმარა, მე დუმილითაც ხმას მოგანვდეწ...

ცდებისთვის დრო მაქვს! სოფელში ვარ და შემოდგომის წვიმები ალყად მერტყმის... თავს ვიცავ შენზე ფიქრით,

შენზე დარდებით, ხან მეცხრე ცაში ავმალდები, ხან ჩავვარდები ხრამში... ხან კიდევ სიყვარულის ველური ტალღა კლდეს მიმახეთქებს... კიდევ წამიც, კიდევ წამიც და შემდგომ ქარიშხლის, შემდგომ ელვის, ქუხილის, სეტყვის, ღამენათევი, ბინდჩამდგარი თვალებით გეტყვი: „არ ვაპირებდი, არ მინდოდა, ენა წამიცდა!..“

მე ჰმოჰვა შენთან ჩემი სულის და სორცის ნაწილს...

მე მოვრჩი ანუ დავამთავრე, თორემ მორჩენას ვინლა მაღირსებს!.. საუკუნო შემყრია სნება. როგორც კეთროვანს,

შენთან მოსვლის არა მაქვს ნება... ჩვენი ტრფობიდან არც მოგებას, არც გამორჩენას მე არ ველოდი და მით უფრო არ ველი აწი, როცა ყველაფერს მისხალ-მისხალ აზრი ეცლება. და სანამ წლები გაფრენილან შორეთს მერცხლებად, მე ვტოვებ შენთან ჩემი სულის და ხორცის ნაწილს. არ ვიცი, საით, რატომ, რისთვის, როგორ და როდის, მაგრამ მე ნავალ, ისე, როგორც მოვედი, წყნარად. და შენი „დიახ!“ საბოლოოდ იქცევა „არად“, ზეცაზე ტაბლო აინთება: „ზამთარი მოდის!“ გარშემო ჰყრია მხოლოდ ფერფლი, მხოლოდ ნავლი და ვხედავ, რაც მსურდა, არ გამოვა, დამთავრდა ცდები. ამჟამად წარსულს მხოლოდ მწარე ფიქრებით ვწვდები და აქეთ მოდის უკვე ყველა გზა მომავლიდან.

მე მარტოდმარტო გავიხსენავ შენს წმინდა სახელს!..

როცა ამქვეყნად ყველაფერი დამავინწყდება: ცა, დედამიწა, დაბადების დღე, თვე და წელი, აელვარდება თვალწინ ავი დედაბრის ცელი და საბოლოოდ საამსოფლო ხმები მიწყდება, როცა თითებში ჩამადნება ბოლო სანთელი და მირაჟების სამყაროში გადავეშვები, წყვდიადის ბელტებს დამაყვიან ღამის პეშვები და უკანასკნელ დღედ იქცევა დღე დღევანდელი, როცა ერთბაშად გაჩუმდება ყველა ქარი და დაისადგურებს მდუმარება ყურისწამღები. მე შენზე დარდით საუკუნოდ დავიდამლები ცივ სარეცელზე და შემოვა ყველა კარიდან, ადრე თუ გვიან ვინც ყველასთან შემოდის... სახე გამინათდება, როგორც მაშინ, როცა პირველი სხივი მესროლე... (ჰოი, საქმე გასაკვირველი!) მე მარტოდმარტო გავიხსენებ შენს წმინდა სახელს!

თითქოს სხაულვა ღამტოვა და შამრჩა სულიდა...

„სენტიმენტალურ ტანგოს“ ვუსმენ... ყველაზე მეტად იგი მოუხდა ჩემს განწყობას... ამალამ თოვა იქნება, ალბათ... სიზმრად ზამთრის აჩრდილი მოვა და მის თვალთავან, ვით სხივები აღფა და ბეტა, გადმოიღვრება ყინვისა და ქარის ნაზავი, თეთრი ტოგები მოუხდება ხეებს სამოსლად და ღრუბლებს შორის უეცარი მთვარის ამოსვლა მე გამაოცებს ოთხპირიან ქართულ ზმნასავით. გამახსენდება ყველაფერი — რაც ვიცოდი და რაც არ ვიცოდი... აირევა სიმართლე, ჭორი და განთიადის სუსხიანი ნათელი შორი ამოიზრდება უნებური შენი ცოდვიდან.

გავირინდები, გავყუჩდები, გავისუსები, თითქოს სხეულმა დამტოვა და შემრჩა სულილა... შენ სულ ხარ ჩემთვის, სულ იქნები, რადგან სულ იყავ თავბრუდახვევა, ჟრუანტელი, ელდა უცები!

იძნება ისა, როგორც თქვი და როგორც გამოვა...

იქნება ისე, როგორც თქვი და როგორც გამოვა, არავითარი კვნესა, ხვეწნა, თხოვნა, მუდარა. წლობით ნაგები კოშკის დაშლას არა უნდა რა, მე ეს ვიცი და ახლა სწორედ ამის გამო ვარ იქ, სადაც ვარ და თვალს ვადევნებ კედლების რღვევას, ყველა აგური მე მეცემა უკლებლივ თავზე. შენი ხმის ექო უსასრულო ტკივილით მავსებს, მე ვარ ადამი უედემო, შენა ხარ ევა — უადამო და აღარ იცი, რა გელის ხვალ-ზეგ, წვიმს და წვიმაში იზილება კოშკის ნაშალი, მხრებზე ნისლები.ნამოგისხამს, როგორც თავშალი... მე ვფიქრობ შენზე, ვფიქრობ ჩემზე, საერთო ვალზე და მენატრება ისევ ერთად თვალის გახელა, მაგრამ იქნება ისე, როგორც თქვი და მოგინდა. დრომ მუცლად იღო, დადგა ჟამი და მოლოგინდა და იშვა, ვისაც განშორება ჰქვია სახელად.

და ყველაფერი ეს რომ ხდება — ვარ დანაშაპი!..

მე დავიხიე... დავიხიე მუხლებზე შენი ყველა ფოტო და ნაიშალა თითქოს წარსული, თუმცა მანამდე ჩაგაბარე წინასწარ სული, მეგონა, ჩემი სახლის კედელს ხატივით შვენი. თვალს ვადევნებდი მზის ამოსვლას — მეგონა, გხედავ. ეუსმენდი წვიმას — თითქოს იყო შენი ხმის ექო. გაიღიმებდი — ეს ღიმილი მე უნდა მექო, და უცებ... იქნებ თვითონ ახსნა, რა მოხდა, ნეტავ? ჩაიშლიგინეს შემოდგომის მძაფრმა ქარებმა, თავსხმებს სულ მალე ყინვები და თოვა მოჰყვება. გათოშილ ცაზე ზამთრის ზღაპარს წვიმა მოჰყვება და თვალებს უკვე რული აღარ გაეკარება. საშუელის კვალი ჩემს ცარიელ ალბომს აშავებს, მიდის ფსკერისკენ ატლანტიდა და ველარ ვშველი. დანადმულია გულგრილობით სიზმრების ველი, და ყველაფერი ეს რომ ხდება — ვარ დამნაშავე!

ჯერაც არაა დასასრული, რაც უკვე მოხდა...

მე ამოვწიე მინები და ჩაერთე ღუმელი, ცივა, სიყვითლე მორევია მწვანე მთაგორებს. ღამე დღითი-დღე შენზე ფიქრის ზვავს მოაგორებს, ღამე უმთვარო, უფარსკვლავო და კურკუმელი. მივემგზავრები. ჩართულია მოცარტის მარში. ხურდება სისხლი, ფხიზლობს მზერა, თბება სალონი. ბორბლებქვეშ ჰყრია სურვილები სასამსალონი, ვნების ზედაშე შეუმჩნევლად გადადის ძმარში. არავინ მხვდება, განგაშს ინვევს გზა ცარიელი, იქიდან, სადაც მე მივდივარ, არავინ მოდის. ჩემს წინათგრძნობას აქვს სიძძიმე საფლავის ლოდის და ჯოჯოხეთის შესასვლელს ჰგავს დასალიერი. თუმც მან იკითხოს, ვინც უარეს დღეშია, თორემ მრავალი რამე, რაც ვინატრე, ამიხდა კოხტად. ჯერაც არაა დასასრული, რაც უკვე მოხდა და მოსადებად კიდევ მრჩება ღობე და ყორე!

გავიხადე და ახლა თავიც არ მაბადია!

დილამდე კიდევ დავიცდი და დავეხურავ ამ წიგნს. სათქმელი უკვე აღარ დარჩა, წერტილის გარდა. ჭინჭარი ხარობს სიყვარულის დაკეტილ კართან და მის გაღებას, როგორც უნინ, არც ველი აწი. ცხოვრება ისეც ცხენგამოხსნილ ფაეტონს ჰგავდა, ახლა ნამდვილად ასეთია — დაბლა მიგორავს. და ვფიქრობ ჩემთვის, ნუთუ მართლა არა იყო რა, გრძნობა, რომელმაც ვერ გაუძლო მოვარდნილ ავდარს. სუფევს სიჩუმე, როგორც ყოფის ღამიდან დღეში გადასვლის ფორმა — მიმძაფრდება ყრუ ტკივილები. ხსოვნის ჭაობში ავად ღრენენ ბასკერვილები, ზეცას ჰკიდია სინანულის თავსხმა და თქეში. განსანმენდელში სული გადის ბოლო სტადიას. გაივლის ვითომ? — არც ვიცი და არც მსურს ვიცოდე. როცა შემეძლო, თავი ჩემი არ შევიცოდე, გავიხედე და ახლა თავიც არ მაბადია!

აღარც შენ მიცდი... გოლო მაინც სიტყვა იძნება!..

სიტყვებს ვეძებდი... აღარ ვეძებ... არა აქვს აზრი... დღუმილი მეფობს... მთავარია ახლა ჟესტები, მაგრამ მე რამის განმარტებას არ შევეცდები... როგორც ზღვის პირას დიოგენეს ცნობილი კასრი, ჩემი სასტუმროც და სასახლეც ციცქნა ქოხია, რომელსაც ღამის შემოასკდეს ხეების სალტე. შენ კარგად მიცნობ, მეც მშვენივრად გაგიგე ალტერ ეგო და ამინდს ქარ-თოვლიანს, აჩინდს კოხიანს,

ლიტერატურული გაზეთი

თავს აქ ვაფარებ... გარს მავლია წლების ღობე და გამვლელ-გამომვლელს, უცხო სტუმარს არ ვენახვები. გადამხმარია ჩემი ეზო, ბალ-ვენახები, თითქოს აქ მზემ და თბილმა დარმა ვერ შემობედა! ჩამოქნილია ბედ-ილბალი ჩემი წიგნებად და შიგ წერია, რაც ვიცი და რაც განმიცდია. მიცდიდნენ ყველგან, ახლა უკვე არსად მიცდიან. აღარც შენ მიცდი... ბოლო მაინც სიტყვა იქნება!

შენთვის სათქმელს კი მა აზ ქვეყნად ვერავის ვიტყვი...

მე რაც მანვალებს, იქნებ არ ღირს გახვრეტილ გროშად, და სასაცილოდ არ ეყოფა მავანს და მავანს. უბრალოდ, ის ვარ, ვინც არ ელის ცხოვრების ავანსს და ვინც ზაფხულის ცხელმა მზემაც საკმაოდ თოშა. რაც დღემდე ვნახე, განვიცადე, ვიგრძენი... მტკივა. რატომ? ვერ ავხსნი და არცაა იქნებ საჭირო. ჩემს ძველ იარებს თითი ოდნავ რომ დააჭირო, ყვირილი, ალბათ, დედამინის ბოლომდე მივა. არადა ვხედავ: სიყვარული ყოფილა თმენა და გაუსაძლის სანუხართა მალვა და ფარვა. მოვიკრებ ძალებს და ხანდახან ვიფიქრებ: არ ვარ!.. ყრუ ვარ, მუნჯი ვარ და არც ერთი არ მესმის ენა! დგება სეზონი ზღვის მოქცევის, ქარიშხლის, სეტყვის, რომელიც წაშლით ეშუქრება ძვირფას თარიღებს. მე შენთან მსურდა საუბარი, შენ ხმას არ იღებ. შენთვის სათქმელს კი მე ამ ქვეყნად ვერავის ვეტყვი.

მა ვეკედლები ერთდროულად ცასა და მიწას...

დაგიმახსოვრე!.. „ვინჩესტერი“, „ფლემკა“, „ღრუბელი“, საესეა შენით — საუკუნო დღესასწაულით. რაც უნდა მოხდეს, მათ გულგრილად მე ვერ ჩაეუვლი... ორივე ერთად — გადამრჩენი და დამლუპველი — შეერთდა შენში... მაშენებ და მანგრეც კიდევაც, გაქრობისაგან საოცარი ბალანსი მიცავს. მე ვეკედლები ერთდროულად ცასა და მიწას, რადგან სადაც ვარ, ერთი ღამეც არ გაითევა. ვსწავლობ გაძლებას: ნამოდგომას დაცემის მერე, ცეცხლის დანთებას უასანთოდ, თრობას უარყოდ. მე შევიკედლე ის, რაც შენმა გულმა უარყო, მერე დავეჯექ და ცრემლიანი ლექსები ვწერე. მხოლოდ და მხოლოდ ჩემი თავი! — მე მყავს ეს მტერი! მისი „წყალობო“ ველარ ვნახავ მას, რაც მიწახავს!.. და ამიერით შენს სახელს და სახეს მიწახავს ჩემი „ღრუბელი“, ჩემი „ფლემკა“ და „ვინჩესტერი“.

შენ ნაიკითხავ თითქოს თხოვნას: „შამინდა, გვიდრი!..“

გიორგობისთვეც მოთავდება ერთ კვირაში და ყელს ჩაიწმენდენ საშობაოდ თითბრის ზარები. მე პირველ თოვლში უხილავად დაგემგზავრები, შენი გულისთვის ჩამომხტარი თეთრი რაშიდან. ჩვენ ვივლით ერთად, მაგრამ შენ არ გეცოდინება, რომ მოგაცილებ, მზის ამოსვლას რომ დავასწარი და სანამ თვითონ აღშფოთების ზვავი დასძარი, ჩემს სასარგებლოდ შევაბრუნე დროის დინება. ვიაროთ ერთად. არ შეგიშლი ხელს... მყისიერი სისუსტე უკვე გადავლახე. ვარ ძველებურად. ჩემი ჩავლილი მღელვარება ნისლმა შებურა, მე დავიბრუნე ის სიმხნევე და ის იერი, რომელიც მქონდა... და ოდესმე სულ სხვაგვარ მზერას თუკი მიაპყრობ ნაფეხურებს, დამჩნეულს გვერდით, შენ ნაიკითხავ თითქოს თხოვნას: „შემინდე, გვედრი!“ და გაიფიქრებ: „რომ მომყვები, ნამდვილად მჯერა!“

ყველაფრის ნაცვლად ხელში მრჩება აღარაფერი...

მე გამიმართლა: შემიძლია, ალბათ, ტრაბახი, შეგხვდი და შენი სიყვარულიც დავიმსახურე. ხოლო ვის თოშავს განმორება და ვის ახურებს, გულზე დაინერს სამუდამოდ თეთრი თაბახი! მე არ ვარ ბოლო, ვისაც უცებ ფეხი დაუცდა, მაგრამ ტკივილი სულში იგრძნო და არა ტანში. მე ეს ტკივილი, მეჩვენება, თან მანართობს, თან მშლის და დილ-დილობით მეღვიძება ცრემლის აუზთან. მაგრამ ხომ იყო ნიაღვარი დიდთა ვნებათა და მოვლვარე, ჩაუქრობელ მზეთა ჩანჩქერი!.. მე ახლა მათი სიმაღლიდან უფსკრულს ჩავცქერი და გრიგალს მიაქვს, რაც კი მქონდა, რაც კი მებადა. აწ ვილას ახსოვს ჩემი ტრფობის ჭალარა ფერი, როცა დაისი ტყეს უკიდებს სიყვითლის ხანძარს. ინვის სასახლე, იფერფლება გრძნობების ანძა, ყველაფრის ნაცვლად ხელში მრჩება აღარაფერი.

შენს პლანეტაზე ჩამს შემიდებაც თუა ცხოვრება?..

ვინ მეკითხება, მაგრამ გული მაინც არ იშლის: შენს პლანეტაზე ჩემს შემდეგაც თუა ცხოვრება?

სხვას რომ აკოცებ, ჩემი კოცნაც გემახსოვრება? თუა სიმშვიდე შემდგომ წარღვნის, შემდგომ ქარიშხლის! მე ახლა დრო მაქვს, შემიძლია სიბრიყვეც ვწერო, შენ უკვე შორს ხარ, მე მარტო ვარ, ხელს ვინ ამიკრავს!.. ამ შემოდგომამ განშორების ვალსი დამიკრა, და შენც გაფრინდი, ვით ოქროსფერ დაისში წერო. ცვივა ფოთლები — წერილები წაუკითხავი, რომლებსაც მსხვილად აწერია: „ვეძებთ ადრესატს...“ ყველა სიყვარულს — უასაკოს, გვიანს, ადრესაც — ფეხით, ცხენით თუ სიზმრის ფრთებით — მოაკითხავენ. ალბათ, ოდესმე ჟამი განსჯის მართალს თუ მტყუანს, ისე, ოქმისთვის, თორემ ჩემთვის არის სულ ერთი, ამ სოფლის მიღმა თუ არსებობს მართლა სულეთი, შენს პლანეტაზე ჩემს შემდეგაც ცხოვრება თუა!

ყალბი ქვავდება: „მა ვცდილობდი...“ „მინდოდა...“ „მსურდა!..“

ჯერ ვუმკლავდები, ჯერ ვახერხებ, ჯერ ვცდილობ ვიდგე ფეხზე... როგორმე შევაჩერო ეს ნიაღვარი შიშის, განგამის, მღელვარების... ჩავცე ლახვარი ეჭვების ურჩხულს... სათითაოდ წინასწარ ვიდგენ მარშრუტებს, რათა შევაჩერო ყველა შეტევა მოვარდნილ თოშთა, გრიგალ-ქართა, მენყერთა, ზვავთა და ვაგრძნობინო სიკვდილითი უღმობელ ზამთარს, რომ ჩემი კოშკის გალავანში ვერ შეეტევა. მე ვიცი, მე ვგრძნობ — ამ ფორიაქს შენ აკვირდები, და ზოგჯერ კიდევ გინდა, ალბათ, დამიდგე გვერდით, მაგრამ კვლავ ძველი აღშფოთებით გევესება მკერდი და ძირში ხმება თანალმობის ნორჩი კვირტები. მე რაც შევძელი, რაც გავანწყე, ეგაა სულ და სხვა დანარჩენი ღვთის ნებაა... შენიც, ცხადა! თენდება, მაგრამ ჩემს გარშემო კვლავ წყვდიადია, ყელში ქვავდება: „მე ვცდილობდი...“ „მინდოდა...“ „მსურდა!..“

და... გარეუბნის მაჩათიდან კიოდა მოლა...

წელსაც ვიყავი, წელსაც ვნახე ის არემარე, სადაც ჰყვოდა შენი ტრფობის კენტი ყვავილი. თითქოს შეასკდა ნაისრალი ირმის ბლავილი წარსულის კედელს... ცერზე შედგა სივრცე მთვლემარე. ისევ განახლდა გახევები შეგრძნება მწველი: ზღვა. სანაპირო. მოქანავე ტალღებში ნავი, რომელსაც ქუფრად დასწოლოდა ბურუსი ავი და ვერ შევლოდა გამოცდილი მენიჩბის ხელი. თურმე იარა არ შუმდება, ღრმავდება მხოლოდ, როგორც მანქანის ნაბორბლარი ნაწვიმარ გზაზე. გიხსენებდი და ჟრუანტელი მივლიდა... ასე ვიდექი, სანამ გრძელდებოდა ტკივილის სოლო. სულის ქანქარას ათრთოლებდა ნამების სრბოლა... შენ აქ იყავი, შენ აქ გასურდა... ო, შენ აქ... შენ აქ!.. მესმოდა გულის ბაგაბუფი, ნეტარი ქმენა, და... გარეუბნის მეჩეთიდან კიოდა მოლა.

მოდი და ერთად ჩავიდინოთ რაღაც შლეგობა...

წვიმა თანდათან, ნვეთ-ნვეთობით გადადის თოვლში, ტყეთა წიაღში იღვიძებენ ზამთრის ქარები. მეც თავშესაფრის საძებნელად მივეჩქარები, რომ ოდნავ მაინც ავიცილო ყინვა და თოში. მთელი ზაფხული მზე მიშენდა სხივთა ქვემეხებს, არც შემოდგომას დაუკლია ხელი... მაყრიდა სეტყვის ყუმბარებს... დღეს იწყება უკვე ახლიდან სხვა იერიში... მცივა მარტოს... მოდი, შემეხე! მოდი და ერთად ჩავიდინოთ რაღაც შლეგობა, რაღაც ისეთი, რაც ჩარჩოში ველარ ეტევა! მე მხოლოდ შენი, მარტო შენი მოიმედე ვარ, გიხმობ, გეძახი,

როგორც სატრფოს, როგორც მეგობარს! ჰგავს ეს ავდარი უცაბედად აწყვეტილ ქოფაკს, რომელიც ჩვენკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მოინევს ღრენით. ჩვენც არ დავიბნეთ, გადავლახოთ კლდენი და ღრენი და კარზე მომდგარ ზამთარს ერთად ვუტიროთ ყოფა.

და სანუკვარზე დაფიქრების ჟამია ახლა...

ამ ფოთოლცვენას ნოქტიურნის ნოტებიც ახლავს, ძაბავენ ხსოვნას შორეული მძაფრი ჰანგები. ნისლებში თვლემენ დაქანცული მზის სარანგები და სანუკვარზე დაფიქრების ჟამია ახლა. ილევა კიდევ ერთი წელი... ერთი გორგალი იშლება წერილ-წერილ ხვეულებად, ფერად ძაფებად. და სანამ სული ახალ წყაროს დაენაფება, ჯერ კიდევ რჩება საგანგაშო და საბორგალი. კიდევ თვე რჩება... იქნებ მოხდეს რამე კეთილი მანამ და ხავსი, დღენიადაგ რომ ვეჭიდები, გადარჩეს... ისევ აჭიკჭიკდნენ ზამთრის ჩიტები, ფიფქებით მონწულ გალიაში გამოკეტილი! ცვივა ფოთლები... შენ სხვაგან ხარ... ნიკნიკებს კედლის საათი, როგორც ჩემი ყოფის მკაცრი მსაჯული, რომელმაც იცის, რატომ, რისთვის ვარ დახარჯული და საით მიჰქრის შემოდგომის ყვითელი ეტლი!

ნაგება

90-იანების მეორე ნახევრისკენ სასტუმრო „აჭარის“ ფოიეში იყო „კროკო“. ახლა იქ კაზინო „აჭარაა“ და იქითაც — სლოტ კლუბი და ტოტალიზატორი „აჭარა“. მე მიყვარს „აჭარა“, თავისუფლების კუნძულია ჩემთვის, რალაცნაირად. იმდენჯერ მომიგია, მაგრამ არ ვარ პლუსში მაინც. წარმოიდგინე, მოდის ახალი დღე და ახალი გამოწვევის წინაშე რომ ხარ, „რომას“ 1 დაუნერო თუ ფრე (X), ერთმა გაგისხა და ასე შემდეგ... იქ სლოტებში მონეტების ცვენა, მარწყვების ბონუსები, წიგნებში სამი წიგნი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მისწრებაა უსაქმურისთვის და გინდაც საღამოს საქმით დაოსებულისთვის. იქით კენო, სამი ციფრი 45 მაგი, ლარში 45 ლარი, იეს! რა თქმა უნდა, ნაგება მტკივნეულია, მაგრამ ნაგებასაც სწავლა უნდა. მთავარია, ის არ წააგო, რისი ნაგებაც არ შეიძლება. იმედია, ჯეკპოტი დამეცემა. კარგი, კმარა. ახლა უნდა გამოგემშვიდობო, ჩემო „აჭარა“, და იმედია, ამ წიგნში აღარ მომიხდება შენი მოხსენიება, ან თუ მომიხდება, მხოლოდ საზეიმო კონტექსტში.

სკოლა

დედის გარდაცვალების შემდეგ პირველად ვიყავი კლასში. მედია მასწავლებელმა გაკვეთილების შემდეგ ფანჯარასთან მიმიყვანა, ბოდიში მითხრა სამძიმარზე მოუსვლელობის გამო. მანუგეში, ილია ჭავჭავაძესაც 11 წლისას მოუკვდა დედაო და მაჩუქა მონოგრაფია გალაკტიონზე. ჩემმა კლასმა კომპიუტერი გვიყიდა, ეთერ და ცარო მასწავლებლებმა მოგვითანეს. ამას არასდროს დავივიწყებ.

სიმწარე

ბევრი სიმწარე ახლავს ცხოვრებას. თუნდაც — დეპრესია. დეპრესია არის ის, რაც ხალისს გიკარგავს, მოტივაციას გიქვეითებს და გაკარგვინებს, თეთრს შავად მოგაჩვენებს ხოლმე, ენერგიას გაცლის და სულ წოლა გინდა. ახლა ღვთის და მედიკამენტების შეწევნით უკან დაიხია ჩემმა დეპრესიამ. იმედია, მალე წითელ ბარათს ავუფრიალებ და სამუდამო დისკვალიფიკაციითაც დავსჯი. ყვითელი უკვე მიღებული აქვს.

როგორია ნიუსაბის წერა


თარგმნა უფრო ერქვა ალბათ, რასაც ნიუსრუმში ვაკეთებდი. ძირითადად უცხოური წყაროებიდან და ნაკადულებიდან. ინტერვიუებსაც ვამზადებდი, ქართველი ფეხბურთელებისას ძირითადად, ლეგიონერების. მთელი დღე ვაკაკუნებდი კლავიატურაზე. რვა თვე ოფისში, ერთ წლამდე — სახლიდან. მერე ამომივიდა ყელში, თან ბევრს შეცდომებს ვუშვებდი და რედაქტორი მლანძღავდა და წამოვედი.

ძილი

მე არაფერი მინახავს. როცა ვხედავდი, არ მინდოდა, დამეხანა და თვალს ვიბრმავებდი, და ახლა, როცა მიწა, ვნახო, ველარ ვხედავ, გონების თვალი სხვაგან არის მიპყრობილი.

გრილი საღამო იყო. გამელვიძა, თავი მტკიოდა. ნუხელ რამდენი ხნის შემდეგ პირველად დავლიე. მამაჩემი წავიდა ბავშვების ჩამოსაყვანად და მე მეგობრები დავეპატიუე. შუაღელ სმამი ავდექი, მეორე ოთახში გავედი და ჩემი წამალი, რომელსაც დილა-საღამოს ვიღებ, გადავყლაპე. სმის დროს პრობლემებზე ლაპარაკი მაღიზიანებს. კარგ ხასიათზე ვდგები და არ მესმის, რატომ ლაპარაკობენ და ნუნუნებენ ცუდ რალაცებზე. ძალიან მშოიდა და ჩამოსვლები ჯერ სახლის დალაგებას შეუდგენ.

ძილი არის ყველაზე კარგი მდგომარეობა ცხოვრებაში. როცა გძინავს და გამოგედვიძება და უცებ საათზე იყურები, გინდა, რაც შეიძლება მეტი ხანი იყოს გასული წაძინებიდან. ბავშვობაში ხანდახან ისეთ ხასიათზე მედვიძებოდა, რომ ტირილის დანყებადმე ცოტა მაკლდა. ხანდახან სადმე რომ მივდიოდით, იმ დილას ყველაზე ადრე მეღვიძებოდა, ვინეჭი ლოგინში და მოლოდინი მტანჯავდა. ხანაც სიზმრები, რომელშიც ხმას ვერ ვიღებდი, როცა ქუჩები სახლს მიქურდავდნენ, ან დედას ვე-



კარგებოდი, ხანაც სახლის გასაღები მეკარგებოდა. ძილი კარგია, თუ მშვიდია. არის ძილი გამოწვეული საძიო აბებით. ასეთი ძილი თუნდაც ღრმა იყოს, მაინც ცუდი და არასრულფასოვანია. ხანდახან ძილში სიკვდილი ეწვევა ადამიანს. მე ორჯერ მინახავს ძილში აღსრულებული უახლოესი ადამიანი. თუმცა ამაზე სხვადროს. ძილში ზოგადად დამახასიათებელია დეპრესიული და არარეალიზებული, მთვრალი და ცხოვრებისგან ან იმ დღისგან შეწუხებული მძინარისთვის. მოკლედ, ყველანი მოვკვდებით და დავგვითრებენ. თუმცა იქამდე დროა — ცოტა, ბევრი, არც ისე ცოტა, თუ არცთუ ბევრი. მძინარე ადამიანებს შიშით და დამფრთხალი ვაკვირდები, სუნთქავენ თუ არა, აუღ-ჩაუღდით თუ არა მკერდი და მუცელი. ზოგჯერ მძინარე ადამიანის სიცოცხლის შესამოწმებლად მის სხეულზე დაკვირვება არ გჭირდება, სმენის ორგანოთი ხვდები, რომ ცოცხალია და ძალიან ცოცხალი. ძილში ერექცია ცალკე თემაა. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ძილში დაბოდილობენ — მაგალითად, სოფელში ჩემი მეზობელი ბიჭი. ამბობენ, ასეთებს შეუძლიათ, კედლებზე გავიდნენო. „ნატვისი ხეში“ ციციკოვ რომ ეუბნება, სულ როგორ უნდა იძინო და ის რომ პასუხობს, ამ ქვეყანას მე მაინც ვერ გავასწორებ და ძილი რალაზე მოვიკლოო, ეგ ყველაზე მაგარი კაცია. „კარგია ძილი რკინაზე მძიმე ან უცხოეთში უცხოდ დაკარგვა. კარგია თოვლი, კარგია წვიმა, მაგრამ, უცნობო, შენ რა დაგარქვა“ — ასე იწყება გალაკტიონის ლექსი.

როცა მაკონდოვლებს უძილობა შეეყარათ, მეხსიერება დაუქვეითდათ. წინო ტეფნაძის მოთხრობაშიც ქალაქის მერს და მოქალაქეებს უძილობა ტანჯავთ და მეხსიერებას უკარგავს. მე უძილობა მფიცავს. მაგალითად, ხელში მიჭირავს საპონი, ხელის დაბანას ვაპირებ და საპონის ძებნას ვიწყებ. მერე ვხედავ, რომ ხელში მჭერია საპონი. ან მაგალითად, დონ კიხოტეით მგონია, რომ შეთქმულებას მინყობენ. არაერთი და ორი ღამე გამითენებია კომპიუტერთან, ჭორობაში. ეს გათენებულები ღამეები შემდეგში უარყოფითად ისახ-

ებოდა ჩემს ჯანმრთელობაზე. ვინცებდი ღრიალს და ფანჯრების ღწევას. აგრესიულად ვექცეოდი ოჯახის წევრებს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ჰოდა, ამიტომაც ფსიქიატრს ხშირად ვსტუმრობდი. მერე, როგორც იქნა, თავის კონტროლი ვისწავლე. თუ გინდა, კარგად და დიდხანს გეძინოს, კომფორტული საწოლი გჭირდება. ტახტი ყოველთვის გაშალე დანოლის წინ. ბავშვებზე ამბობენ, ძილში იზრდებიანო. ძილი მაგარი რამაა, ძილში ისვენებს მთელი ორგანიზმი, თუ ხელი უხერხულად არ გექნა მოყოლილი. რობერტ დე ნიროს რომ ეკითხებიან, 20 წელი რას აკეთებდიო, ამბობს: ადრე ვწევბოდიო დასაძინებლად.

დახეხარა, ჩემო ღმერთო

მე ჩემი ღმერთი მყავს, რომელმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე 27 წლისამ. ის ძალიან მეხმარება, მე ვიცი. მომავალში უფრო დამეხმარება, იმიტომ, რომ კეთილშობილი ღმერთია. მას უყვარდა გართობა, ისევე, როგორც მე და ის მე გამიგებს და შემიძნობს. მან ყველაფერი წააგო, და ბოლოს თავი მოიკლა, ის ნარკომანი ღმერთია. ის ნარდის საკუთარ თავთან მოთამაშე ღმერთია, კარტის მჩენავი. მან იხილა თავისი ძმა მოკლული. დარჩა ვალები, დარჩა დედა, რომელიც მან მარტო დატოვა. ის ჩემი დეიდაშვილია — გოგა. ის ცოტა დაუნდობელი ღმერთია, როცა მისი დაბადების წელზე ვდებ კენოში, არ ამოდის ხოლმე ის ციფრი. ის არის თვითმკვლეელი ღმერთი. დამეხმარე, ჩემო ღმერთო.

ყავა მიყვარს

ეს იყო რალაც ისეთი, რაც შეუცნობელი იყო ბავშვისთვის. ნათლად ახსოვს ვერცხლისფერი საფეჯავი და მასში ჩაყრილი შავი მარცვლები, დაფქვისას რალაცნაირ სურნელს რომ აყენებდა. დედა ყავას მხოლოდ მაშინ სვამდა, როცა სახლის დალაგებას და იატაკების გახეხვას აპირებდა. ერთხელ ერთი ყლუპი მოსვა დედის ფინჯნიდან და იმდენად არ მოეწონა გემო, რომ დაიჭყანა და გადმოაფურთხა. უნდოდა, დაეღია და

უშლიდნენ. ენერგია არა მაქვს — სულ უფრო ხშირად ჩიოდა დედა. ინვა ხოლმე და ამასობაში ის სახლის მილაგებას ცდილობდა, ფიქრობდა, დედას გაუხარდებოდა. რომ წამოიზარდა, თავადაც მიეჩვია ყავის სმას და ბოლოს იმდენად ხშირად სვამდა, რომ საერთოდ ვერ იძინებდა. ბოლოს გულმა შეაწუხა. ამწუთას დავლიე მეორე ჭიქა და სუნთქვა წერეული გამიხდა, კისრის ძარღვები დამებერა. ამას აღარასოდეს დავლევ.

უსათაურო

გამარჯობა, თოვლო, მოსულხარ ღამით, როცა მე მეძინა. გაგითოშია უსახლკარო ხალხი. ყველაფერი იქნება, ნელა-ნელა. ალაგ-ალაგ არის კიდეც. მიდის ცხოვრება, მიდის ხალხი, და მოდის ახალი ხალხი. თოვლი კი ბარდნის და ბარდნის და უხარია ზოგს. მე კი ვწერ ისევ ამ ჩემს წიგნს და ვეწევი თამბაქოს.

არა სლოტებს

წიგნი გონორით დავიწყე, მაგრამ მე არაფერი ვარ. სლოტების სურათმა როგორ უნდა მოგწესხოს კაცი. ფეხბურთი ლავი და სიცოცხლე არ ჯობია? ნეკნი მტკივა. მე ვარ ერთი დაბოლმილი, შინაგანად აგრესიული ბიჭი. ბევრი არაფერი გამეგება ამ ცხოვრების. მეზობელი, დონ ლერი, მოკვდა. მამაჩემი ემზარი იქ დახვდება და აჭახუნონ დომინო. რალაც მოხტუნავე სურათის დედას შევეცი, არა სლოტებს, არა დოყლაპობას!

ცხოვრება მიდის

გია ეძვევრაძე წერს, ახალი ფსიქიკური ტერიტორიების აღმოჩენაო. რა ვიცი, აბა. გონებადამჯდარი ხალხი ალბათ უფრო აღმოაჩენს, ვიდრე ნარკოტიკებით გაბრუნებული. ალექო შულღაძემ, „ბჰაგავატ გიტა“ წაიკითხეო. ნონამ დღეს დიდი პატივი მცა, კეთილია. ხვალ ავიღებ ინგლისურის ფულს. რაშიც პლიუსავიო ვარ, იმას უნდა მივანე.

ღმერთის სიმაღლა

მე ვცოცხლობ, ასე თუ ისე, რამენაირად. მამა ალბათ უკვე ახლიდან დაიბადა და სხვა სხეულში ცხოვრობს. ეს სამყარო ასეთია, თურმე. სანამ ცოცხალი ხარ, არ მოკვდები და რომ მოკვდები, მერე რისი უნდა გეშინოდეს, სიკვდილს იქით ხომ უფრო დიდი სიცოცხლეა.

ჰიზნი გაჭირვებას

მეზიზღებით. მე გაჭირვების კი არ მეშინია, თქვენი მოგდებული გროშები მეზიზღება, მძულს საკუთარი თავი, როცა მაძლევთ ამ გროშებს. და ის ნოქთარი უფრო მიყვარს, რომელიც სიგარეტს არ მამძლევს ნისიად, რადგან ადამიანად მთვლის და მიაჩნია, რომ უნდა ვმუშაობდე. და შენც მეზიზღები. მე მივხედავ ჩემს თავს, გაჭირვებული რომ არ იყო, სხვას უნდა მოემსახურო, ვინმეს უნდა ეკონტაქტო, რომ ფული გადაეხადოს. ყველაფერი მეზიზღებით. გაჭირვების არ მეშინია, სხვის ხარჯზე ცხოვრებისა მეშინია.

თუ გააჩნია, კიდეც მარჩინა

ასე მღეროდა ხოლმე მამაჩემი. ჰოდა, თუ გააჩნინე, კიდეც მარჩინე, ღმერთო.

ზარეულ ადამიანები

ვერ ვიტან მსგავსებს. გულს მირევენ. დიდი ვინმე რომ ჰგონიათ თავი. ზერელედ რომ გეკიდებიან. არ მიყვარს. ხალხს რომ ვუყურებ, ყველა გაფუქსავატებული და გათახსირებულია. აბა, რა იქნება. ფასებმა კატასტროფულად იმატა ყველაფერზე. ცხოვრება შეუძლებელი ხდება თანდათან. რა უნდა ქნა კაცმა მთელი დღე სახლში მარტომ, სამსახური მაინც მჭირდება, ამის დედაც, ჯეკ. შემპირდნენ და იქნებ გამიხერხონ რამე. იმედია, იქნება რამე. იმედი მაქვს, ახალი წლის მერე მაინც დავიწყებ რამე სამსახურს. აბა, რა უნდა ვქნა. არ ვიცი, არ ვიცი. ღმერთის წყალობით ვცოცხლობ ფაქტობრივად. ვინმე მკითხულობს, რამეს მაწვდის, მეხმარება თუ რა? წონას გარდა.

მცნება

არ ისაუბრო შენს ურთიერთობებზე. არ-ავისთან.

ყოველთვის იყავი იქ, სადაც ხარ. დაინ-ახე ხე? დაინახე ხე! დაინახე კაცი? დაინა-ხე კაცი. ჩამოართვი ხელი, თუკი იცნობ.

დაინახე კაცი? არ იცნობ? არ მიესალ-მო, ხანდახან შარია.

სიტყვები მაინც დაგრჩება. შეგიძლია, გაერთო სიტყვებით. გამოფხიზლდი, არ მოგეწყინოს. გული უნდა გულობდეს. შეუ-რაცხოფა არ მიაყენებინო.

მწარე იქნება თუ ტბილი, სიტყვა სიტყ-ვაა. განახებენ წიგნებს? ნახე წიგნები.

სოფლის სახლი

სოფლის სახლს ვყიდით. არ იყიდება 7-ად. არადა მაგრად დამხატავდა. თუ ყიდ-ულობს, იყიდოს იმ მეზობელმა კიდევ, რა! ბოლოს და ბოლოს, სრული 1 წელია უკვე, რაც უმუშევარი ვარ, ამის დედაც, ჯექ და მეტიცაა, შუალედიანად თუ დავითვლი.

ახალი წელი მოდის

13 დღე რჩება 2018 წლამდე. მოვა, მოვა, აბა, სად წავა. კანფეტები მაინც მექნება, იმედია. მეტი დიდი არაფერი მინდა. უნდა გამოსცადო ეს ცხოვრება ადამიანმა შენს თავზე. ეხლა ერთ ღერ სიგარეტს გავაბო-ლებ. ნონამ პროექტი დაწერა. მალე შეიტ-ანს. იქნებ დაუფინანსონ და ცოტა წელში გაიმართოს, გავიმართოთ. იმედია, კარგად წაუვა საქმე. თეთრი კატა... თეთრი კატა... ასე უნდა თქვა, რომ არ დაითარსო. სამუ-შაო თუ გამომიჩნდა კიდევ, რამე იქნება საშველი, მაგრამ ძნელია, ფაქტობრივად, შეუძლებელია აქ სამსახურის პოვნა.

კრედიტები

სიგარეტს რომ არ მოვწევდე და სლო-ტებს არ ვითამაშებდე, ცალკე ფილტვები და ჯიბე დაისვენებდა და ცალკე ნერვი დამიწყნარდებოდა. იმედია, ასეც ვიზამ. ვალების გადახდაზე ვკონცენტრირდები და ფულს დავზოგავ. ქრისტინემ დამირეკა, „ვივუსის“ ვილაციის რალაცამ და ვალის გა-დანაწილებას მიკეთებს. ერთიანად დამიგ-როვდა შარშან. ერთიანად ვერა, მაგრამ ნაწილი გავისტუმრე და ნაწილსაც გავის-ტუმრებ, იმედია, ნელ-ნელა.

სავდა ცოტა მომავლდა

დეპრესიული თავები უკვე მრავლად შე-გხვდათ და კიდევ არავლად შეგხვდებათ, სავარაუდოდ. ახლა არ ვარ სევდიან განწ-ყობაზე და არ ვფიქრობ ისეთ სინალდეებ-ზე და გულისტკივილებზე და მამაჩემის სი-კვდილ-სიცოცხლეზე და გულგატეხვებზე და ტკივილებზე, როგორც ზოგიერთ ზე-მორე დანეროლ თავში. ეს კარგია. ახალი წელი მოდის და მივულოცავ იმ ქვეყნად დეიდა ლუიზას, მამას, დედას, გოგას, დათ-ოს, ბიძას და სხვებსაც. ბებიას, ბაბუას, ღმ-ერთმა აცხონოს თქვენი სულები. მენატ-რებით. ხსოვნა იყოს.

სოფელში

ორ კვირაზე მეტია, რაც სოფელში ვა-რთ, აბაშაში. საოცარია, კოლოები თითქმ-ის არ არიან. ირაკლი სახლში არ არის. გო-ჭები გადმოვიდნენ ხიტურის ეზოდან. ძველ ალბომში ამოკითხული: „აჰა, ნახე ჩემი სა-ხე, თუ მოგწონსა“, შეინახე და თუ არა — არას დაგდევ, ბუხარშიაც შეუძახე!“ ვკითხ-ულობ: „კინალამ დამავინყდა, იოსებ იმე-დაშვილი ჩემი ქართულის ნათლიაა. რუსე-თიდან რომ დავბრუნდი — ვაღიარებ ჩემს სირცხვილს! — ქართული თითქმის დავინ-ყებული მქონდა. ბედმა იმედამვილის წიგ-ნის დუქანში შემიყვანა. მოვითხოვე ქარ-თული წიგნები. ერთმანეთს გამოვეცნაუ-რეთ. იმ დღიდან ხშირი სტუმარი გავხდი მისი დუქან-სამკითხველოსი. სანამ „ცნო-ბის ფურცელში“ დავინყებდი მუშაობას, ჩემი ქართულის მასწავლებელი იოსები იყო. პირველად იმან წაიკითხა ჩემი პირვე-ლი მოთხრობა „ჩანჩურა“ და იმანვე გამაგ-ზავნინა „ცნობის ფურცლის“ რედაქცია-ში“ — მიხეილ ჯავახიშვილი... „ყოველ ეპ-ოქას საკუთარი კულტურული შინაარსი აქვს. მისი ხასიათი და განვითარება ხელო-ვნებასა და ლიტერატურაში ცხადდება“ —

ლიტერატურული გაზეთი

ვანედ ბიბინებს ცხოვრების ხე ოქროცურ-ვილი“ — გოეთე.

1998 წლის 24 ივლისი, პარასკევი

დღის პირველი საათი. 37°C ჩრდილში. სოფელში ვართ. ეზოს ვასუფთავებთ. დაფ-ნა მოვჭერთ. ჯუშუ გვეხმარება. ირაკლი უნდა წასულიყო ფოთში. ხვალ მეც ვაპირ-ებ. ფულს ემზარს გამოვართმევ. წუხელ ზანათში ვიყავით. მდინარეში ვიბანავით. იკამ ცურვა ისწავლა, მალე კარგად იცუ-რებს. ჯემალი და მამაჩემი ემზარი დათე-რნენ. ემზარს სწრაფად მიჰყავდა მანქანა და სუჯუნის ცენტრში ინსპექტორმა „კუკა-რაჩამ“ გაგვაჩერა, მაგრამ ემზარი დაუსხ-ლტა. ამ დილით სახლში მოგვადგნენ. არ-აფერი. წავიდნენ. ახლა ვისვენებთ. პაპა-ნაქებაა. ღამით თბილისი და თბილისელები მესიზმრება. ახლა ათასგვარი გრძნობა მა-ქვს. ლუიზა დეიდა უნდა ჩამოვიდეს, ასე გავიგე. შეიძლება, თამუნაც ჩამოიყვანოს, თეაც. სალამოს აბაშაში წავალ, ახლა გადა-ვნყვიტე, მომწყინდა სულ ასე მშვიდად წიგ-ნებთან ყოფნა. ვნახოთ. აი, ამ წამს მილი-ონი კაცი მენატრება, ყველაზე უფრო — ლიკა. „ქარი ქრის ქარი ქრის ქარი ქრის ფოთლები მიქრიან ქარდაქარ ხეთა რიგს ხეთა ჯარს რკალად ხრის სადა ხარ სადა ხარ სადა ხარ...“ ლიკა ახლა ბათუმში იქნე-ბა. ამ სალამოს თბილისში უნდა დავრეკო შარტავასთან. მოვრჩი.

2 აგვისტო. 1998

დღეს ჩემი დაბადების დღეა. დღეიდან 15 წლის ვარ. სტუმრები წავიდნენ. მამა მთვრალია, სძინავს. მამას ცოლი მეძახის. ჩავედი დაბლა. მაგიდას ალაგებს. ჭიქები გამომატანა. ციალას სამი გრაფინი გავ-ტეხე და საერთოდ ჩემს ხასიათზე ვარ. დღ-ეს დილით გათენება ვიგრძენი, მაგრამ ად-გომა არ მინდოდა, კარგ სიზმარს ვხედავ-დი. ვიტრიალე ლოგინში. მერე ავდექი, ჩა-ვედი დაბლა. მამა და ლიანა აბაშაში იყვნ-ენ. ირაკლი, სოსო და ბებია ისხდნენ. საქმ-ელი ვჭამეთ, ჩაი დავლიეთ. მალე ზაპოც მოვიდა, შემოვიდნენ ელდარი და მამა. ხელი ჩამოვართვი. მომილოცეს. ელდარ-მა, გამოვასწორებო. მე და მამა წავედით აბაშაში. ჯერ მანონისთან შევიარეთ. მამა შევიდა, მე მანქანაში დავრჩი. უკვე მაგრა ცხელა. მზე აცხუნებს. მანონი ჭმუკრისკენ წამოვიდა. მე შევეგებე. მომილოცა. სახლ-ში შემოდიო. მოვუბოდიშე, შორტით ვიყავი და ისევ მანქანაში ჩავჯექი. მალე მამაც გა-მოვიდა და წავედით გიასთან. ჭიშკართან შეგხვდნენ ხათუნა, გიკო და ალეკო. ბაზ-რიდან დაბრუნებულან. შევედით. ისხდნენ ნინო, მალხაზი, ქეთინო, ზურიკო, ნათია, სალომე, თალიკოს და (მგონი, ღალუ ქვია). ვილაპარაკეთ. ნინომ, გია საფრანგეთში იყოო. შაბათ-კვირას გვესტუმრეო. მერე მამა და ზურიკო წავიდნენ, მე და მალხაზი დავრჩით და ვსაუბრობდით ფეხბურთზე. ნათიაც ჩვენთან იჯდა. ოუენის სურათი მა-ჩუქა. ზურიკოც შემოვიდა და მამაშენი გე-ძახისო. გავედი. 22 ლიტრი ღვინო უყიდია. ბაზართან გააჩერა და გადავიდა. პამიდო-რი, ყველი და რალაცები დაამატა. მერე წა-ვედით თონეში პურის საყიდლად. უკანა საბურავმა დაიშვა. პური ვიყიდეთ და სა-ბურავის დაბერვა დავინყეთ. დავბერეთ და წამოვედით. მატარებლის გადასასვლელ-თან ისევ დაიშვა. ჩავაგორეთ ნელ-ნელა ვულკანიზაციაში, გავაკეთებინეთ. მოვე-დით ენერში. ჯუშუს გოჭები დაეკლა, ცია-ლა რეცხავდა. ლიანა და ბებია საქმელებს აკეთებენ. შეშა დავჩეხე, ცეცხლი დავანთ-ეთ და შემოვდგით ბურეაკი მოსახარშად. მამამ ირაკლის „პოლიტრა“ მოატანინა, ჯუშუმ და ელდარმა დალიეს. მე ლუიზა დეიდას მოყვანა მინდოდა. მამას ვუთხარი და წავედით, ირაკლიც წამოვიდა. სუჯუნა-ში არ შევსულვართ, ჯემალთან წავედით. გზაში შეგხვდნენ ემილი და გურამი. ჩამ-ოვსვით აბაშისპირას. მივედით ჯემალთან, ეძინა. რატი იწვა, ეძინა. დათო არ იყო ჩამ-ოსული. სალამოს მოვალთო. თურმე ლუი-ზა და თამუნა ფეხით წამოსულან. წამოვე-დით და საწყობთან დავენით. ისხდნენ გა-დაჭრილ ხეზე და ისვენებდნენ. გამეცინა. მოვედით სახლში. თამუნამ დაიწყო ხტუ-ნაობა და თამაში. მე და ემილი გიჟოსთან წავედით, ფაროც იყო. მალე დავბრუნდით. გზაში გიტარა, გიტარა, გიტარა... მოვედ-ით და მოვიდნენ ზური, მაიონი, ჟორა, და-

პროზა 7

თო. ჟორამ საათი მაჩუქა. ეს ერთი წელი იმუშავებს და მომავალ დაბადების დღეს ოქროს საათს გიყიდო. დიდი მადლობა-მეთქი. მალხაზიც მოვიდა. ნარდი ითამა-შეს. სუფრა გამალეს. ჯემალს დაველოდეთ. დაცხედით. დათო შემოგვესწრო თბილი-სიდან. მარინამ სურათები გადაგვიღო. ახ-ლა მეძინება.

რომალილაც ნოემბერი. 1998

ახლა სალამოს 11 საათია. „რუსთავი 2“-ზე „ამერიკელი პარიზში“ გადის, მაგრამ არ ვუყურებთ. 18-სთვის ფეხბურთის ბილ-ეთები არ დამავიწყდეს. დღეს ისეთი გონ-სასიერო ამბები მოხდა, რომ თავში ჩამებე-ჭდა, ალბათ რომელიღაც ნაწერში გავიხსე-ნებ. „ლიტერატურულ საქართველოს“ ვკ-ითხულობ. 12-ზე დავიძინებ. ალბათ დენიც ჩაქრება.

6 ნოემბერი. 1998

ახლა იყო ჩვენი უზნელი მსახიობი, ვანო საყვარელიძე. მოხუცი და დიდად პატივსა-ცემი. მამაჩემი იკითხა. „არ არის“. „სად არ-ის?“ „გარაჟს აკეთებს.“ „ხვალ იქნება?“ „კი, ხვალ დილით.“ წავიდა ზურგზეჩანთამოკ-იდებული. ლიფტით არ ჩასულა, ფეხით ჩა-ვიდა. „ცისფერი მთები“ გამახსენდა. ვიცი, რაც ენდომებოდა, დენი არ ექნებათ ან რა-მე ელექტრო ექნებათ გაფუჭებული. ემზა-რმა ელექტრომრიცხველი გაუკეთა. ექვსი თვეა, ხელფასი არ ამიღია, თორემ პატივს გცემდიო, მოდი, მერე სანადიროდ წავიყ-ვანო.

7 ნოემბერი. 1998

ცივა. დილით 53-ე სკოლაში ვიყავი. ჩე-მი დეიდაშვილების, დათოს და გოგას, სკო-ლაა. ჩავენერე დებატების კლუბში, პრეს-ცენტრში. პრეზიდენტი თვითონ ჩამწე-რეს. ერთი კარგი ბიჭიც გავიცანი. დებატე-ბის კლუბის სათაური უნდა მოვიფიქრო და ემბლემა. მელიქიშვილე გადამიდგა მოხ-უცი ქალი, პენსიონერი ვარო, 20 ან 40 თე-თრი ხომ არ გექნებაო, ეჰ! 12 თამაშზე მი-დევს 50 თეთრი. ვიყიდე „სარბიელი“. ამო-ვედი სახლში, ლაშა შ.-მა და მე ვუყურეთ ასტონვილა-ტოტენჰემს, 3:2 და წავედით. ემზარი „სვარკავდა“ ედიშერის ფარეშში. ირაკლის სძინავს. ემზარი დღეს ამთავრე-ბს „სვარკას“ და ალბათ დაღევენ. ორი სუ-ლელური ლექსიც დავწერე. სასტუმროს ფანჯრიდან ლამაზი გოგო იყურებოდა და იმის ბრალია.

მარადიული ფრაზა

მარადიული ფრაზა: „ღმერთო, შეაყვა-რე ქართველს ქართველი და საქართველო, რადგან ამ უკანასკნელს არაფერი დაუშა-ვებია“ — ვაჟა-ფშაველა.

*

ქართველებს შემოენახათ ერეკლე მე-ფის იარაღთმცოდნეებისგან რკინისა და ძვლის მკვეთელი ხმლის საიდუმლო. ხმალს გამოკვერვისას პირზე აყრიდნენ რალაც უცნაურ ფხვნილს, მერე ცხენოსნები მიად-გებოდნენ სძიჭედურებს, გამოართმევდ-ნენ ოსტატებს გავარვარებულ ხმლებს და სასტიკი ჭვნების პროცესში აწრთობდნენ. რუსეთის სარდლობამ შეისყიდა ეს საიდუ-მლო ვინმე ყარაშანისგან და პეტერბურგ-ში დამზადებულმა ქართულმა ხმლებმა გა-დასწყვიტეს მთიელების კავალერიის ბედი.

*

„კვალად იალლუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელიც არის რუსთავი. ესე აღაშენა ცო-ლმან ქართლოსისამან ციხე-ქალაქად. შე-მდგომად მეფემან თრდატ აღაშენა ეკლე-სია კეთილი. გორგასალ დასვა აქ ეპისკო-პოზი და იყო მეფის დავითისამდე. არამედ გამოსვლასა ბერქა ყეენისასა მოოხრდა და აწცა არს ოხერ. ამ ჟამთა ქმნა სასახლე მე-ფემან ერეკლემ. მერე შემუსრა მეფემან ვახტანგ (იგულისხმება ვახტანგ VI). ხოლო საზღვარი ამის არს დასავლით მტკვარი, ჩრდილოთ ლოჭინის ხევი. აღმოსავლით მთა გარეჯისა, ვიდრე მწარე წყლამდე. სა-მხრით — მწარე წყალი“ — სწერს ჩვენი სა-ხელოვანი ვახუშტი ბატონიშვილი.



19 ნოემბერი. 1998

დღეს ცივი, წვიმიანი ამინდი იყო. დილით სკოლაში წავედი. ფიზკულტურის მასწავლებლის დედა გარდაცვლილა. შემდეგ დოდომ შემიყვანა ირაკლის კლასში. 18 დეკემბერს „კავეენი“ უნდა ჩავატაროთ სკოლაში. მერვე კლასს აუხსნა, ეს თვითმმართველობის პრეზიდენტი იყო. პრეზიდენტზე ასეთი ასოციაციები გაჩნდა: „დაცვა გყავთ?“ გარეთ მელოდება-მეთქი. ირაკლის უთქვამს, ტერაქტი მოვუწყოთო. „კავეენში“ მონაწილეობას მიიღებენ მერვე, მეცხრე, მეთექვსმეტი კლასები. დოდო მასწავლებელმა, თემები მოიფიქრო. პირველი მისალმება იქნება, მეორე — სკოლა, მასწავლებლები, ბავშვები, ახალი წელი მოდის, კითხვა-პასუხი. მერე მოვედით სახლში. ლუიზა დეიდა დაგვხვდა, ნამცხვრები მოუტანია მაღაზიაში. ეკა ბ.-ზე მოყვა რაღაცები, მაგარი ქაჯი იყო. მე დაბარებული ვყოფილვარ პოლიკლინიკაში აცრაზე. არ ჩავედი, გაცივებული ვარ და მერე ყველაფერი ღვთის ნებაა. ირაკლი წავიყვანე ვარჯიშზე და ლადოც ვნახეთ. ახლა მეძინება და ბებიარეში მენატრება. ალბათ ზის მარტო ოდაში, ლამაზ უნთია და ფიქრობს, რატომ არ ჩამოვიდნენ ამდენ ხანსო. ლუმელს ალბათ ელდარი აუტანდა, მაგრამ შუშა არ ექნება, ეჰ... ახლა რომ წავალთ, თუ წამოგვყვა, ჩამოვიყვანო. ბაბუაყ მენატრება. დედა, შენს დაღლილ სახეს ვხედავ, შენს ლამაზ ხელებს ვკოცნი. დამესიზმრე, დედა, რა, ცხადებით სიზმარში დამესიზმრე, გეხვეწები. ირაკლის სძინავს, შეიძლება ირაკლის ესიზმრები.

25 ნოემბერი. 1998

ოთხშაბათია. დღეს დავამთავრეთ ნიკოლოზ ბარათაშვილი და დავიწყეთ ილია ჭავჭავაძე. მედეა მასწავლებელმა ჩაგვანერინა მკვლელობის შესახებ საკითხავი. მე წავიკითხე ალექსანდრე სიგუას წიგნი ილიაზე. მომეწონა. გეომეტრია ვისწავლე. დღეს ჩემპიონთა ლიგის მესხეთ ტურია: ოლიმპიაკოსი-პორტუ, აიაკსი-კროაცია, გალათასარაი-იუვე (გადადიდო, ვილაც თურქს იტალიელები მოუკლავს), რუსენბორგი-ატლენტიკი, სპარტაკი-შტურმი (შტურმმა არ უნდა წააგოს, ჩემი აზრით), ინტერი-რეალი, ბარსელონა-მანჩესტერი, ბაიერი-ბრონდოიუ. პირს გავიპარსავ. ნიკო გამომივლის და წავალთ... ისე, სჯობდა, მედეა მასწავლებელმა შემოქმედება ესწავლებინა და მერე, ვინ ვინ მოკლა.

27 ნოემბერი. 1998

მოღრუბლულია, ჟინჟლავეს. დილით ლუიზა დეიდა იყო მოსული. ახლა მამაჩემი ემზარი და ბატონი ანზორი არაყს სვამენ. ემზარმა დაუკაჟუნა კარზე, ცოლმა გააღო: „ანზორი სახლშია?“ „კი. ანზორ!“ შემოვიდნენ აქ და სვამენ, უკვე მთვრალეები არიან. გენაცვალოს ჩემი თავი და ასეთები. ანტენის ხალხი უნდა მოვიდეს, ფული არ გვაქვს. წავიკითხე გაგა შურლაიას ნათარგმნი მოთხრობა ჟან-პოლ სარტრისა „კედელი“. ბინდდება. ახლა რადიოს ჩავრთავ.

1 დეკემბერი. 1998

გუშინ მოვიდა პირველი თოვლი, მოულოდნელად და პატარებს სიხარული მოუტანა, დედებს კი ამცნო ზამთრის დადგომა და გაუჩინა საფიქრალი. გამახსენდა, რომ შარშან ამ დღის ყინავდა, მაგრამ არ თოვდა. ვახოსთან ერთად ჩავდიოდით კიბეზე და ნეტავ თოვლი მოვიდოდეს-მეთქი. რად გინდა, ტო, იჭმოდეს მაინცო, გაიხუმრა და დაამატა, მოხუცებს ფეხი უცურავთო. სამაგიეროდ, ბავშვებს უხარიათ-მეთქი. დღეს დილით უკვე დამდნარიყო. „პირველი თოვლი მე მაგონებს პირველ სიყვარულს“ — ვალერიან გაფრინდაშვილი. დიფთერიის აცრაზე ჩავედი და სკოლაში მისვლაც დამავიანდა. „სარბიელი“ და პროგრამა ვიყიდე. პროგრამა ანას ვათხოვე. „სარბიელი“ სამუშაოდ ინვესტ ინგლისური ენისა და სპორტის მცოდნე ქალებსა და ვაჟებს. საღამოს საკონტინენტთაშორისო თასისათვის ითამაშებენ „რეალი“ და „ვასკო და გამა“ — ტოკიოში. „რეალი“ მოიგებს ალბათ და ვუყურებ. თომას „სარბიელები“ უნდა გაუფუგავნო დუბაოში. ზურა ბიძიას ევლაპარაკე. დღეს თალიკო ბებიაწა წლისთავია.

გიორგი კუცია

დუმილის დარღვევა

ფრაგმენტები მომავალი წიგნიდან



ასაქო თამაზს ჰნარდი

ამ ქალაქში მე არ ვარსებობ

ლექსი „ვეფხისტყაოსნის“ ქართული ხალხური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშია. ბალადაში გადმოცემულია ახალგაზრდა მონადირის და ვეფხვის ბრძოლა. ჭიუხებში ჯიხვებზე მონადირე ვაჟაკი ვეფხვს გადაეყრება და შეებმება. მათი შებრძოლების ადგილზე მინა იძრა, კლდეები ჩამოინგრა, ხეებს ტოტები დაეღუნა. კლდის ვეფხვის თავდასხმებს მოყმე ფარის აფარებას ვერ უსწრებს, გაშმაგებულმა ცხოველმა ბრჭყალებით ერთიანად ჩამოაფხრინა ჯაჭვის პერანგის კალთები. ბოლოს მოყმემ თავისი ფრანგული იმიშვლა და სასიკვდილოდ დაჭრილი ვეფხვი კლდეზე გადაეკიდდა. თავად კი, სულთმობობაში, კლდის თავს შემონვა. ვეფხვისა და მოყმის სისხლმა ქვიშა ნითლად შეღება. შვილზე მოტირალ დედას მხოლოდ ის ანუგეშებს, რომ ვაჟაკი გაუზრდია, მეგობრობაში უღალატო, ომში უბადლო, ვეფხვთან შებმასაც რომ არ შეუშინდა და ეამაყება: „ერთ შვილ ხომ მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია!“ შვილმკვდარ დედას სიზმრები არ ასვენებს. ვეფხვთან მებრძოლი შვილი ელანდება. ტირილით გამოღვიძებული გადანყევტს, ვეფხვის დედასთან წავიდეს სამძიმრის სათქმელად. ისიც ხომ დედაა და ისიც ხომ იტანჯება შვილის სიკვდილით: „იქნება ვეფხვის დედა ჩემზედ მწარეთა სტირისა? წავიდე მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა, ისიც მიამბობს ამბებსა, მეც ვუთხრა ჩემი შვილისა.“ შვილის სიკვდილმა დედა კი არ გააბოროტა, არამედ ვეფხვისა და მისი დედისადმი თანაგრძნობით აღავსო და აამაღლა. დედის სახეში განხორციელებულია ქართველი ქალის საუკეთესო თვისებები: შვილისადმი უსაზღვრო სიყვარული, სიამაყე მისი ვაჟკაცობით, თვით მტრისადმი თანაგრძნობა, დიდი ჰუმანიზმი და მაღალი ზნეობა. სწორედ ამიტომ მოყმისა და ვეფხვის ბალადა მნიშვნელოვანი და ზოგადსაკაცობრიო ნიმუშია პოეზიის.

მოპასანმა თქვა

მოპასანმა სიყვარულზე თქვა: „სიყვარული თუ გინდა, უნდა დაბრმავდე, გონება დაიხშო, აღარაფერი დაინახო, აღარაფერი გაიგო.“ მოპასანი ჭკუიდან შეიშალა და 1893 წელს გარდაიცვალა სულით ავადმყოფთა თავშესაფარში.

ამაჰ

მამამ ყელის ოპერაცია 20 წლის წინ გაიკეთა მოსკოვში. მერე ფიზიკურ მუშაობაზე გადავიდა და ასეა დღემდე. ეხლა მამა 58 წლისაა. მოსკოვიდან ტელეფონზე რეკავდნენ მეზობლებთან, ხან მეექვსე საათულზე ავდიოდი, ხან — მეცამეტეზე. მამის ჩახრინწული ხმა რომ გავიგე, გამიკვირდა. როგორ ხარ, გიოო. არ ვიცი, რას გრძნობდა იმ წუთას. დედამ ძალიან გემრიელი შოკოლადის ფილა და ყვითელი ბურატიონი ჩამომიტანა. ბურატიონს კისერზე ოქროს გასაღები ეკიდა. რვეულებიც, ფანქრებიც.

6 საათზე გამომღვიძა. არ ცხელა. ქუჩაში არავინ ჩანს. მზემაც უკვე გამოაჭყიტა. დაცხება. ზაფხული მალე დასრულდება. შემოდგომაზე უფრო ბევრს დავწერ. მე ერთი მკითხველი ვიპოვე. მისთვის დავწერ ხოლმე. თუ შენს წაწერებს ერთი ადამიანი მაინც კითხულობს, აქვს აზრი წერას. მკითხველს კი არაფრით ვყოფა ერთი მწერალი, გინდაც დანტე იყოს ან შექსპირი. ან სულაც რუსთაველი შოთა. ხვალ ქალაქიდან გავდივარ, უფრო სწორედ, სახლიდან, ამ ქალაქში მე არ ვარსებობ

პირდაპირი

ჰოდა, ის წელია, როცა ციხეში არიან კ. და ს. და მათი დედა პერედაჩებზე ჩალიჩობს. ამოაქვს ჩვენთან ფქვილი და ლუიზა უცხოებს თხელ ხაჭაპურებს მარგარიტო. ერთს გადატყვს და ჩემთვის ლოჯში გამოაქვს. მე ვჭამ, მარა ცარიელი უგემური ცომა. მერე მე ცირას ვაცილებ, მაღაზიაში შოთის პურს ყიდულობს.

არაღაღებები

4 თვე იყო, თბილისი არ მენახა. ვიყავი სოფელში. სწავლა ჯერ დამთავრებული არ იყო, როდესაც მამაჩემმა აგვკრიფა მე და ჩემი ძმა ბარგიანად და 4 თვე გვიკრა ბებიასთან თავი. წელი იყო 1999. რამხელა დრო გასულა მაშინ იქ. ეხლა 4 თვე რამხელა დროა, არც ინტერნეტი, არც ტელეფონი, არც ტელევიზორი. რალაც წიგნები და რვეულები. რა იყო მაშინ ჩემთვის თბილისი. დილით გაღვიძებული ვნატრობდი, რომ ხაჭაპურის ფული მქონოდა. ფურცელაძის ქუჩა და თავისუფლება. კროკოს 50 თეთრიანი ბილეთი. გამხდარი. ის დრო მგონია, გაქრა. ვინც მაშინ ცხოვრობდა, ისინიც, ასე მგონია, მერე გაჩნდნენ, იმ წარსულიდან არ მოსულან. არც ჩემი თავი მოსულა იმ წარსულიდან, ზაფხულის 40 გრადუსიან სიცხეში ხევით ამოსვლიდან. რა სიუჟეტი უნდა ყოფილიყო მარშუტკაში ჯდომით? სასტუმრო აკადემიურის გორაკზე ყაყაჩოები ყვოდნენ. ვკრეფდით მასსოვს მე და დეიდა. ამ მოვონებამ გამახალისა.

კაპაღაზი ბუთია

კაბელის ბუთქვას და „იაჩიკის“ შეგორებას შეენარა მამაჩემის მხედველობის უდიდესი ნაწილი. ვილაც კაკოს გინებაც მოდაში იყო. „ბუტკებიც“ იდგა. მოკლედ, როგორც მერე მამაჩემი ჰყვებოდა, ეს შენი „იაჩიკა“ შეუგორებითა ჩართულზე და მიუღუღებია ზედ მაღალ ძაბვას. მამაჩემს და მეზობლის კაცს სახეზე ქურთუკები აუფარებიათ და არც ისე მძიმე დამწვრობით გადარჩენილან.

ფახაზურთაბი

უნგრეთის ჩემპიონატში „დიორ ეტოსა“ და „ფერენცვაროშის“ შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა, მატჩი-

ის ერთადერთი გოლი დიორელთა ქართველმა ფორვარდმა რატი ალექსიძემ გაიტანა. 32 წლის ქართველმა ლეგიონერმა თავი თამაშის 50-ე წუთზე გამოიჩინა. მესამეადგილოსანი „ფერენცვაროშის“ დამარცხების შემდეგ ალექსიძის გუნდი 20 ტურის შემდეგ მოპოვებული 27 ქულით სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზეა. „მილანის“ მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალევგრამ იტალიის ჩემპიონატის 30-ე ტურის მატჩში „პალერმოსთან“ (0:1) დამარცხების შემდეგ მისი გუნდის მიერ გაშვებულ სწრაფ გოლზე დაიჩვილა. ალევგრამ ისიც აღნიშნა, რომ პაუზა, რომელიც ნაკრებების თამაშებით იქნება გამოწვეული, მის გუნდს წაადგება. „ჩვენს თამაშზე სწრაფმა გოლმა იმოქმედა. პირველი ტაიმი ძალიან სუსტად ჩავატარეთ. მეორე ნახევარში თამაშის დალაგება შეეძელით, მაგრამ მომენტების რეალიზაციამ გვიშუხთლა. ნაკრებების თამაშებით გამოწვეული შესვენება „მილანის“ სასარგებლოდ იმოქმედებს. სიტუაციის გასაანალიზებლად და დასკვნების გამოსატანად დრო გვექნება. ნებისმიერ შემთხვევაში „მილანი“ სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე რჩება“. მომზადებულია Football Italia-ს მიხედვით. „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ესპანეთის ჩემპიონატის 29-ე ტურის გასვლით მატჩში „ატლენტიკოს“ (2:1) დამარცხების შემდეგ ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე ისაუბრა. პორტუგალიელი სპეციალისტის თქმით, ის თავისი შეგირდებით ამაყობს, რადგან მათ ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და დადებით შედეგს მიაღწიეს. „ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. იოლი შეხვედრა არ ყოფილა, ფეხბურთელები დაღლილები იყვნენ. არბიტრმა მოედანზე დაძაბული და მძაფრი ბრძოლის მიუხედავად, უბრალოდ ბრწყინვალედ იმუშავა. შესანიშნავად ითამაშა კასილასმა, თუმცა არ მომეწონა, რომ მცველები მეტოქეს მისი კარის მისამართით დარტყმის საშუალებას ხშირად აძლევდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში ჩემი გუნდით ვამაყობ“ — განაცხადა მოურინიომ. მომზადებულია Marca-ს მიხედვით. „ჩელსის“ თავდამსხმელმა ფერნანდო ტორესი, რომელსაც თავისი ახალი კლუბის შემადგენლობაში გოლი ჯერ კიდევ არ გაუტანია, დარწმუნებულია, რომ თავის გამოჩენას პრემიერლიგის დღევანდელ მატჩში „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ შეძლებს. მან თავისი უგოლო სერია „ლივერპულში“ ადაპტაციის პერიოდს დააბრალა. „როდის შევწყვეტ უგოლო სერიას? ფიქრობ, ეს კვირას მოხდება. ამას ვგრძნობ. „მანჩესტერ სიტისთან“ მატჩი მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენთვის ისე მეტოქისთვის და ამ შეხვედრისთვის ბოლომდე მზად ვარ. დიახ, ადაპტაციისთვის გარკვეული დრო დამჭირდა, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა. დარწმუნებული ვარ, რომ „ჩელსის“ ტიტულის მოგება და ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მიღწევა ჯერ კიდევ შეუძლია. ყველაფერი ჩვენს ხელთაა“ — თქვა ესპანელმა. მომზადებულია The Daily Star-ის მიხედვით.

იგის კანჭი

იგი ბავშვობიდან სწავლობდა დაკიდების ფილოსოფიას. მართალია, მისი ანუ იგის ნაშრომები სასკოლო თავისუფალი თემების დონეს ვერ გასცდა, მაგრამ ის (იგი) იყო პირველი, ვინც ბავშვობიდან შეუდგა დაკიდების ფილოსოფიის ლოდის გორებას. ლოდი იგის ხელებში თანდათან პატარავდებოდა და ბოლოს კენჭად გადაიქცა. იგიმაც საბოლოოდ ისწავლა (მანაც მანვე) დაკიდების ფილოსოფიის მულამი და იგის ეკიდა ეს ცხოვრება და იგი მოკვდა ისე, რომ ეკიდა ეს ცხოვრება და იგი მოკვდა ბედნიერი. კენჭი კი დაგორდა თანდათან და იგის ფილოსოფიის მიმდევრებს ლოდად ჩაუგორდა და გადასრისა იგის კენჭმა ლოდადქცეულმა იგის რამდენიმე მიმდევარი და ბოლოს იმასთან გაჩერდა, ვისაც უკვე ეკიდა დაკიდების ფილოსოფია. იგის კენჭმა ისევ ლოდადქცეულმა ფუნქცია დაკარგა და წაიღეს რომელიღაც მშენებლობაზე და მისისძვრის დროს პირველი ჩამოიშლება ქვა იგი.

შაჰითხვა ერთ ავტორს

პირველი ნაბიჯი რომ გადავდგი, ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი გაქრა; მეორეს მიჰყვა სახლის გასაღები, მესამეს მიჰყვა

ტელეფონი, რომლის ასფალტზე დაცემის ხმაც არ გამოიგია. ჯიბეში დარჩა სანთებე-ლა. ამოცანა გვეკითხება, რატომ არ გა-ქრა ეს შავი სანთებელა, რომელსაც მერე მთელი გზა განერვიულებული ვანთებდი და ვაქრობდი და ბოლოს დაიცალა. ტბას რომ მივუახლოვდით, ტბაც გაქრა რამდე-ნიმე ნავთან ერთად. ტყიდან სინდიოფალა გამოძვრა და ქუჩას სანამ გადაირბენდა, გაუჩინარდა. მან თქვა, რომ სინდიოფალა იყო, მე კატა მეგონა — ასე 20 მეტრიდან. ძალიან ჩქარა მივდიოდი. აღარ ისმოდა მუსიკა. დღე მთავრდებოდა. წავიკითხე შე-ნი წაწერი. რამდენიმე რვეული გამქრალა, ის რვეულები, სადაც ფაქტოლოგიური მა-სალები იყო. დარჩენილია ზღაპრები და ლექციების კომიკური ჩანაწერები.

დედა: მე წავედი გაკვეთილზე. მოვალ მალე. ჭამე ნესვი.

მამა: მასწავლებელთან ვიყავი. შენზე თქვა, მითხრა, სოფელში მივდივარო. დე-დაშენმა სახლიდან გამაგდო, რომ არ მო-მეკალი.

ძმა: კარტი დადე თავის ადგილზე.

ბებია: შვილო, მომაკითხეს და წავედი.

ყველაზე არაპოპულარული თემა გუში-ნდელი დღის მეორე დღეს: საქართველო-ხორვატია და ფეხსაცმელი. ჩემი ღირსება დახეული ფეხსაცმელია, ფეხსაცმელები უფრო სწორად. წარმიოდგინე კაცი, ვინც არას დაგიდევს შრომას ფიზიკურს და ნაყ-იდი ფეხსაცმელები ეხევა მალე, იმდენად მალე, რომ არ გავა ერთი სეზონი. და კაცი, რომელიც არ შრომობს, სიცხვილიც კია, დადიოდეს გაპიწკინებული ფეხსაცმლით. აი, ამ ფიქრით ვინუგეშე თავი ახლა მე! და-ხეული ფეხსაცმელები უნდა ატარო ღირ-სეულად. ფეხშიშველი თუ არ გაივლი ზა-ფხულში ხრეშზე ბავშვობაში, წყლის მოსა-ტენად გვერდით ეზოდან მეზობლის, რაა სოფელი. ფეხშიშველები რატომ დარბიხა-რთ, უგანდელები ხომ არა ხართ თუ სადაუ-რები?.. დააფასეთ, დააფასეთ. და დაიძი-ნეთ. გაანძრიეთ ხელები, ფეხები, ტვინი, ჩემ მაგივრადაც თუ იზამთ ამას... მე იქნებ მე-რე წერაც ვისწავლო და ყოველი ორი სიტყ-ვის შემდეგ მაგრამის თქმასაც გადავეჩ-ვიო და არ მშხამავდეს მოგონება ყოველი ფრაზის, რომელიც გითქვამს გამწარებუ-ლს ჩემთვის, ჩემ გამო. ამ ვარჯიშობას ბო-ლო აღარ უნდა მოეღოს?

ფრაზა

როცა ადამიანები სათამაშოებად გადა-იქცევიან, ცხოვრება საშინლად მოსაწყენი და უინტერესო (გა)ხდება. გჭირდება რალ-აც იგრძნო, რომ თვალი გაახილო.

კილომეტრიანი აზზაცები

წერა მეზარება, თორემ აქ გავაგრძელ-ებდი, კიდევ რა გააკეთო. მაგრამ ამდენის წერას ხომ ჩაატევედი იმეებს? მე შენ გეტყვი და პრუსტიმუზილიდორჩანაშვილიჭილაძე მყავხარ. თუმცა მუზილს არც ისე დიდი და რთული ჰაბზაცები აქვს. რა საინტერესო იყო. მოორსბრუგერი. დასასრული, სად იგრძენი დასასრული? არ ვიცი. შარშანდე-ლი პოსტტევით გლოვას აღარ მოვყვები. პანიკის... აჰ, მე ვგმობ გინებას.

სადღებრძელო

არადა, ყველაფერი პროზაა. მაგრამ მაინც ძველი პროზაა, რომელიც რალაი დაიწყო, გრძელდება. სულ. და ეს არის სი-ცოცხლე.

სამი საათი

მე გმირულად გავლეე ამ სამ საათს. მე-რეც იოლად მივიღებ გადანყევტილებებს. ვიყიდი თევზის კონსერვს ან არ ვიყიდი, ამას მერე გადავწყვეტ. ვიყიდი ლობიანს თუ ხაჭაპურს ან — არაფერს, „არა ხოლო პურითა ცხონდების კაცი, არამედ ყოვლ-ითა სიტყვითა“. სალამოს წიგნის კითხვას დავამთავრებ და ხვალ ნინოს დავუბრუნებ. გუშინ ალეკომ დამირეკა და ხვალ მეც და-ვურეკავ. მოუარეთ თქვენ-თქვენ პატარა წყენებს, როგორც მე ვუვლი. წყენას თქვე-ნი თავი გაყენებთ და სხვა — არავინ.

პოეზიისთვის

და ჩამოდგა ღამე. იყო მარტი. ძველი პოეზია აღარ იტაცებდა მის გრძნობაგო-

ნებასულს. ენატრებოდა ლობიოს შეჭამა-დი, თონის პური. გაზაფხული იყო და მა-ინც გაზაფხული ენატრებოდა. ქმედება განხორციელებული სიტყვაში. ლოცვა. ეძ-იებდითა და პპოვენდეთ. აქ მას ქრისტია-ნობა გაახსენდა, რომელსაც შეეძლო, ძვე-ლი პოეზიისგან განსხვავებით, წინანდელ-ზე მეტად აღეგზნო ან დაემძვიდებინა მისი სული და პოეზიასაც შესაძლოა ჰქონოდა ამის შესაძლებლობა, თუმცა არა... მარტი, სიყვარული-გაზაფხული, სამწუხაროდ, მასზე სიყმაწვილისა თუ სიჭაბუკის დროი-ნდელ ზემოქმედებას და შთაგონებას ველ-არ მოახდენდა იმის გამო, რომ აღარ იყო გამომხატველი მისწრაფებებისა და სურ-ვილებისა, ოცნებებისა და ქალწულებრივი კდემამოსილებისა და ქალწულობის დარ-ღვევის ჟინისგან განპირობებული პათოს-ის ანარეკლს არ წარმოადგენდა.

დღე დასალამებლად იყო განწირული. თუმცალა რატომ, დრო იყო (მრავალსიტყ-ვაობა აქ მთავრდება).

სილა ყვითელი, აგური წითელი. გაჭრი-ლი რეზინის ბურთი, ქაფჩა, სარდაფი. მამა. კედელი შენდება. ზემოთ კომპიუტერია ჩართული, სადაც ლურჯხალათიანი ქალი ზის. ჰგონია, რომ საწყობილეშია.

რა სამწუხაროა, რომ დღე დასალამებ-ლადაა განწირული, ხვალ კი სამსახურშია წასასვლელი და ეს დღეის დასალამებლად განწირულობას კიდევ უფრო ამძაფრებს.

მერე წიგნებში იხედებოდა. წერა შედა-რებით უფრო უადვილდებოდა. 2011 წლის გაზაფხული. აღარ იყო ქეიფი. ფეხებზე წი-ნდის ჩაცმა ეზარებოდა. ჩუსტები ყარდა.

საკუთარ თავს აბუჩად კიდე ერთხელ აიგდებ ოდესმე და შუბლს გაგიხვრეტ, შუ-აში გადაგჭრი.

შენ გეუბნები, გიორგი. არასერიოზუ-ლი იქნები და საკუთარ თავს კიდე ერთხელ აბუჩად აიგდებ ოდესმე და შუბლს გაგიხვ-რეტ, შუაში გადაგჭრი.

ფილოსოფია ისაა, რო ვერაფერს შეცვ-ლი. წლები გადის და რალაც არ იცვლება შენ შიგნით, შენში. რალაც მტანჯველი. რაც გაიძულებს, სახლიდან არ გახვიდე, სახლში დაბრუნდე პირველივე შესაძლებ-ლობისას.

ფახეპურთაბი — 2

დღეს აპენინებზე ტურის ძირითადი ნა-წილი გაიმართება. მატჩები 15 წუთში ინყ-ება. ინტერმა ლეონარდოს მოსვლის შემდ-ეგ პირველი მარცხი ფრიულზე უდინეზე-სთან ინვნია. ჯიემჯი უჩვენებდა, ჯიმისთან მოვკარი თვალი. გუშინ სამი თამაში შედგა, სამივეში მასპინძლებმა მოიგეს. მოიგო რომამ, პარმამ და პალერმომ. ჯიემჯი არ მაქვს. ინტერნეტი უნდა ვადევნო თვალი. ვისაც ამ საკმაოდ გრილი, მაგრამ მზიანი სალამოს კალწოთი ტკობა გსურთ, გირჩ-ევთ,ოუვენტუსის თამაშს არ უყუროთ, ვინც არ დამიჯერებთ, ჩემი ვარაუდის მიხედ-ვით, ყოვლად მკვდარ და უგერგილო ბურ-თაობას იხილავთ. საინტერესო საყურებე-ლი იქნება ფიორენტინა-ლერჩე, ჩემი სიმპა-თიები ლერქს. ასევე, თვალსასეირო უნდა გამოდგეს ლიდერ-აუტსაიდერის გვიანი მატჩი. უხვეგოლიან თამაშს უნდა ველოდ-ოთ სან სიროზე. გაუმარჯოს სპორტს. შემი-კლა ფილოსოფიამ. მომზადებულია მხოლ-ოდ ჩემს მიერ.

კაცი

მე მიყვარს მოხუცებულობაში გადამდ-გარი ალკოჰოლიკები, მთელი მოსაგონარი ცხოვრებაში დაღვეა რომ აქვთ. მერე უფუ-ლოდ, ოჯახში უხასიათოდ, უყურებენ მთე-ლი დღე ტელევიზორს. წაუძინებენ. და თუ ვინმემ ჩამოდგა სასმელი, უცებ გახალის-დებიან. დაფიქრდი და პირველ გრძნობას გაუმკლავდი და მერე იგრძნობ კარგ გრძ-ნობას. საკუთარ ხუმრობაზე ძირითადად მარტო თვითონ რომ იცინიან. გილოც-ავ(თ) შობას. მაინც კაი კაცი ხარ შენ, შენი გაგების.

ხვალ

ჩვეულებისამებრ ავდექი ადრე, მაგრამ შედარებით გვიან. ბლაბლაბლა, ჩავრთე კომპიუტერი, რამდენიმე ამოჩემებული სა-იტი გაეხსენი. ისევ წვიმს, პროგნოზირებუ-ლი დარიანი ამინდის მიუხედავად. ის მოდ-ის და მეუბნება, წავიდეით. გუშინ გონება-ში ვადგენდი არგუმენტებს, თუ რატომ არ

მინდა წასვლა. ერთი რომ, შესაფერისი ტა-ნსაცმელი არ მაქვს, მეორე რომ, მეზარე-ბა და მესამე რომ, თუ კარგად დავფიქრდე-ბი იქ არც არაფერი მესაქმება. მაინც ტვინს ჭამს, წავიდეით. მინდა, თავში რამე მძიმე და ბლაგვი ჩავარტყა. მინდა, ყველამ დამ-ასვენოს. ჩემმა თავმა კიდევ ზუსტად იცო-დეს, რა უნდა.

ბოლოს, დარწმუნებული ვარ, წავალთ. დილიდანვე უნდა მოვმტყდარიყავი სახლ-იდან. სად შეიძლება, წახვიდე წვიმაში, რო-ცა სხვა უბანში მეგობარი არ გყავს. ბიბლი-ოთეკაში. ხო, ბიბლიოთეკაში უნდა წავსუ-ლიყავი.

არის წუთები, როცა ძალიან მეზიზღება ყველაფერი დაწერილი. „რომ ერთადერთი ჭკვიანი საქმე არის გართობა და სიყვარუ-ლი“, „ჯანდაბას იქით წყეული წიგნი, ვის რაში უნდა, რაც დღემდე უთქვამთ, მე მიწ-და, ჩემი სუნთქვა და ფიქრი იქცეს შენს სუ-ნთქვად, იქცეს შენს ფიქრად“, მაგრამ ხან-დახან ისეთ აღმაფრთოვანებლად დამამშ-ვიდებელ აზრებს ამოიკითხავ წიგნში, რომ...

ჭკვიანი იყო გილგამეში, თიხის ფირფი-ტებს რომ წერდა...

ვისაც უტოცხლია ერთი დღე, მას 100 წელი უტცხოვია.

აირჩიე დროებითი ქვეყანა: ძალაუფ-ლება, სიმდიდრე, სახელი, სიამოვნება ან აირჩიე მარადიული ქვეყანა, სადაც გვჭ-ირდება ზიზღი ყოველივე ამისადმი.

ბათლეში

შონდა მამბას ძე გელამ გადანყვიტა, იმ სალამოს ბეთლემზე ასულიყო. ავიდა კიდე-ვაც. ნახა ფოტოგრაფი მოდელთან ერთად და ტურისტები. დაჯდა იქ და ჭამა ბურბუ-შელა. დაემვა კიბეზე და ლესელოდის ქუჩა-ზე აჭარული ხაჭაპური შეუკვითა. სიმარტ-ოვეს, რომელსაც შონდა მამბას ძე გელა განიცდიდა, ვერაფერი შეელოდა აჭარუ-ლი ხაჭაპურისა და ლუდის გარდა. მეორე ტოლჩა ჩაცალა და ცხოვრების ამაოებაზე დაფიქრდა. სევდა შემოანვა. ფანჯრიდან ხედავდა, როგორ ითვივდა ფოკაზე დაკო-სებული ებრაელი ფულს მსხვილი დასტი-დან. დაწესებულება უკვე დახურვის პირას იყო. გელა გამოვიდა და დაინახა იქვე წი-თელი აგურით ნაშენი ეკლესიის კედელს აყუდებული გოგო. ის-ის იყო დუმილით ჩაუარა გოგოს გვერდით, რომ შემოესმა: „3საათი 100 ევრო“. მამბას ძე მოტრიალდა და გოგოსთან მივიდა. „კარგი“ — უთხრა მას. მეორე დილით სპარსელი მხატვარი თბილისი-მარიოტის ნომერში გარდაცვ-ლილი იპოვეს. იმ დღესვე თბილისში ჩამო-ვიდა ფრანგი გამომძიებელი დიუ გარი ში-მპანზე და მკვლელობის გამოძიებას შეუდ-გა. საქმე წარიმართა კარგად და ჭკვიანუ-რად. მეორე დღესვე დააკავეს 19 წლის ავ-ლაბრელი მესავი რემე დიოსი. რამდენიმე თვის შემდეგ თბილისში ეს ამბავი აღარავის ახსოვდა, რადგან იდგა საკითხი ძნელად გადასაჭრელი. ძალიან ძალიან ძალიან ძნ-ელად გადასაჭრელი საკითხი იყო, ძალიან ძალიან ძალიან ძნელად გადასაჭრელი სა-კითხი.

მე ავად ვიყავი და მაინც ვმუშაობდი. ვშრომობდი. ვშრომობდი და ვშრომობდი მუდმივად. ამხანაგები თავისთვის იყვნენ, მე კი ვიყავი ჩემთვის.

ოთახის რემონტი მიმდინარეობდა. დე-იდაჩემი წასული იყო და მალე უნდა მოსუ-ლიყო, ძალიან ძალიან ძალიან მალე.

დრო კი მიდიოდა მიდიოდა დრო. ცხო-ვრება დულდა და გადმოდულდა — ასე წე-რდა ოთარ ჭილაძე. არიან კრიტიკოსები — კრიტიკული კრიტიკოსები. 50 ნომერ მა-რშუტკაში ყველა ჩუმად ზის, ყველა ზის ჩუმად და არსებობს გოგი გვახარია.

იმ ზამთარს

ზამთარია. ვწევართ და გვძინავს. დილ-ის 9 საათზე ვიღვიძებთ. იკას ჩაი უნდა, მე კი — საჭმელი. ლუიზა პამიდვრიან კვერ-ცხს მიწვავს და შოთის პურთან ერთად გჭამ. ფული არის, მამაჩემის მეცადინეობ-ით. ტელევიზორი ფობია მაქვს. ქვემოდან გინებები — ალბათ ბაბლუანის „უძინართა მზიდან“ დაწერგილი პრაქტიკა ან პირიქ-ით — ბაბლუანია დაწერგილი ამ პრაქტი-კიდან. აშკარა გინება მესმის, როგორც ჩა-ნს, რომელიღაც მეზობელმა არეალი გაი-ფართოვა და მხოლოდ თავისი კორპუსის წინიდან და ქვემოდან გინებები აღარ აკმა-

ყოფილებს, ჩამოუვარდებიან ერთხელაც და სცემენ... ბოლო ხანებში მგონია, რომ მე მაგინებს. ეს დღეები ინყებოდა უიმედო-ბით, თუმცა სკვერი განახლდა, მე ინსტიტუ-ტში სწავლას ვასრულებდი. ოთარ ჭილაძ-ეს ვწვიე. სადიპლომო ნაშრომს მისი შემო-ქმედების შესახებ ვაკეთებდი. უკანასკნე-ლი რომანი „გოდორი“ მაჩუქა წარწერით: „ჩემო გიორგი, გისურვებ წარმატებას. მე-გობრულად, ოთარ ჭილაძე“. რადიოს მუ-შაკს, თამაზ ხმალაძეს, დავურეკე და დიპ-ლომის ხელმძღვანელობა ვთხოვე, მითხ-რა, რომ უკვე აყვანილი მყავს ხალხიო. მე კიდევ ვკითხე „არ გამოგვივა არანაირად?“ — და ჩამოვიდა ტელევიზიის ფოიეში. მერე მითხრა, როდესაც სადიპლომო ჩავაბარე, მგონი, კარგად წავგივა საქმეო. სადიპლო-მო ფრიადზე დავიცავი. სკვერიც აშენდა — 2004 წლის გაზაფხულზე, არა — ზაფ-ხულში. მე დიპლომს ვწერდი, ამ დროს კი გაიმართა საქართველოს სუპერთასის თუ უბრალოდ თასი — მატჩი „ვიტ ჯორჯიასა“ და ბოლნისის „სიონს“ შორის. ირაკლი წავ-იდა სტადიონზე. ჯგუფელის — ადამიას — ძმა თამაშობდა „ვიტ ჯორჯიაში“. თამა-შის მერე ატყდა ჩხუბი და კვირის პალიტრ-აში გამოქვეყნდა იმ ჩხუბის ფოტო, რომე-ლზეც ირაკლიც იყო აღბეჭდილი. ლუიზა კი... ლუიზა დეიდა ცხოვრობდა. აუთოებ-და, საჭმელს აკეთებდა, ტელევიზორს უყ-ურებდა და ორი შვილის საფლავეზე დადი-ოდა ასე თვეში ერთხელ ან ორჯერ მაინც, საიდანაც ხმირად ზუკას მიერ ნაწუქარი ფულით ნაწიდებოდა. იმ ფულის ნაწილით კეკელიძეზე მდებარე მალაზიაში ყიდულო-ბდა ყველს და ნადულს და მოჰქონდა ჩვე-ნთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. მერე მე რალაც გადამეკეტა და 2005 წლის ზამთარში „აჭარაში“ დავინყე სიარუ-ლი სამაზაოდ.

მასხოვს, მაგარი ჩართული ვარ საფეხ-ბურთო მოვლენებში და ზამთრის ერთ ცივ დღესაც ჩავდივარ ტოტალიზატორში. ლუიზას ვეუბნები, რომ იქ დავდივარ. ჩავე-დი, ვდგავარ და ვხედავ მაზავიკებს. რალა-ცას გაიძახიან, ალბათ სრულიად უცოდე-ნარი ხალხია. მთელ პროტარამას ვინც იტყ-ვის და ამინდსაც გამოიცნობს, სად ინვიმ-ებს, კუმ და 20-ს დავუდებთ. რამდენიმე წუ-თს ვდგავარ და ვფიქრობ, მისვლა გადანყ-ვეტილი მაქვს და მორიდებას ვებრძვი. მი-ვედი, ვეუბნები, სამ თამაშს პატარა კუმს ვადებინებ და რეალის მოგებასაც ვიღებ სევილიასთან. წავაგე 100 ლარი. რის ვაი-ვაგლახით ვშოულობ ფულს და ვიხდი, ამ-ჯერად ეშზარი მაძლევს. მერე კიდევ. წამ-ლებს ვსვამ, ფული რომ არ მაქვს. ახალი წელი მოდის. მამაჩემი აბაშაშია წასული ბიძამისის ორმოცზე, მე კი თავანი მაქვს 31-ში. ვიყრი წამლებს. ჰოდა, მერე ბოლოს და ბოლოს ჩემმა ძმამაც მითაქა ერთი-ორი. იმის შემდეგ ფეხი ამოვიკვეთე იქიდან და შ.-მაც მითხრა, შეეშვიო, თორემ გაგი-ბაზრებო. ჰოდა, იმის მერე ამოვიკვეთე ფე-ხი, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ დავიწყე უა-რესი — სათამაშო აპარატებზე თამაში. ოქტომბრის 18-ს, ჩემი ოთარ ჭილაძის გა-რდაცვალებიდან რამდენიმე დღეში, დეი-და გარდაიცვალა. დავასაფლავეთ. ჩემი ნერვიულობები.

ყალი მტკივა

მე მაქვს ორი ფბ (ნუ ერთი კიდევ მაქვს, მაგრამ ეგ იქით იყოს). საერთოდ, მიყვარს ოთახიდან ოთახში უცაბედი გასვლა. ეს ორი ფბ-ც ისეა, როგორც სასტუმრო ოთა-ხიდან სამხარეულოში გასვლა და პირი-ქით. რას გაუჩვბ. ეს ცხოვრება გაქცევე-ბია. მეგრულად კარტს „ინტის“ (გაქცევა) ეძახიან. უდაბნოს გლახები. მამაჩემი წავ-იდა. საღამომდე თავისუფალი ვარ. ყელი მტკივა, მახველებს. ვფიქრობ, ნონას დღეს მაინც დავითანხმებ გამოსვლაზე, ოღონდ სად წავიყვან, არ ვიცი. შეიძლება, ჩაიზე წავიყვანო. შესაძლოა, ჩაიზე წავიყვანო ჩა-იზე, ჩაიზე, ჩაიზე, ჩაიზე. წავიყვანო ჩაიზე. ავტობუსის გაჩერებაზე ვარ და სიგა-რეტს ვაბოლებ. ავტობუსი მოვიდა, ავდი-ვარ და ვჯდები. ავტობუსი და დრო მიდის... მიდის... მიდის. მშაი ისევ და გაღიზიანე-ული ვარ. კონტროლიორი კაცს ეუბნება, გადაიხადეო, კაცი ეუბნება, ვერ გადავიხ-დიო. კონტროლიორი ჩუმდება და აქეთ-იქით იყურება, მაგრამ არავინ ეხმარება. ავტობუსი და დრო მიდის... მიდის... მიდის. და იმ კაცმა თქვა, ძაან აყოვნებსო — მძლო-ლის მისამართით. მგონი, ვცივდები ისევ...



რად მოიწყინე, ადამ, ედემი?
და ვიდრე შენ კვლავ მეიმედებით,
შენთან მოვდივარ დიდი ვედრებით,
არ გკითხავ: უფალს რატომ ედრები?!
რად მოიწყინე, რად მოიწყინე,
რად მოიწყინე, ადამ, ედემი?

რად მოიწყინე, მაღამ, ედემი
და ვაშლთან ერთად —
ქადა ედემის
რატომ იგემე, ხედავ, ბერდები,
ნამოტკივდება ადამს ფერდები,
რად მოიწყინე, რად მოიწყინე,
რად მოიწყინე, მაღამ, ედემი?

როგორ შეცვალე ევა, შენ, ფატმან,
როგორ შეცვალე ევა, შენ, ფატმან,
ახლა დამშვიდდი, ნულარ ზანზარებ,
თორემ ავთანდილს ანუ ადამს
ალარ მიიღებს მულაზანზარი.
ოდეს შენგან გაემართება ძმობილისაკენ,
გზები ელის მძიმე, აშარი,
დამშვიდდი, ფატმან, ყოფილო ევავ,
ვიდრე გაგრიყავს შენ გულანშარო.
როგორ შეცვალე ევა, შენ, ფატმან,
ნეტავ რა იგრძნო მაშინ ევფრატმან,
ოდეს ნეტარი ბანგით თვრებოდი,
შენი სასახლის გნების ხაროში —
შენს სამოთხეში — გულანშაროში?

„რადგან შორიდან დაინახავ ქვეყანას, იქ კი ვერ შეხ-
ვალ, იმ ქვეყანაში, რომელსაც მე ვაძლევ ისრაელის ძეთ“.
მეორე რჯული, 32:52

ჩვენ დავიბენით და აღარ ვიცით,
სად უნდა დავცეთ ახლა კარავი,
აღარ არსებობს აღარც ის ფიცი,
არც გზა სავალი, არც გამკვალავი,
ჩვენ დავიბენით და ამ უდაბნოს
თითქოს ციური ცვარიც არ მოსავს,
დავყურებთ ხრიოკ მინას — უდაბურს,
საით მიგყავართ, გვითხარი, მოსე?!
მოვმკვდარიყავით, ამას გვერჩია,
ეგვიპტის მიწა მიიღებდა ჩვენს ძვლებს მშფოთვარეს,
დღეს ცა და მიწა და უდაბნო ერთად გვერჩიან,
რად გვიღალატეთ შენ და შენმა ღმერთმა —
ორთავემ,
ასე ერთხმად რად გვიღალატეთ?!
საყვედურობდნენ და ცრემლებით ივსებდნენ თვალთა
უპეებს, სადაც ბნელთა ბნელი ჩასახლებოდათ
და იდგა მოსე — უმართლესი საკუთარ თავთან
და გულში უხმოდ იმეორებდა
ტყვეობიდან ასახსნელ ოდას,
რომელსაც იქვე თვითვე თხზავდა და უგალობდა
ასე უთქმელად უზენაესს, რომლის ნათელსაც
გულით გრძნობდა, გულით გოდებდა,
და თუმცკი გული დარდმა გათელა,
არ შერყეულა წამითაც ოდნავ...
და არც ნიავი, არც ცის სურნელი,
მოღუშულიყო ცა — ნასუფრალი
ღრუბლებისაგან მთლად შემუსვრილი,
საკუთარ თავის ჭირისუფალი
იდგა უჩინარ მზით შემოსილი
და დაჰყურებდა მაღლით უფალი.
და იდგა ჟამი ჟამთა უაღრეს,
როს თავისსავე სხივში იწვის მზე,
იყო შუადღე, დიდი შუადღე

და...
გზა გამოჩნდა აღთქმულ მიწისკენ.

ეფიცებოდნენ ქარები ქარებს,
წვიმები წვიმებს,
ნამები — ნამებს,
და ვარსკვლავების დაკარგვის შიშით
არ ირხეოდა ღამის ცა
და მეც
ვიდექი ჩუმად,
ვიდექი ჩემთვის,
რომ არ შემეკრთო ცის სასთუმალი
და როგორც სხივი
ღრუბლების ტევრში,
ისე გაბრწყინდა გულში უფალი.

წმიდაო საბაოთ!

მე — ათმეთერთმეტე ჟამის მუშაკს,
რა უნდა მინდოდეს მეტი, აბა?
მახარებლებში ვარჩევ ლუკას,
ქართულ მწერლობაში — უფრო საბას!
წმიდაო, წმიდაო საბაოთ,
გექებდი, გექებდი ნამდვილად,
თუმცა კი დავშვერი ამაოდ,
ვერ გპოვე, ვერ გპოვე ადვილად.

ცალ მხარზე მიზის ანგელოზი,
მეორეს ეშმა ვერ მოვაცილე,
ვარ ბევრი კარგის მნახველი და
ბევრი რამ ცუდის მონაწილე.
წმიდაო, წმიდაო საბაოთ,
გექებდი, გექებდი ნამდვილად,
თუმცა კი დავშვერი ამაოდ,
ვერ გპოვე, ვერ გპოვე ადვილად.

სახლებს გავექექით ყმანვილები,
ვილოთეთ, ვიმრუშეთ, ვიანგალებთ,
მერე ხმა ჩაგვესმა განწირულებს,
ნულარ დარჩებითო გვიან გარეთ.
მშობელს მივაშურე, გაიხარა,
გულში მზე ვარდივით აიყვავა,
გადმიხსნა გული და მითხრა: — შვილო,
აი, შენ ვენახი, აი, ყანა.
წმიდაო, წმიდაო საბაოთ,
გექებდი, გექებდი ნამდვილად,
თუმცა კი დავშვერი ამაოდ,
ვერ გპოვე, ვერ გპოვე ადვილად.

ჩამაცვეს ხამი სამოსელი,
მშიერ-მწყურვალი დამაპურეს,
ცხოვრების იგავი ამოვხსენი
და რაღაც დიდი დავაპირე,
მაგრამ სულს ჩავხედე მერე, ბედად
ცოდვით სავსე მქონდა უბე, თურმე,
მზეზე მივაფინე გულის სევდა,
სინანულს ცრემლებით ვუერთგულე.
ახლა შენთანა ვარ გულის ნაცრით,
აღარცრა აღარა მაქვს სადაო,
უდაბნოს ქარებზე ნუ გამცვლი,
წმიდაო, წმიდაო, საბაოთ!

დაბადებამდე ჯერ იყო დევნა
და ჯერ არ იდგა დიდი შუადღე,
დაბადებამდე ფოთლების ცვენა
გავდა ატყორცნას შემალლებამდე,
სადაც მთებიც კი ჩანდნენ ჯუჯებად
და შეჰყურებდნენ ღრუბელთ მარათონს,
მაგრამ ბეთლემის ცაზე უჯეროდ
ცის შუაგულმა გამოანათა.

მზიანი ღამიდან დიდ შუადღემდე

ბეთლემი... ბაგაში ვარსკვლავებს რა უნდა,
და მაინც ყველა ცა თითქოს აქ ანათებს,
ღვთისმშობელს, სულში რომ ნათელი ჩაუდგა,
ახლა აქ, ბეთლემში, რომ აფრქვევს ცა ნათელს
და ყრმაი იესო
ანგელოზთ დასს უსმენს,
ცას უმზერს, ვარსკვლავებს უღიმის, განა თვლემს!
დეკემბრის ღამეა
და სადღაც, ბაგიდან,
ყველა ცა, ყველა მზე სხვაგვარად ანათებს.

„და ნათელ იღო და მეყვსეულად აღმოვიდა წყლისა
მისგან და აჰა, განეხვნეს მას ცანი, და იხილა სული ღვთი-
სა, გარდმომავალი ვითარცა მტრელი“.
მათე, თავი 3

წყალნი ნათობენ ნათლისანნი,
წყალნი ნათობენ,
წვეთნი ბრწყინავენ ნათლისანნი,
წვეთნი ბრწყინავენ,
ქარნი მღერიან, ნათლისლების
ქარნი მღერიან
და უპირველეს, და უმაღლეს,
და მათ წინარე
დგას მაცხოვარი, სინათლეა,
ქართა მღერაა,
დგას იაოანე, შეხედავ და
ერთი ღერაა...
და ამ ნათელში, მტრედის ფრთების
ელვარებაში,
რად გეუფლება, სულო ჩემო,
მღელვარება შენ?!
განა ვერ ხედავ? მზე ანათებს
და სულ სხვაგვარად,
ან ეს მინდორი, ვერა ხედავ,
როგორ ყვავილობს,
ან ცა ვით ყვავის
სიყვარულით გაბრწყინებული
ან ვით მღერიან ველ-მინდვრები
ერთად ალილოს?!
ნუთუ არ გესმის ნანატრი ხმა
ზეცის ბალიდან —
„ესე არს ძეი ჩემი, რომელ
სათნო ვყავი მე“,
ან ნათლის სხივებს გააბრწყინებს
ცა სანატრელი
და ამ შუადღით, ასე ცხადად
მზეს რომ დანებდა,
ჩვენ ყველას ერთად დაგვადგება
მხრებზე ნათელი,
ოდეს ამოვა ქრისტე-ღმერთი
იორდანედან!

მილივლივებდა როგორც ნიავი,
ჰქონდა სურნელი იებისანი,
გაფანტულიყო სადღაც სიავე,
შენ ვის ელოდი — იერუსალემ?
თან მოჰყვებოდნენ ფრთამოქარგული
ჩიტები — უფლის იერისანნი.
შენ სად გამონვი სულის აგური,
რა ჩაიფიქრე, იერუსალემ?
ვინ შემოალებს შენს კარს დიდებით,
ვინ დაგამშვენებს იესოსავით?
იერუსალიმ, გოლგოთისაკენ
ნუ იხედები, იერუსალემ!

და ისე, როგორც ოცდაათი ვერცხლის ამბავი,
და ისე, როგორც ოცდაათი ვერცხლის ჩხრიალი,
მოდის ღალატი — სულის ორმო და ვერ გაბანილ
ცოდვებს დღე და ღამ ერკინება სულის ციალი,
სულის მზე, სულის სიკაშკაშე, სულის სინათლე
და ცოდვა-მადლის ქანქარები სიძვენ პინაზე,
მაგრამ ერთ დღესაც მორწმუნენი ავლენ სინაზე,
მაგრამ ერთ დღესაც აღზევდება სულის სინაზე,
მაგრამ ერთ დღესაც, უეჭველად, ვიცი, ერთ დღესაც
ქრისტეს ნათელი გაბრწყინდება სულის მინაზე.

მე ვარ მეზვერე,
შენი სულის ჯურღმულებიდან
ამომაქვს მზე და
მზესთან ერთად შენი ნუგეში,
მე ვარ მეზვერე,
თუმც სანაცვლოდ არაფერს ვითხოვ,
რადგანაც უფლის ანგელოზი მიზის უბეში,
თვალის გუგებში მზე მიბრწყინავს,
შენ კი მუდამყამს.
ცხოვრების ნარდზე შენს კამათლებს
უყვართ ღუბეში...

თუ ბავშვი არ ხარ კვლავაც სულით, ფიქრი უხეში
თუ გულიდან ვერ მოიშორე,
ეს იმას ნიშნავს, ცოცხალივე ნევხარ კუბოში
და არც ნუგეში არსაიდან და არც იმედი
სულ მცირედი აღარსაიდან აღარ ანათებს,
რუხ ფერში ღრუბლებს ტკივილები გაუფენიათ,
დღეს ხომ ყველა ცას რუხი ფერი აქვს,
მაგრამ, შეხედე, ეს ვინ არის ნეტავ ნოხებში,
ჩაფლულ ბალიშებს მისი ფიქრიც რომ ვერ ამძიმებს,
სული ამ დილით უფლის მაღლით გაიპოხება,
მერე ნელ-ნელა კრიალოსნად სულის ამ მძივებს
შევკრავ, რომ ჩემი ცოდვა-მადლი
ჩამოვიმარცვლო
კრიალოსნის თითო მარცვლიდან
და ისე, როგორც მთათა ძირიდან,
დავიწყო ასვლა მისი ლურჯი მწვერვალებისკენ,
მაგრამ კუბოში ვწევარ ჯერ ისევ,
ჰა, წამოვდექი
და შენი ხმა მესმის:
— მიმზირე!
ნუ, ნუ გეშინია, მე ვარ შენი სულის მეზვერე...

რწმენა რწმენაა, გული, სული მას არ ღალატობს,
რადგან მზესავით ბრწყინავს გულში ერთი გომური,
თუ ყველაფერი შენი ნებით ხდება, მაშ, რატომ,
რატომ ამდენი სოდომ-გომორი?!
ნუ განიკითხავ, რადგან თვითვე განიკითხები,
ნუ უღალატებ, თორემ შენაც გიღალატებენ,
დღეს ვარ უბრალოდ, ჩემო მათევ, შენი მკითხველი,
ბევრჯერ განკითხულ-ნაღალატევი.
და მინდა, შენმა მონათხრობმა ფრთები შემასხას
და დამაჯეროს, რომ ვიხილავ ციურ პალატებს,
თუ ეს ასეა, მაშინ ქრისტე? ახლა შენ არ თქვა,
რომ სიკეთის წილ არ გასცეს და არ უღალატეს.
ამას შენვე წერ, შენვე აღწერ, შენვე გბაძავენ
მარკოზიცა და იოანეც, ლუკაც, ცხადია,
რად ამიშენე ამ ჩემს გულში რწმენის ტაძარი,
თუ ერთ დღეს უნდა დამგეროდა
და ეს თავზარი
დამცემოდა
და
აღმომხდომოდა,
რომ ეს ქვეყანა
ბოროტების
და ურწმუნოთა ბილწი ბადეა.
და რომ შენს გზაზე უფრო ხშირად
კაცისმკვლელები და პირუკუნნი
ჩემზე უფრო მტკიცედ დადიან...
ადრიან სიზმარს მეოცნებე ფარისეველნი
ყველას სავალ გზას, დიდ შუადღეს
მთვარებადრიანს.

პასექის ზეიმზე გამოჰყავთ იესო,
გამოჰყავთ ბარაბაც — ცნობილი ავაზაკი,
და რადგან ხალხს ძალუძს, დაიხსნას ერთ-ერთი,
პირდაპირ მოითხოვოს, პირდაპირ, არა ზაკვით.
„ხალხი ბრძენიაო“ — პეტრე გაიფიქრებს,
ამ ერთხელ არ შეცდეს და მერე ჯანდაბას!
— აბა, ვის დაიხსნით? — კითხულობს მთავარი
და ხალხი იხუვლებს — ბარაბას!
ხალხი ბრძენიაო — ვინა თქვა ნეტავი,
პეტრეს გააჟრჟოლებს:
— ფუ, ამათ, აესულებს,
— ხალხმა უკეთ იცის, — ჩურჩულებს იესო, —
ხალხმა უკეთ იცის, რომ ნება მაშისა,
რომ ნება უფლისა დღეს უნდა აღსრულდეს!

გულღრძო სიზმრების აკლდამიდან ვითვლი,
შენს გზაზე
ვინ გაიარა, ვინ წაიქცა, ფეხი ვინ იღრძო,
ვინ შეიფარა, ვინ განუდგა, სიცოცხლის თასი
ვის გაუწოდე,
ვინ შესვა და მერე ვინ გიმძო,
თორემ იქნება შენს საწოლში დაიძინო და
მესამე ღამეს
სამარეში გამოიღვიძო.
თორემ იქნება ჯურღმულების კბილთა ღრჭიალში
დაკარგო ძალიც, მოსვენებაც,
თუმც თუ მიგიძღვის
რაიმე წვლილი ამა ქვეყნად,
რაც მთავარია,
წინ თუ მიგიძღვის შენ უფალი და ღვთისმშობელი
და თუ ორივე დედა-შვილი შენთან არიან.
ნუ შეშინდები, სანეტარო ტაბლა წინ გიძევს,
თუ ერთ დღეს მართლაც სამარეში გამოიღვიძებ.

ფარისცვალების ღამეს საშლარი

ნუხელი ცამ ვარცლი დაიდგა
და მთვარის კვერები აცხო რამ,

ლიტერატურული გაზეთი

მოირთო კალთები, რარიგად
გელოდა, გელოდა, მაცხოვარ!..
მერე კი ვარსკვლავთა ამალა
ციმციმით და ელვით მოძლა რომ,
და როცა ცა ფიქრმა დაღალა,
შენც მოხველ, შენც მოხველ, მოძღვარო!..
მინდოდა, თვალებში მეკოცნა,
მაგრამ მზეს კოცნა ვერ შევბედე,
და თუმც კი ვიდექი მე ლოცვად,
ვიყავი მენავე ზებედე...
ქარებო, ქარებო, მზეს ვხედავ
და მზეში ჩემს ცას და იმედებს
და თავი მგონია მე მხედრად
უფლისა, რომელსაც მივენდე...
ნუხელი ცამ ვარცლი დაიდგა,
ვარსკვლავთა კვერები აცხო რამ,
მინდოდა, ცხოვრება თავიდან
დამეწყო,
ვერ შევძელ, მაცხოვარ!..

გოლგოთის გზაზე უფენენ ეკლებს,
ეკალზე უფრო მწარეა ჯვარი,
არ წაფორხილდე,
რადგან ხარ მეკვლე
შენივე რწმენის
და უფლის კარიც
უნდა პირველმა შეალო
ზესკენლს,
რადგან პირველმა
იტვირთე ჯვარი.
სისხლის ნაევალევეს აწყდება ცრემლი,
შენ ცის აღმართის იებს როს ალევე,
გოლგოთის ზეცა ღრუბლების ცელით
მოსხიპავს
და მზეს გამოუსალმებს
იესოს...
ჯვარცმას გოდების წნელით
მიეჭედე და მიელურსმანე,
შენ ხომ სამყაროს უდგახარ მცველად,
იერუსალემ!..

„მე ვარ მწყემსი კეთილი. კეთილი მწყემსი თავის სულს დასდებს ცხოვართათვის“.

იოანე 10:11

„მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნობ ჩემებს და ჩემები მიცნობენ მე“.

იოანე 10:14

შენ კი ხარ მწყემსი, თანაც კეთილი,
თანაც მზრუნველი და ცხოვართათვის თავდადებული,
შენ კი ხარ მწყემსი,
მაგრამ მე რომ არასოდეს არ შემხვედრიხარ?
მაგრამ მე რომ არასოდეს არ მხსომებია
შენი ადათი, რიგი და წესი?
შენ კი ხარ მწყემსი — მუდამ მზადმყოფი:
გზააბნეული ცხვრის გულისთვის ცხრა მთას გადივლი,
რათა იპოვო, ზურგზე შეისვა,
ანდა სულაც უბეში ფრთხილად ჩაიხუტო
და სულ ციმციმ წამოიყვანო იმ სამწყსოსაკენ,
რომლის მწყემსიც ხარ.

მე კი, ამდენ ხანს დაკარგული და გზააბნეული,
რად ვერ მიპოვე,
რად არ წამოხველ ჩემს საძებნელად,
სადღაც უფსკრულში გადაჩეხილი რომ გეპოვე,
რომ აგეყვანე,

და რომ გეთქვა:
— აი, გიპოვე, ნუ გეშინია,
ახლა უკვე სამშვიდობოს ხარ...

შენ კი ხარ მწყემსი,
მწყემსი კეთილი ყველასთვის
გულში, სულში, რწმენაში და
სიყვარულში გამოკვეთილი,
მაგრამ მე რა ვქნა,
ვიღას ვკითხო, როცა ჩემს ირგვლივ
აღარსად ჩანს აღარც მისანი,
შენიანი ვარ, კი შემოგძახი, მაგრამ ვერ გხედავ,
მე გულით ბრმა ვარ,
ამიტომაც ვერ შეგიცანი.

„თქუენ ხართ მარილი ქუეყანისაი; უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითა-მე დაიმარილოს?“

მათე 5:13

სულ უმარილო კერძებს მივირთმევ მთელი ცხოვრება,
მეუბნებიან: — ასე სჯობია,
ნუ იხმარ მარილს — ამ თეთრ სიკვდილს —
ნუ იხმარ მარილს,
თორემ ადრე დაბერდები და დაუძლურდები,
ნუ იხმარ მარილს! —
სულ ეს მესმის მთელი ცხოვრება
და ამიტომაც შევეჩვიე უმარილო კერძებს და ასე
ვარებობ, თითქოს არა მიშავს,

თითქოს სიბერეს ვეურჩევი,
ვინარჩუნებ ჯანსა და იერს
და ამიტომაც შემაქებენ ხოლმე შემხვედრნი;
— ო, რა კარგად ხარ, ახალგაზრდულად,
არ ჰგავხარ ხნიერს!..
— ეს გარეგნულად, —
ეს გარეგნულად,

თორემ, აბა, სულში ჩამხედეთ,
გულში ჩამხედეთ,
ეგ მარილი მაკლია, თორემ...
ო, თუმც ეს რა ვთქვი,
რომელ მარილს ვგულისხმობ და
შენ რომელი გგონია ნეტავ?
— შენ ხარ მარილი,
რომელსაც მე სულ გავურბოდი,
შენ ხარ მარილი, რომელიც მე არად მიღირდა,
შენ ხარ მარილი,
რათა ვგავდეთ კაცნი უცოდველს,
რათა ცის ლაჟვარდს გავუსწოროთ
ერთ დროს ასე დავსებული ორივე თვალი
სულის სიღრმიდან.
და ახლა, როცა შეგიცანი, თვალი შევავლე
შენს სხივფენებას
და შენს არილებს,
მეც ვიმეორებ ჩემთვის გულში:
— შენ ხარ მარილი,
აბა, უშენოდ
სულებს როგორ დავიმარილებთ?
რომ გადარჩენის გზას დავადგეთ
და სინანულით დავემშვიდობოთ
უმარილო წლებს
ჩვენში, ჩვენთან, ჩვენგან გავლილებს.

„მოფრინავენ ცის ფრინველები და მის ტოტებზე იბუ-დებენ“.

მათე 13:32

ო, ეს მარცვალი ყველანაირ თესლზე მცირეა,
მაგრამ როგორც კი მიწის გულში გამოიღვიძებს
და სიცოცხლედ აღმოცენდება,
ის ყველაზე საჩინო ხდება
და მოფრინავენ ცის ფრინველები
და მის ტოტებზე ბუდეს აწყობენ,
და მის ტოტებზე ჟღურტულევენ ისე საამოდ,
თითქოს ანგელოზთ დასი გალობდეს...
და როგორ მინდა, პანანინა მდოგვის მარცვალო,
მეც რომ მწყალობდე
და როგორ მინდა,
ამ ცხოვრების ტკბილ-მწარე თასი
რაკი დავცალე,
ცოტაც მაცალო,
უკეთ შეგიგრძნო, დაგინახო
ბრმა თვალებით მოაქამომდე,
რომ შევისრუტო შენი სურნელი მე უგრძნობელმა,
რომ გავიგონო იმ ჩიტების ტკბილი გალობა,
მე ყურდახშულმა და უმადურმა მოაქამომდე
და ახლა რაკი ძველებურად აღარ ვცანცარებ,
წლებმა თავისი რაკი ქნეს და ოდნავ დავბრძენდი,
ცოტაც მაცალე,
გევედრები, ცოტაც მაცალე,
რომ შენში ღმერთი დავინახო,
მდოგვის მარცვალო!

ღვინობისთვეა ახლა გარეთ,
ხმელი ფოთლების სევდა მიაქვთ უგულო ქარებს,
ანგელოზები აჟღერებენ წინასწარ ქნარებს,
ანგელოზები ნაზ საკმეველს უკმევენ კარებს,
საიდანაც ქრისტე გამოვა.
ანგელოზები გვპირდებიან საამურ დარებს,
მზე რომ ამოვა,
ანგელოზები ჩამორეკენ ზეციურ ზარებს,
ღვთისმშობელი რომ გაადვიძონ,
ანგელოზები გაუფენენ ბუმბულის ნარებს,
რომ მსუბუქად მიეგებოს
იგი თავის ძეს.
ანგელოზები ასევადებენ
ოქრო-ვერცხლით
მარაოს ტარებს,
იესოსაკენ მიმავალ გზაზე
ღთისმშობელი წინ რომ წარგვიძღვეს.
ანგელოზები გამოჰკვეთენ ღრუბლების ფარებს
და შუბებსაც, რათა დაიცვან მწყემსის ფარა,
რათა დაიცვან...

და სევდის ღარებს ჩვენს სახეებზე
სიხარულის ჩაფენენ ღვარებს,
რომ უფალმა უკეთ შეგვიცნოს...
და ისიც მოვა, მოვა უხმოდ,
მზით შეიცვლება წამსვე ავდარი,
განა ვერ ხედავთ აღმასს
მანდვე — ტიტებს შორის დევს,
ღვინობისთვეა,
ესე იგი, იმედის თვეა,
მალე დადგება
ქრისტეშობისთვე.



ეკატერინე ლაცაბიძე

ნიგია — თათრის გოგონას სახელი

ნიგია — თათრის გოგონა, აშოლტილი ტანითა და მოხდენილად მომრგვალებული თეძოებით. მოდის ქუჩაში და თეძოებს ისე ლამაზად მოაქნევს, სისხლს გაგიყინავს, თავბრუს დაგახვევს; გულს ამოგაცლის და თან გაიყოლებს. მკერდზე ოქროსფერი ლითონის მძივები ჩხარუნობენ. ფერადი თავშლიდან მსხვილი შავი ნაწნავი წელს ქვემოთ დასრიალებს. ხუჭუჭა თმის კულულები დაუდევრად დახტუნაობენ თერ დიდ შუბლზე. სულის შებერვით იცილებს თვალებიდან, რადგან ხელებს არ სცალიათ. აქეთ-იქით ორი კალათა უჭირავს. ერთში მასავით ფერადი საქსოვი ძაფები ჩაუყრია. მეორეში კი უკვე ნახევრად მოქსოვილი სქელი ჭრელ-ჭრელი ნაქსოვები.

დიდ მაღაზიაში მუშაობს გამყიდველად. შესვენებაზე სხვა გოგონები რომ საჭმელს მიირთმევენ, ის ყველას ემალება და ამ ჭრელ-ჭრულებს სწორედ მაშინ ქსოვს. იმ ერთ საათსაც ამისთვის იყენებს. თანაც ლილინებს. გულით ლილინებს და შავი თვალები ვარსკვლავები ხდებიან ამ დროს. ვარსკვლავებად ანთებული „ნაპერნკლები“. ჰო, ასეთია ნიგია... თათრის გოგონა... შავ-შავ თვალები...

ერთ თვეში ქორწილი აქვს... საქმროს არ იცნობს. მხოლოდ რამდენჯერმე თუ უნახავს, ისიც მალულად, შორიდან. ოფიც-ერიაო, უთხრეს. მაღალი კაცი ჩანდა. მხარბეჭიანი. დიდ ლიპეებიანი მუნდირითა და თეთრი პერანგით. მამაზე ასაკით ცოტათი პატარა... ან იქნებ... ეჰ! რა იცის! როდესაც ახლოს ნახავს და გაიცნობს, მერე ზუსტად გაიგებს, რა და როგორ. ეგ კი არის, რომ ყოველ მის მოსვლაზე გული უცემს უსიამოვნო ბაგა-ბუგით! თითქოს ნივთი იყოს. უზარმაზარი სავარძელი! ანდა კარადა! და მას, როგორც ნივთს, ისე ასხვისებდნენ! ესეც საჩუქრების სია! მომავალი სიძის დაპირებული საქორწინო ძღვენი!... წინასწარ შეთანხმებული რაოდენობაცა და ხარისხიც. ამდენი ბუმბულის საბანი, ამდენი სული საქონელი, მოვერცხლილი სამოვარი, ხალიჩა, ოქროს სამკაულები.

ჰაჰ! გაამდიდრებს თავის ოჯახს ნიგია ნივთად გასხვისებული! ჰო! გაამდიდრებს და სამუდამოდ ამოისუნთქებს მამა ვალებ-

ისაგან... და ძმებიც... მისი ძმებიც... სხვა ბიჭებივით მოიყრიან ფეხს ხალიჩებზე, ყალიონს რბილად გააბოლებენ და მერე ისინიც იფიქრებენ ლამაზი ცოლების შერთვაზე. პატარა ძმას, ალის, უკვე შეგულებულიც ჰყავს. 14 წლის გოგო. თუმცა, რა გოგო! უფრო ბავშვი!

არც თავად ნიგია არის დიდი! მანაც სულ ახლახან გადადგა ნაბიჯი ბავშვობიდან გოგოებაში და მერე? როგორ ნავა ნიგიარის ბედი ამ გოგოებაში? მერე, ალბათ, ისიც შეურიგდება სხვისგან მიკუთვნებულ, ხელში შეჩერებულ ბედს. ბევრ შვილს გაუჩენს ჯერ მისთვის უცნობ კაცს, სადილს გაუკეთებს. მიეახლება. მიემსახურება! სახლის კედლებში გამომწყვდეული ფრინველი გახდება ისიც! როგორც არაერთი! სიტყვამოკუმული! ფრთაშეკეცილი! ფრთაჩამოჭრილი! ცუდია ფრენა! ფრენაც და სიყვარულიც! მას ასე ასწავლიან. არადა, ორივე რომ სწავლია? და ორივე რომ სურს და ძალუძს!

ჰეჰ! თათრის გოგონა ნიგია! ტანაშოლტილი! ხანძარივით დამწველი მზერით... იმ დღეს მაღაზიაში შესვენებისას, როდესაც კუთხეში მიიყუდა და ქსოვა დაიწყო, მოულოდნელად ვიღაც ახალგაზრდა კაცი წამოადაგა თავზე. დიდი ქურთუკი ეცვა, ოდნავ შესხნილი. ქრისტიანული ჯვარი მოუჩანდა ქურთუკის შიგნით. განიერი შარვლის ჯიბეში ჩაეყო სიცივისაგან გათოშილი ორივე ხელი. შეკრთა ნიგია! წარბები აზიდა! ის იყო, უნდა დაეფრთხო ეს არამკითხველ ყმანვილი და საიდანაც მოსულა, იმავე გზით მიეგრძანებინა, რომ უნებურად კრინტი ვერ დაძრა. რაღაცნაირად სევდიანი მოეჩვენა. უსაზღვროდ კეთილი თვალებით იცქირებოდა.

საოცარი სიმშვიდე დაეუფლა უცებ ნიგიარს... ამოუცნობი... მიმნდობი... მაღამოსავით ჩაელვარა ეს სიმშვიდე მკერდში. ყმანვილი ილიმოდა. მერე იმ ჯიბიდან, რომელშიც გათოშილი ხელები დიდხანს ეწყო, ძალიან ბევრი ბრჭყვიალა თვალი ამოაცურა მუჭით და ერთიანად ჩაუცალა ნიგიარს ძაფების კალათაში.

— იცი... სხვა დროსაც შემიმჩნევია, რომ ქსოვ. ჰოდა... ნაქსოვებისთვის გამო-

გადგება, — თქვა ხმადაბლა, ძალიან თბილი ბგერებით... და ამ თვლებივით აუბრჭყვიალა ნიგიარს თვალებიცა და გულიც. — რა გქვიათ? — იკითხა დაბნეულმა შიშნარევად, სწრაფად არ დაეკარგა ეს კეთილი სახე ამდენ ხალხში.

— მე სერგო ვარ! — სერგო?! — ჰო, სერგო. სერგო ფარაჯანოვი. სტუდენტი. თბილისიდან. და შენ რა გქვია? — ნიგია. — ნიგია... ლამაზი სახელია ნიგია. ჩემს თბილისში ალბათ მხოლოდ შენ გერქმევა.

— მე?! — ჰო, შენ! როცა წავალთ, — გაუღიმა. — და საიდან იცი, რომ იმ შენს თბილისში წავალთ? — წავალთ, წავალთ! რადგან ისეთ სიფერადეს, როგორსაც იქ ნახავ, სხვაგან ვერსად იპოვი. შენ კი ფერადოვნება, ვატყობ, ჩემსავით გიყვარს. — ჰო... ფერები განსაკუთრებით მიყვარს.

— მაინც... მაინც რომელია შენი ფერი? — ზუსტად არ ვიცი... ალბათ... — სუუ! არ თქვა... არ თქვა და შემდეგში მე თავად გამოვიცნობ, კარგი?

— კარგი! — შევთანხმდით. ახლა კი მოგშორდები. მაღაზიაში გავივლი და იმ სამოცი კაპიკით, რომელიც ღარიბ სტუდენტს ჯერ კიდევ ჯიბეში მიჩხრიალებს, იაფფასიან ძეხვს ვიყიდი, თორემ ძალიან მომშივდა! ნიგია იცინის. ჯერ ხმადაბლა, მერე კი კისკისით. იცინის სერგოც. ორივე გულით. გულწრფელად! გადამდებად! მთელი დღე ეს კისკისი რჩება ნიგიარს გუნებაში. ქუჩაში, სახლში... ოჯახი კი ნიგიარის ქორწილის სამზადისშია ისევ. თანხის გადანაწილების გაანგარიშება! წინასწარ მორთმეული ძღვენის დაბინავებ-დაბანდება, ქორწილზე დასასწრებ ადამიანთა რაოდენობის ჩამოწერა, ქორწილის ხანგრძლივობის გათვლა და... ნიგიარის გათხოვების მერე ყველაფერი, ყველაფერი სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს. მათთვის!

ნიგიარს კი სულაც არ ადარდებს ეს ყოველივე. თითქოს მას არც ეხებოდეს! თავის ოთახში იკეტება ნიგია და ქსოვას ინყებს ისევ. აი, ამ გორგლით განაგრძობს და დიდ მოსაცემელს მოქსოვს. ფერად-ფერად თვლებს შეურევს ფერად-ფერად ძაფებს. ზღვისფერს — მზესავით წითელთან მოათავსებს, მწვანეს ხორბლისფერთან, შავს თეთრი გაანათებს და ასე. საოცარია! რამდენი ფერია ამ სამყაროში! და მის კალათაშიც... ამდენი თვალში. ზოგი ისეთია, ნამდვილი მარგალიტიც კი გვეჩვენება.

ერთ ცალ თვალს იღებს ნიგია. ოქროსფერ მოჩხრიალე მძივებთან ერთად იმაგრებს გულზე.

— სერგო... სერგო ფარაჯანოვი... (ელ-იმება) დაა... მაინც, რომელია... ნეტავ, რომელია ჩემი ფერი?

მეორე დღეს ისევ მაღაზიისკენ... თუმცა, სერგო დღეს აღარ ჩანს. ნეტავ, სად არის სერგო? როდის გამოჩნდება? დღე ერთი... ორი... ერთი კვირა... ლამისაა და, უკვე დაასრულოს მოსასხამი, სერგო კი არ მოდის. არა, მაინც, რისთვის ელის? აქვს კი აზრი მის გამოჩენას? რამდენიმე დღეში ხომ უკვე ქორწილია დანიშნული და ასეც რომ არ იყოს, სერგო ქრისტიანია... სხვა რჯულის... სხვა სარწმუნოების... ვერასოდეს ვერ დაუშვებს და ვერ შეეგუება მისი ოჯახი სერგოს და ნიგიარის ქორწინებას. რამდენადა ბარბერი... რამდენადა ბარიერი... ბრჭყვიალებს სერგოს მოცემული თვლები... ნეტავ, გამოჩნდება ისევ სერგო? ისევ მოვა მაღე? თუ...

ეჰ, არ აქვს აზრი. არ აქვს აზრი... და... სერგოც მოდის! პატარა ჩანთა უჭირავს ხელში. პირდაპირ დებს ნიგიარის ცხვირწინ. ისევ ის ღიმილი. ის თვალები. ღმერთო! რა კეთილია! თითქოს მტრედი შეფრენილა თვალების გუგებში და იქიდან სერგო კი არა, სწორედ ეს მტრედი იცქირება.

ღმერთო, რა კეთილია! ღმერთო, რა კეთილია! ჩანთას ხსნის სერგო. ჩანთიდან ვეებერთელა წითელ ბროწეულებს იღებს და ნიგიარის ფერადი ნაქსოვის გარშემო ალაგებს.

— ბევრი ვიფიქრე და... ბროწეულისფერია, ნიგია, შენი ფერი!

— ... — რადგან ბროწეულებია შენი ტუჩები თავად. — ... — მე მხატვარი ვარ. მომავალი კინორეჟისორიც და ახლა შენ, როგორც ფილმში ჩასმულ ულამაზეს კადრს, ისე გიცქერ... წამოხვალ თბილისში, ნიგია? — მართლა ლამაზია თბილისი, სერგო? — მათაა! თბილისი ყველაზე ლამაზი ქალაქია, ნიგია, მთელ დედამიწაზე. წარმოიდგინე, ვინაო ქუჩებზე ჩამწკრივებული ფერადი სახლები, გზებზე გადმოკიდებული მორჩულთმებული აივნები, მოხვეული კიბეები. კლდოვან შემალლებულ შესკუპებული მეტეხის უბანი და მის საპირისპიროდ უტეხად მდგარი ციხე, სახელად — ნარიყალა. ქვემოთ კი ლილინა მტკვარი. ხალხი თბილი, თბილი... მოლიმარი... მემაწვნიეც კი პირველივე ნახვით შეგაყვარებს თავს... ჰეჰ! ასეთი ლამაზია ჩემი თბილისი... მითხარი, ხომ გჯერა ჩემი, ნიგია? — ისე ჰყვები... უნდა მჯეროდეს ალბათ.

— რა თქმა უნდა, ნიგია! უნდა გჯეროდეს ჩემი! მე ხომ სერგო ვარ?! სერგო — ნაღდი თბილისელი! — რას ნიშნავს „ნაღდი თბილისელი“, სერგო? — ეს ნიშნავს იმას, რომ შეგიძლია ბოლომდე მენდო! — მართლა წავალთ იმ შენს თბილისში, სერგო?

— მართლა... მართლა... მანამდე კი აქ... ჩემთან... ბროწეულისფერ კაბას ჩაცმევს სადედოფლოდ თეთრის მაგიერ... და ეგ ტუჩებიც ბრო-წე-უ-ლებითი... — ეგ... როდის? — მაღე... სულ მაღე... დგება ის „მაღეც“. ნიგია მხოლოდ საკუთარ ნაქსოვებს იღებს სახლიდან და ღამით მალულად იპარება.

ჰო... ასე გადანყდა! უსიყვარულო ცხოვრებას ყველაფერი ურჩევნია თათრის გოგონას, თუნდაც ეს ყველაფერი მისი სიცოცხლის ბენვის ხიდს გადიოდეს. დღეიდან ვერავინ და ველარაფერი თქმულებს ნიგიარს მოექცეს ისე, როგორც ნივთს! ვერავინ! და ვერაფერი! დაე, დასრულდეს ყოველგვარი მითი გამოგონილი ბედისა თუ „ბედისწერების“ თაობაზე, იქ, სადაც არსებობს ადამიანი თავისი თავისუფალი ნებით!... ჰო! ნიგიარის თავისუფალი ნება ნებისმიერ ბედისწერას აღემატება! ჯერ აქეთ იცხოვრებენ ის და სერგო... ამ ქალაქში, სადაც სერგო სწავლობს. ბროწეულისფერ კაბას ჩაცმევს სერგო. მარგალიტისფერ თვლებს დააბნევს მკერდზე. მერე კი თბილისში წაიყვანს თათრის გოგონას. ფეხდაფეხ მოატარებს ყოველ კუთხესა თუ კუნჭულს.

მართლაც, ლამაზი უნდა იყოს თბილისი! თბილისმა ხომ სერგო გაზარდა... ასეთი თბილი... ასე ალალი... ჰოდა, სხვაგვარად შეუძლებელია! მით უმეტეს, რომ იქ ბევრი სერგოს მსგავსი ცხოვრობს. როგორც სერგო ამბობს, „ნაღდი თბილისელი“, რაც უპირატესად გულისხმობს ნდობას! „მეს“ სანდობას! ნდობა კი თავისთავად არის დიადი სილამაზე უკვე!

სიამის დღეები ხანგრძლივი არ არის... ძმები სტუმრობენ ნიგიარს... გაგიჟებული... შეურაცხყოფილი ძმები!

სიძის ძღვენი დიდი უნდა იყოს იმისთვის, რომ ნიგია დარჩეს სერგოსთან! აბა, ისე როგორ?! ყოფილმა საქმრომ, ოფიცერმა, საქორწინო ძღვენის ნაწილი უკვე დატოვა ადრე და ის ნაწილი სწრაფადვე გახარჯეს ძმებმა... ახლა კი, გარდა იმისა, რომ სარგებელი ვერ ნახეს, უფრო მეტი ვალიც დაედო! ჰოდა!.. უნდა ნახონ ძმებმა ეს სარგებელი! მათი პირობა ასეთია: დაბრუნდეს ნიგია საკუთარ სახლში, რომელიც დატოვა დედ-მამის უნებართვოდ! დაე, წამოვიდეს ამ ქრისტიანი, უცხო რჯულის ბიჭისგან! ანდაც კეთილი ინებოს და გაიღოს გამოსასყიდი სერგომ! ხოლო სერგოს სტუდენტობა და მისი სიმდიდრე-სიღარიბე რა მოსატანია ძმებთან?!

ულტიმატუმის ვადა 2 კვირა! არადა, აღსრულდება თათართა ადათი! თათართა ადათი! თათართა ადათი!... ტირის ნიგია: „შენ არ იცნობ ჩემს ძმებს, სერგო. შენ არც კი იცი, მათ რა შეუძლიათ. ჩემო კეთილო, ლამაზო, სერგო!“ სერგო დგება. ბოლთას სცემს ოთახში. გამოსავალს ეძებს ღარიბი სერგო. სხვა გზა არ არის. ჯანდაბას თამოყვარეობა! წერილი უნდა მისწეროს მამას.

მამა მდიდარი ჰყავს თავად ღარიბს. მაგრამ საქმე ისაა, რომ... არ ელაპარაკება. უბრად არიან ერთმანეთთან მამა და შვილი! მამას სურს, რომ ვაჭრობას მიჰყოს ხელი სერგომ, რადგან, მისი აზრით, ეს უფრო გაუადვილებს ცხოვრებას შვილს. სერგოსთვის კი ხელოვნება ყველაფერია. ამის გარეშე ერთი დღეც ვერ იცოცხლებს. ამიტომაც სწავლობს ახლა ხელოვნების სასწავლებელში და გრძნობს, რომ ზუსტად იქ არის, სადაც უნდა იყოს!

სწორედ ამ მიზეზით ემდურის მამა.

არ ესმით ერთმანეთის.

სიმართლე რომ ითქვას, არც არასდროს ესმოდათ.

მაგრამ ჯანდაბას! ამჯერად მაინც მისწერს. რაც უნდა იყოს, ხომ მამაა მაინც... და ყველაფერს აუხსნის სერგო. ოღონდ ახლა დაეხმაროს, ოღონდ ახლა და... ჰპირდება, ყველაფერს კაპიკ-კაპიკ დაუბრუნებს შემდგომ.

იმედით ივსება ნიგიარ. ხელებს უკოცნის ფარაჯანოვს... თვალებს... იმ კეთილ თვალებს, რომელიც პირველივე წამიდან ასე შეიყვარა.

დრო გადის.

მამისგან პასუხი არ არის.

ფულიც არ არის!

არც სიმშვიდეა!

ყველგან თან დაატარებს ნიგიარს სერგო! ყველგან! სულ ყველგან! მაგრამ ადართი? თათართ ადართი? მაინც რომ უნდა მოხდეს გარდაუვალი და... აღსრულდეს ადართი?!

ჰოდა, გადაწყდა!

უნდა გაიქცნენ აქედან ნიგიარ და სერგო!

ჰო!

უნდა გაექცნენ იმ ყველაფერს, სადაც სიყვარულის გაგება შეუძლებელი ხდება! და მხოლოდ იქ იცხოვრონ, სადაც ასე ცხოვრება შესაძლებელი.

რა, განა ეს არ არის სიცოცხლის არსი?!

ბარგს კრავს სერგო. ერთ პატარა ბარგს, რომელშიც მთელი მათი ქონება ჩატეულია და მიზიანს ორივენი სადგურისაკენ. მალე მატარებელიც ჩამოდგება და ჰერი!.. თავს დააღწევენ ამ დიდ განსაცდელს.

მაგრამ ადართი?

თათართ ადართი?!

სადგურის ბაქანზე ჩნდებიან ძმები. ჩანს, გაუგიათ ყველაფერი.

— ნიგიარ არსად წამოვა! — იმეორებენ ისევ.

— თქვენ კეთილი ადამიანები ხართ. კეთილი ადამიანები კი მუდამ სიყვარულის მხარეს დგებიან, — ამბობს სერგო და ისე ალაღად, ისე ბავშვური სინდფლით იცქირება, მისი შემხედველი ვერც კი დაიჯერებ, თუკი სადმე მისხალი ბოროტება მაინც არსებობს.

ზურგს უკან უდგას სერგოს ნიგიარ. მის განიერ მხრებს ამოფარებული. ნიგიარსაც სწამს და წუთებით იმ საერთო ღმერთის, რომელსაც თვით სიყვარული ეწოდება.

და ჰა, უნდა დაიძრას მატარებელი... და ის არის, უნდა შეახტეს ორივე ვაგონს, რომ ძმების ველური მკლავები თმებში სწვდებიან ნიგიარს. ლიანდაგებში აგდებენ მოულოდნელად.

რელსებს ეხეთქება უნაკლო სხეული.

ფერადი შარფი დაშვებული ალამივით ფრიალებს თავზე.

სერგოს ნაჩუქარი ბრილიანტის მაგვარი თეთრი თვალი გამალებით მოძრაობს გულის ბაგა-ბუფს რიტმად აყოლილი...

და კივის მატარებელი... გველივით მოსრილობს ლიანდაგებზე. ალბათ, ისიც ვერ წარმოიდგენს, რომ საკუთარ ბორბლებზე უნდა მოიქციოს უსუსურად მის რელსებზე განოლილი, სიკვდილმისჯილი ქალი...

ჰო... კივის, კივის მატარებელი... ბრმად მიმავალი...

და ამ კივილით ცდილობს, გადაფაროს სერგოს სხეულიდან ამოშვებული არაამქვეყნიური ღრიალი, რომელსაც ვერაფრით ვერ გაუძლებ... ვერა... ვერ გაუძლებ! ისეთი შემადრწუნებელია...

და რომელსაც მხოლოდ ერთადერთი სახელი აქვს:

ნი-გი-არ — თათ-რის გო-გო-ნას სა-ხე-ლი...

ნი-გი-არ — თათ-რის გო-გო-ნას სა-ხე-ლი...

ნი-გი-არ — თათ-რის გო-გო-ნას სა-ხე-ლი...

ნი-გი-არ — თათ-რის გო-გო-ნას სა-ხე-ლი...

ნიიიიგიააარრრ!..



ორი წერილი

1
წერილი პირველი
(შვილს)

„ვერონიკა, ჩემო გოგონა...

დღეს მზიანი დღეა ტაშკენტში. დილიდან ქუჩაში დავხეტიალობ იმ იმედით, რომ სადმე შემხვდები, სადღაც თვალს მოგკრავ... შენ კი არსად ხარ... არსად და არსად... თითქოს მთელმა დედამიწამ ჩემს წინააღმდეგ შეკრა პირი და ისეთ ადგილზე გადაგმალა, მამის თვალთახედვას რომ ვერასდროს მისწვდე.

იცო, რა ძნელია, ჩემო ძვირფასო, ქალაქიდან ქალაქში უხმოდ ხეტიალი ნატკენი, დაუძლურებული ფეხებით? თანაც, წუ და-გავინწყდება, რომ უკვე ასაკშია მამაშენი! ჰო, აღარ გამოიყურება ბიჭივით! თუმცა, ვერავითარ ტკივილს ვერ გრძნობს შენი მამიკო იმ წამებში, როდესაც დაგეძებს შენ — მის სანატრელ შვილს. დიახ! ვერავითარს! გულის ტკივილის გარდა.

გულს მხოლოდ შენ სჭირდება, ვერონიკა!

შენ და არავინ სხვა!

აი, იმ დღესაც, მორიგი ხეტიალისას, ერთ ქერათმიან გოგონას მიგამსგავსე. შენსავით მაღალი იყო, ჩამოქნილი ლერწამივით ტანით. მასაც ლამაზად ჩამოემვა სწორი გრძელი თმა მხრებზე და ისიც, ჰო, ისიც შენნაირი მსუბუქი მიხრა-მოხრით მიუყვებოდა იმ ტროტუარს, რომელზეც არაერთხელ გვივლია მე და შენ.

დიახ, მე, შენს ძვირფას მამას, და შენ, ჩემს სათაყვანებელ ქალიშვილს.

ერთად... სულ ერთად... ჯერ კიდევ შენი ღრმა ბავშვობიდან...

როგორ მახსოვხარ კიკინებიანი პატარა გოგო... ნაყინით ხელში... დაუდუმებლად მოტიკტიკე... იმ ნაყინით, რომელიც მალე ყელს გატკენს და, შესაძლოა, ტემპერატურამაც აგინოს (რადგან სუსტი ვე შენი ყელი, ხშირად უბრალო სიცოცხლაც ვერ უძლებს). მაგრამ დაიშლის რამეს ვერონიკა?! რას დაიშლის მამას ჯიუტი გოგო?!

ჰეჰ! ბავშვობიდანვე ასეთი იყავი. თუკი სურვილი გაგაჩნდა, იქვე წარმოიშობოდა მოუდრეკავი ნებისყოფაც! და მეც უძლური ვხდებოდი მაგ შენი სურვილის წინაშე. სხვაგვარად როგორ შემძლო? შენ ხომ ერთადერთი შვილი ხარ ჩემი? უდედოდ გაზრდილი პატარა ბავშვი. თუკი სურვილებს მე არ შეგისრულებდი, სხვა ვინ გააკეთებდა ამას?

გული მიმდიოდა, სულს მიხუთავდა შენი მოწყენა.

და თუ მოიწყენდი, თუ გამებუტებოდი რომელიმე ახალი ახირების გამო... ჰაჰ! გახსოვს, რა სასაცილოდ ვრიგდებოდით ხოლმე შემდეგ? რა უჩვეულო წერილს მწერდა ჩემი ვერონიკა? ჰა-ჰა-ჰაა! საგანგებოდ გაკეთებულ კონვერტში თითქმის ცარიელი ფურცელი იდო, რომელზეც მხოლოდ და მხოლოდ სამი წერტილი ეწერა. სულ სამი წერტილი... რაც მთელ შენს განცდებს გულისხმობდა. ჰა-ჰა-ჰაა! ეს იყო დუმილით გამოხატული წყენაცა და მამიკოსთან შერიგების უხმო მცდელობაც.

სამი წერტილის ქვემოთ მინაწერი — „შენი ვერონიკა! როგორც შესანიშნავი თხზულების ავტორი. „შენი ვერონიკა“... „შენი ვერონიკა“...

ჰა-ჰა-ჰა!

ვერ ვუძლებდი ამ უცნაურ წერილებს,

რომლებსაც, ვინ მოიფიქრებდა, თუ არა მართოდ შენ. შენ, ჩემი ყველაზე საოცარი ბავშვი, რომელიც მალე უნდა ჩაეკრა წერილის ადრესატს გულში... და კეთილი ენება და გაენია მისი მორიგი ახირების ასასრულებლად.

ჰაჰ! შენი, შენს გამო გამოსულელებული მამიკო...

ჰოდა...

გიჟივით გამოვეცი ქუჩაში იმ საბრალო გოგოს, რომელსაც უნებურად მიგამსგავსე და რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუკი ვინმეს ჰგავდა, ისე მსუბუქად და არხინად მიაბიჯებდა თავისთვის „ჩვენს“ ტროტუარზე.

ძალიან შევამინე საცოდავი. მკლავშიც კი ჩავავლე ხელი და როდესაც მობრუნდა... შენ არ იყავი... არა, არ იყო იგი ჩემი ვერონიკა.

მუხლებში მოვიკეცე. სახე ხელებში ჩავრგე და ისტერიული ტირილი ამივარდა. გაოცებული, დაბნეული მიყურებდა საბრალო, რომელიც მალე უფრო დამაბნეულად გავოცე, რადგან მომხდარი სცენა გონებაში წამიერად გადავიაზრე და ტირილი ისტერიულმა სიცილმა შემიცვალა. ჰო, მე ახლა უკვე ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა ვიცილობდი... ტირილიდან სიცილში გადასული... სადღაც სიგიჟის ზღვართან...

გონს რომ მოვედი, საავადმყოფოს თეთრ პალატაში ვინეჭი გულალმა. გადასხმის სისტემის მილი შეეერთებინათ ჩემს ვენებთან და ცივი სითხე ზანტად მიიზღაზნებოდა გაცივებულ გულსა თუ სხეულში.

თავზე ქერა „მედიკოსები“ დამტრიალებდნენ... და მათ შორისაც... ჰეჰ, ჩემო თავო! მათ შორისაც კი თვალის გახელისთანავე შენ დაგინწყე ძებნა.

შენ — ჩემი ხორცი... მამას მსგავსი... მამიკოს ასლი...

ალბათ, ამიტომაც გაგვიჭირდა, გაგვეგო ერთმანეთისთვის. უფრო კი დავგვეთმო. ორ ერთნაირს ხომ ყველაზე მეტად ეძნელება რალაცის დათმობა, რადგან ერთნაირად წარმოეშობათ შიშიც და სითამამიც, სიყვარულიც თუ სიძულელიც, გამბედაობაც თუ გაქცევის სურვილიც.

მიწუსი მიწუსთან პლუსს წარმოქმნის, პლუსი პლუსთან — მინუსს. ვილაცამ კი აუცილებლად უნდა დათმოს... რათა არ მოხდეს გარდაუვალი აფეთქება...

ეს აფეთქება კი მოხდა! იმ საზარელ დღეს, როდესაც შენ ჩემს სამუშაო ადგილზე გამოცხადდი და ხალხის თანდასწრებით განმიცხადე, რომ შვილს თეოდო. შვილს... არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი მტრისგან. ფულს დახარბებული კაცის ვაჟისაგან. კაცის, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება უსინდისოდ გაანადგურა, ბეჭებზე დამცა და საბოლოოდ იმსხვერპლა დედაშენიც. ჰო, შენი დედიკოც... მის აუტანელ ინტრიგებს შეენირა დედა... და ახლა შენც... შენც მათ მიჰყვებოდი საკუთარი ნებით... და უფრო მეტიც, მათი გენი უკვე სხეულშიც გეჯდა... მამიკოს გული კი სულაც არ გადარდებდა.

რეალობას ბოლომდე ვერც ვიაზრებდი. თითქოს შორიდან ჩამესმოდა შენი ხმა. ბოლივუდური ფილმის ბანალური სცენარით ლაპარაკობდი. რაც შეიძლება დამაჯერებლად. რომ შვილებს არ უნდა გეგოთ პასუხი მშობლების დაშვებული თუნდაც გამოუხსოვრებელი შეცდომებისა თუ ცოდვების გამო. რომ თქვენ თქვენი სურვილები

და „არჩევანები“ გქონდათ, რომლებიც ვერასოდეს გავიდოდა „ჩვენი“ აზრებისა და შეხედულებების თანაბრად!

მაინცდამაინც ის! გესმის?! ის! ვისკენ გახედვასაც მუდამ გიკრძალავდი და ალბათ, ზუსტად ამიტომაც! მორიგი აკრძალული ხილი და მისი დაუფლების კვლავ შენი მოუდრეკავი ნება!

არა, თურმე არ უნდა შეაჩვიო ბავშვი ყველა სურვილის უხმო შესრულებას! რადგან სხვაგვარად ველარ ძლებს მერე! სხვა რამ აღარ იცის. არადა, არა!

თუმცა, რალა დროს?!

თვალთ დამიბნელდა, ვერონიკა. გონი წამერთვა და თვითონაც არ ვიცი, როგორ აღეშართე ხელი მაგ შენი ლამაზი, ფაფუკი ლოყების წინააღმდეგ. ცხოვრებაში პირველად! ოჰ! ღმერთო ჩემო! რას ვიფიქრებდი?! მაგრამ, ვფიცავ, ეს მე არ ვიყავი მაშინ. ეს ვილაც სხვა იყო. არაამქვეყნიური, გამწარებული, უსახო კაცი, რომლიდანაც ადამიანი გამოსულიყო და მასში ცხოველი დაეტოვებინა. დიახ, ასე ხდება, როდესაც ადამიანი გამოდის ადამიანიდან, მასში მხოლოდ ცხოველი რჩება. ან რა ხმით ვღრიალებდი... როგორ ვიქცეოდი... და ეს ყოველივე ზუსტად ხალხის თვალწინ! რაც შენ, ჩემს თავმოყვარე გოგოს უფრო მწარედ შეურაცხყოფდა.

ოჰ, როგორ ცდებიან მშობლები, ვერონიკა, როდესაც ფიქრობენ, რომ არასდროს, არასდროს და არსად გადაიკვეთება მამებისა და შვილების ინტერესები. სადღაც, ჰო, სადღაც, რომელიღაც მტკივნეულ წერტილში, გარდაუვალად მოხდება ეს! და როცა ეს მოხდება, ჩვენ, მშობლები, მოვალენი ვართ, ენა მოვიკვნითო, თითები დავიჭამოთ, მოთმენა შევძლოთ... შვილს კი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრების უფლება მივცეთ! რადგან მათი ცხოვრება არ არის ჩვენი! არა! არ არის! და ეს, უმეტეს ნილად, ვერ გაგვიგია.

ეჰ, არადა, რა ძნელია, იცი, ვერონიკა?

ალბათ, ერთხელაც თვითონვე მშობელი, შენც გაუგებ საკუთარ მამას. მამას, რომელმაც ზუსტად იცის, რა გზას რა მოსდევს, რადგან უკვე არაერთხელ უფლია მსგავსი გზებით და არაერთხელ წაუტეხია მასზე ცხვირიცა და კისერიც. ჰეჰ, როგორ გინდა ასეთ დროს, გვერდით გაიწიო, გადგე განზე და თავისუფლად უცქირო სისხლსა და ხორცს ტკივილებისკენ ნებით მიმავალს. იმ ტკივილებისკენ, რომელსაც შვილი მოცემულ მომენტში ბედნიერებას უწოდებს.

მშობლების ხვედრი... მშობლების ხვედრი...

დე, იყოს ასე... როგორც შენ გინდა, ჩემო ძვირფასო, ლამაზო შვილო. დე, ჩემი სიცოცხლაც თავად იყოს შენი, ვერონიკა. ოღონდ დამიბრუნდე... უშენოდ ყველაფერს დაჰკარგვია აზრი... მზე აღარ არის მზე, ვერონიკა... არც შენი დარგული ყვავილები ყვავიან „სიცოცხლისფერებად“ ბაღში... სამყარო გაჩერდა... გესმის, ვერონიკა? საყვარო მშენებელი სუნთქვა... რადგან მთელი სამყაროც და ჩემი სუნთქვაც შენ ყოფილხარ.

ჩვენ, მამები, ჩვენივე შვილებად გადაქცეული სხეულები ვართ... მათივე სურვილებით, მათივე „სიცილებით“... უშათოდ კი არაფერი... თურმე არაფერი...

ჩემო გოგონავ, იცი, დღეს პირველად გამიხარდა რალაც მთელი იმ კომპარული 4 წლის მანძილზე, რაც შენი გზა და კვალი დავკარგე და გაქრი. ნაცნობმა ოფიცერმა, რომელიც შენს ძებნაში მეხმარება, მახარა, რომ სადღაც, ყირგიზეთის რომელიღაც მიკარგულ სოფელში მიაკვლიეს შენს სავარაუდო კვალს... და მისამართსაც... ჰო, სავარაუდოა... თუმცა, იმედი მაინც არის...

ჰოდა, ამ მისამართზე გიგზავნის წერილს შენი საბრალო მამა! გთხოვ, მხოლოდ მანიშნე, რომ ცოცხალი ხარ... რომ კარგად ხარ და რომ... ოდესმე ისევ შეძლებ ჩემს პატიებას...

და დაბრუნდები...

მომეცი მცირედი იმედი, ვერონიკა...

მცირე... სულ მცირე... რომელსაც სიკვდილის კარამდე ჩავებღაუჭები...

მარად შენი საყვარელი მამიკო — ალექსანდრე.“

2

წერილი მეორე
(მამას)

„

...

შენი ვერონიკა.“



ვხუჭავ თვალებს და ათასი გზა ათას ფერს იცვლის,
მრჩება სიჩუმე, გარინდული ყოფის მორევი,
სმენა კი მისდევს საგანგებოდ შეკვეთილ სიცილს,
საჭირო დროს რომ ასრულებენ კლაკიორები.

ნამში იღვიძებს სამყარო და მისი სტუმრებიც,
შუადღე არის მზის ყველაზე ცხელი ასაკი,
სანამ გტირივართ, იღბალს აღარ მოვესურვებით,
შავს გადააცმევს ოცნებებს და ვფიქრობთ რასაც კი.

თვალებს ვხუჭავ და იძერწება ტოტებზე ფერი
და ემსგავსება აწმყო წარსულს, ანდა პირიქით
და ერთადერთი გვაბადია საკუთრივ ჩვენი —
ერთად ვერყოფნით გატკეპნილი შავი ბლიკი...

დაიხურება ეს თვალები ნახევარმთვარედ
და ვარსკვლავივით ცრემლზე ცრემლი დაეკიდება,
გზაზე ერთმანეთს თავი რადგან ვერ შევაყვარეთ,
ჩვენ შეგვიყვარეს მხოლოდ ჩვენმა ფანჯრის ჩიტებმა.

ყველაფერი, რაც კარგი იყო, ჩემში ის დაშრა,
იქნებ არ იყო და მეჩვენა სუსტი გონებით,
არც დღევანდელმა, არც წარსულმა სიმშვიდე არ შვა,
ყველა ცდუნებას უფსკრულისკენ მივავორებდი.

ვინ შეაკავებს სურვილების განვრთნილ არმიას,
როცა ხედავ, რომ სხვას სიამის ზღვაში აცურებს,
უსინდისონი ცასთან უფრო ახლოს არიან,
ჩვენ კი გვაძიმებს დედამიწა, სინდისჩაცმულებს.

გაზაფხულია, მაგრამ ფრთები აღარ ფარფატებს,
ყველა ხმაური დახშულია და მოგუდული,
ღამე შემოდის გატეხილი, მხარზე თავს მადებს,
ტვირთად იქცევა გათენება და მომდის გული.

ზოგჯერ საათი ნაკლებია, ვიდრე შეგრძნება,
ყველა ჭიშკარი ჩავლილია ფეხის ნათრევით,
უკვე სიკეთით და სითბოთი მაღლი ვერ ცხვება,
გული ირღვევა უთვალავჯერ შემონამტვრევი.

ვუცქერი სურვილს, სურვილების ურიცხვ არმიას,
მე, გაუბედავს, უხერხული სინითლე მივლის
და სანამ ნაცარს უსინდისოდ თვალში მაყრიან,
სახელს ვერაფრით მოვუძებნი შეფარულ ტკივილს.

რა გესიზმრება?
ამ ორი ვარსკვლავით ნეტავ
რომელ ცაზე ანთიხარ...
ხომ არ გადაგყვა სიცხადედან
ქარიშხლების ხმა?
ნაცარნაყრილი თვალები,
ალბათ, ძილის წინ სუფთა ცრემლმა ამოგირეცხა...
როცა ტირიხარ,
თვალებიდან წყაროს წყალი გდის,
შენ შეგიძლია, ერთი გვალვა ამატანინო.

რაც შენ მოხვედი,
მე მესიზმრება, რომ სრულქმნილი ვარ
და ჩემში ერთი ნაკლიც არაა,
ვხარობ სინაზით,
ტანმოქმეული დავნავარდობ
და ვნაზობ დღეებს,
ჩემი თავი რომ არ მიყვარდა.
თუ გესიზმრები ნეტავ
სადმე მდინარის პირას,
მე და შენ ერთად ვითვლით ტირიფებს,
ვისხენებთ ჩვენს სიმორცხვეს,
ცრუნწმენებს და გვესმის, ჩრდილში
როგორ ფეთქავს ჩვენი სიცილი.
თუ გესიზმრება სიყვარული,
არა ისეთი, ყველამ რომ იცის,
არამედ გულით, სულითა და
ძვლებით რომ უყვართ,
ძვალში ჩასული სიყვარულია,
რომ გაჰკივის მარადისობას.
მე დამესიზმრა და სიცხადეში
შევიგრძენი მისი სისრულე.
რა გესიზმრება ნეტავ?
ნეტავ იმ ორი ვარსკვლავის იქით
თუ დავშრიალე, თუ შემიძლია,
ვიფარფატო შენს ხელის გულზე...
რაც შენ მოხვედი, რეალობა
ტკბილ სიზმრებს სცდება.

კიბეზე ადის და ჩამოდის, ვხედავ სილუეტს,
თვალის ხამხამიც მეზარება, ისე გავქვავდი —
ჰო, ერთხელ, რადგან ჩვენ ერთმანეთს ვერ შევეგუეთ,
გავიორმაგეთ წუთისოფლის გადასახადი...

ჰო, არაფერი, ემოცია სადღაც მინავლდა,
ვერ მაიძულებს ვერაფერი, რამე წამომცდეს,
ღმერთო, დალოცე ყველა ის, ვინც ასე მიყვარდა,
ყველა, ვინც ჩემში ამოძირკვა ხილვა — „სამოთხე“.

და თითქოს ხელებს ვაცეცებდე, ისე დავდივარ,
ამინდიც თითქოს შემკვეთია ღამისებრ ბინდის,
მწარე სიჩუმე იცქირება თმენის ნალმიდან
და ცაზე ისევ, ძველებურად, ღრუბელი მიდის.

დავიკრეფ ხელებს, მოვინდომებ არაფრის წერას,
დღე მშვიდი იყო, ღამეც არის რაღაც უქარო,
ღრმა ძილით სძინავს ჩემში ყველა ტკივილს და წყენას
და თავს ჩავძახი — არაფერი მჭირს სამწუხარო.

ტერენტი გრანელს

ქარი ხომ მისი პირველი სიყვარულია...
ქარის პოეტი.
თუმც უიმედობით გალუმპულს
სულდგმულობა ვერ გამოუშრო.

შავ ბედისწერას
მარადიული პოეზიით შეუტრიალდა.
ხომ არსებობენ განსაცდელები...
მაგრამ სხვა უფრო, რაღაც რთული,
მოკლე სიცოცხლით ზღვა ტკივილი შემოენერა.
ცისფერი ლანდით მისჩერებია
ბეთჰოვენს და ჩიტს გასძახის, გული წაიღოს.
ხე ჭერად ექცა და ფოთლებმა სითბო აძლიეს...
სიზმარში კრთიან გადაუხდელი პანაშვიდები.
ნაცნობი ქუჩის გრამაფონები.
მათი ხმები მის გულთან მიწას აფხვიერებენ.
დაღლილ სხეულზე
ლამპიონები დაჰყურებენ ცოფიანი
თვალებით...
ქარის პოეტი.

ცა-მიწა შორის პოეზიად ამოიღვარა.
ცივ საძინებელს, მის სიმყუდროვეს
დასტრიალებენ ვერშობილი მისი ლექსები...
უგაზაფხულო მერცხლები.
ქარის პოეტი...
ხშირად ილანდება ილლიაში გაზეთამოჩრილი,
თავისებური გულგრილობით დაეშვება
ხის ცივ სანოლზე.
მე მიყვარს ქარის პოეტი...
მსოფლიო სევდა მტკივან
სულში რომ შეიგუბა.
მე მიყვარს ქარის პოეტი...
პირს ვისვლეხ მისი სტროფებით...
სანამ სუნთქავდა,
ტაშნაკულ იყო...
„და სიჩუმეში იფარებოდა
მისი სიმართლე და სათნოება“.

ჩემი ყველაზე სასურველი სურათია
შუალამის ცა,
ბრწყინავენ ბრილიანტები,
ჩამოუყრელი მშვენიერება.

არ მინდა მიწის დახედვა,
ვნება არწევს და მეტისმეტად ცოდვილობენ
ხორციელი სიტკბოთი პირგამომშრალნი.

მიყვარს სურათი შუაგულ ზამთრის,
ბამბის მინდვრებით...
და სისუფთავე თეთრად ჩაცმული...
მე ზამთრის მუნჯი მგზავრი უფრო ვარ,
არვის განმსჯელი და განმკითხავი.

ხეებს ვიგონებ, უმეტყველო, თეთრსულიანებს,
ყინვებთან უფაროდ,
მხოლოდ საკუთარ ტყავით მებრძოლებს.

ზღვა მიყვარს ისე...
მახსოვს, როგორ ჩამბერა სული და ამატალლა...
გამრია თოლიებს შორის...
რა მსუბუქად ამაფრთხილა.
არ მოვნამლულვარ მისი სიმლაშით.
მხოლოდ ხანდახან მასში პატარა კენჭებივით
ვისროდი აბსურდის სევდას.
მე შემეყვარა მასში ის, რაც იყო ჩვენში სხვაობა,
რომ მის ძალას სამყარო ვერ ამოწურავდა.

უკვე არ ყვირის ჩემი ხელები,
ჩემი სიგიჟის პანტომიმები,
არ მესევია მომლოცველები
ფარისეველური გამოტირებით.

სიჩუმის უკან დგება ხმაური,
ამ სიჩუმეზე უფრო საშიში
მწარედ ნათმენი არვის გაუვლის,
სახეზე რჩება, თვალებს ამიშვლებს.

თუმც ფარისეველებს ვერ მოვერევი,
მაინც მივცურავ რწმენის ტივებით...
აღარ ყვირიან ჩემი ხელები,
ჩემი სიგიჟის პანტომიმები...

შენ ჩემი თავი არასოდეს არ გყვარებია,
არა იმიტომ, რომ ვიყავი მართალი ცამდე,
არა იმიტომ, არ მნახულობ რომ თვეებია,
არამედ — ასე გაგიჟებით რომ შემეყვარდი.

შენ ჩემი თავი არასოდეს დაგნანებია,
ალბათ იმიტომ, რომ ვიყავი მეც სხვების მსგავსი,
ალბათ იმიტომ, რომ შენ გვერდით სხვა ქალებია
(თუმცა ვერცერთი შენად მაინც ვერ მოიაზრე).

შენ ჩემი თავი არასოდეს შეგცოდებია
(თუმც არც ის მინდა, სიბრალულის შარში გავება!),
ვეჭიდავები საკუთარ თავს, აგერ წლებია
და შენთან ერთად საუკუნიეც მეცოტავება.

მწერალი

ანდრო ბუაჩიძე

პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი და მთარგმნელი ანდრო ბუაჩიძე ჩვენი გაზეთის სტუმარია.

ახლახან გამოიცა მისი პოეტური კრებული „თოვლი და ფერფლი“.

მკითხველი მის შემოქმედებას დიდი ხანია იცნობს პოეტური კრებულებით „გარეუბანი“, „ელნათურები“, „ლამის ნათელი“ და „საუბრები წყვილიადში“, პროზაული კრებულებით „ტრამვაი, სახელად წარსული“, რჩეული თარგმანებით „დიდი თანავარსკვლავედი“, ლიტერატურული ესეებით „ინტერიერი“, ნერილემის კრებულებით „ილუზიების მსხვერვალი“.

ანდრო ბუაჩიძე პრემია „საბას“ ორგზის ლაურეატი, მიღებული აქვს კალასის ყოველწლიური ლიტერატურული პრემია და ილიას ფონდის ყოველწლიური ლიტერატურული ჯილდო.

— ალბათ ძნელია, ზუსტად განსაზღვროთ, მაგრამ როგორ ფიქრობთ, რა არის პოეზია?


— პოეზია საიდუმლოებით მოცული უძველესი სიტყვიერი ხელოვნებაა. პოეზიის ამომწურავი განსაზღვრება არ არსებობს. პოეზიის არსი ენაში ძევს, ენა კი თვითონ არის საიდუმლო. „ენა ყოფიერების სახელია“ — ამბობს ჰაიდეგერი; „ენა ენერგიაა და არა ერგონი“ — ეს კი ჰუმბოლდტის სიტყვებია. ენის წიაღიდან წარმოიშობება პოეზია, რადგან ენა გონის განუზრახველი ემანაციაა, თვითმოქმედი, კრეატიული სანწყისია. არსებობს არა ენა, არამედ ენები, როგორც სხვადასხვა კულტურის თაურფენომენები. ბორის პასტერნაკი ამბობდა, ქართული ენა პოეზიისთვის არის მოწოდებული. ამაში თვითონვე ღრმად დარწმუნდებოდა, შოთა რუსთაველის, ანდა თავისივე თანამედროვე გალაკტიონ ტაბიძის ლექსები ქართულად რომ წაეკითხა. პოლ ვერლენმა რომ თქვა, მუსიკა უპირველეს ყოვლისაო, ეს სრულიადაც არ იყო სიახლე. ანტიკურ სამყაროში ევტერპესელი ლირიკა მუსიკალური ინსტრუმენტების, კითარისა და ფლეიტის თანხლებით სრულდებოდა. მერე კი ეს ინსტრუმენტები დეკლამაციამ შეცვალა. პოეზიის პირველხატად ყოველთვის ბგერწერა მიიჩნეოდა. ახლაც ასეა, როგორი პროზაული ნაკადიც არ უნდა შეიჭრას პოეზიაში, ბგერწერულ მიმოხრას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება, ანუ პოეზია თავისებური ენობრივი მუსიკაა, ენის მაგიაა. ორტეგა ი გასეტი თავის „ხელოვნების დეკლამაციის“ ამბობს, რომ მოდერნული პოეზია მალარმედან იწყება, მუსიკა — დებიუსიდან. ესეც პირობითობაა, ზუსტად განსაზღვრა არავის შეუძლია. პოეზია დროზეა დამოკიდებული.

— დიდი ხანი არ არის, რაც მწერალთა სახლის ხელშეწყობით, თქვენი ბოლო წიგნი „თოვლი და ფერფლი“ გამოიცა. პოეტური კრებულია, რომელიც თქვენს ორიგინალურ და თარგმნილ ლექსებს აერთიანებს. რატომ გადაწყვიტეთ ამ სახით გამოგეცათ?

— ჩემს ახალ წიგნში „თოვლი და ფერფლი“ ჯერ გამოუქვეყნებელი, სიჭაბუკისდროინდელი ლექსები შევიტანე. წიგნი ამ ლექსებით იხსნება. ურბანიზმი და დისპარმოიული კონტრასტები აქ თავიდანვე იკვეთება. ეს ციკლი 1974 წლიდან 1980 წლამდე გრძელდება. ვფიქრობ, ადრეული ნაწარმოებები კარგად შეერწყა დანარჩენ ნაწილს. ადამიანი დროთა განმავლობაში იცვლება და იცვლება მისდა კვალად ლირიკაც. რაც შეეხება თარგმანებს, აქ იმ პოეტებს მოვუყარე თავი, რომლებთანაც ერთგვარი სულიერი სიახლოვე მაკავშირებდა, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, მათი შემოქმედებიდან საუკეთესო ლექსები შევარჩიე.

— სულიერ სიახლოვესთან ერთად რა აკავშირებს თქვენს ორიგინალურ ლექსებს და თარგმანებს?

— ოსტატობა. რა არის ოსტატობა? უკვე მომწიფებული სათქმელის მოხელთება და სათანადოდ გამოთქმა. ასეთი ოსტატია, ვთქვათ, ვლადისლავ ხოდასევიჩი, რომელსაც გამჭრიახი კაცის სიბრძნე და სკეპტიციზმი აქვს. სევდა და ნაღველი კი ეწყვეილება პოეზიას, მაგრამ სკეპტიციზმი ხშირად პოეზიის გამომრიცხველია. ხოდასევიჩთან ასე არ არის და ეს არის სწორედ საინტერესო. მას ინოვაციური პროზაული



შტრიხები შეაქვს პოეზიაში, თან ხშირად ტრადიციულ ათმარცვლიან ლექსს წერს და ტრადიციული სტროფიკა აქვს; არატრადიციულ განწყობას ტრადიციულ ყალიბში ათავსებს. ამას მეც ვაკეთებ, რადგან ასეთ დროს ინოვაციურ-სკეპტიკური განწყობა უფრო მკაფიოდ ჩანს. ამიტომაც ვთარგმნე ხოდასევიჩი.

პაულ ცელანის „სიკვდილის ფუგა“ კი იმიტომ ვთარგმნე, რომ ეს ლექსი „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკით არის დაწერილი და ჩემთვის სასურველი გამოწვევა იყო.

ვფიქრობ, ჩემს თარგმანებში შერჩეული პოეტები ორიგინალური ნიშნით წარმოვაჩინე. პოეტისთვის მთავარი ორიგინალური სახეა, თავისი პროფესიული წყობით განსაზღვრული სამყაროა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება სხვა სამყაროებისგან.

— თქვენი, როგორც პოეტის ნიშანი, სახე რა არის, ან როგორია თქვენი სამყარო?

— ჩემი პოეზია ექსისტენციური პოეზიაა. სამყაროს გაგება პიროვნული გამოცდილების საფუძველზეა შესაძლებელი. სხვაგვარად რომ ვთქვა, სამყაროს გაგება ჩემს პიროვნულ სიღრმისეულ გაცნობაში


თუ განწყობაშია ალბეჭდილი. ჩემთან რეალობა განიცდება როგორც მყიფე და მსხვერველი რამ, ჩემთვის ყოფიერება არის სიკვდილის წინაშე მუდმივი დგომა. სწორედ აქ არის ექსისტენციალიზმთან მთავარი შემხები წერტილი. არსებობა ირაციონალური ხასიათისაა, ის ისეთია, როგორადაც განვიცდი მას. აი, ეს არის ჩემი ლირიკის შინაარსი, ასეთია თანამედროვე XX საუკუნის რთულ, ურბანულ, ღმერთსმოკლებულ სამყაროში მოხვედრილი ადამიანების ბედისწერა. ჩემთვის მნიშვნელოვანია ამავე სამყაროს სურათების ხატვა, სადაც ყველაფერი გაუცხოების ნიშანი ატყვია.

— თქვენი პოეტური ხედვით თუ განცდით არაერთ ცნობილ შემოქმედს ენათესავებთ.

— ურბანიზმი და ექსისტენციალიზმი ჩვენს თანამედროვე ქართულ პოეზიაშიც იყო და ჩემი ინტერესი მისდამი ძალიან მძაფრი გახლდათ. ოთარ ჭილაძის ურბანისტული სურათები ალბერ მარკეს ნამუშევრებს ჰგავს — ფართო სივრცე, ხიდები, ქალაქი, საკვამურები, კვამლი... შოთა ჩანტლაძემ თავის ლირიკაში ტრამვაის პერსონიფიკაციებით საბჭოთა ადამიანის გრატესკული სახე დახატა. ეს თავისებური აბ-

„
პოეზიაშიც,
პროზაშიც
მთავარი
ადამიანია
“

სურდის პოეზიაა და, რა თქმა უნდა, ანტი-საბჭოთა მოქალაქეობრივი აპათიის წიაღშია წარმოქმნილი. ასე რომ, პოეზია სხვადასხვანაირი იყო, მაგრამ თანამედროვე ექსისტენციურ-ურბანისტული ატმოსფერო მე მთლიანობაში ყველაზე მეტად მიზიდავდა. აქედან აღიძრა ჩემი ინტერესი იმთავითვე დასავლური კინემატოგრაფის მიმართაც, რომელმაც პროზასა და პოეზიაზე თვალსაჩინოდ მოიხელთა ამგვარი მოტივები, მსოფლმხედველობა, ვიზუალური ხატები. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩვენს დახშულ სივრცეში XX საუკუნის სხვადასხვა წელს კინემატოგრაფის შემოქრა: აკირა კუროსავას „ტრამვაის ბორბლებზე“, ინგმარ ბერგმანის „მარწყვის მდელი“, ანტონიონის „დაბნელება“, „თავგადასავალი“, „პროფესია — რეპორტიორი“, ფედერიკო ფელინის „რვანახევარი“ და სხვები. ეს ფილმები კარგა ხნის წინ გადაიღეს, მაგრამ კინოხელოვნების მწვერვალებია და ჩემზე პირადად წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა თითოეულმა მათგანმა, განსაკუთრებით ანტონიონის ფილმებმა. XX საუკუნის ცივილიზებულ სამყაროში მცხოვრები ადამი-



ანის ხვედრი და მისი სულიერი შეჭირვება — ღმერთის დაკარგვა და თავის თავის ამარა დარჩენა — ამ ნაწარმოებებში ძალზე მკაფიოდ ჩანს. კარგი ის იყო, რომ დასავლურ კულტურას, არამარტო კინემატოგრაფს, არამედ მწერლობას — კაფკა, თომას მანი — ჩვენში ინტერპრეტატორი ჰყავდა.

— ვინ იყო ის?

— ეს იყო ზურაბ კაკაბაძე, ფილოსოფოსი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა, რა მოხდა დასავლეთში, რამ გამოიწვია დოსტოევსკისეული, ნიცშესეული და შპენგლერისეული კრიზისი. ნიჰილიზმი სუფევდა, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირშიც, იმ დაკონსერვებულ და უტოპიურ ქვეყანაში, რომელიც თანდათან მოირღვა და ჩამოიშალა.

— ის უცხოელი ავტორები, რომლებსაც თქვენ თარგმნით ხოლმე, თუნდაც ისინი, ვინც კრებულ „დიდ თანავარსკვლავედში“ გააერთიანეთ, იმავეს ჰყვებიან, რაზეც თქვენ ზემოთ ილაპარაკეთ.

— პოეზია ყველასთვის გასაგები არასდროს ყოფილა და არც იქნება. ამ ნიშნით ის მუსიკისგან არაფრით განსხვავდება. მე ვთარგმნე რილკეს ლექსები მისი ციკლიდან „ჟამინი“. ძალიან მიყვარს ეს მცირე ზომის ლექსები, სადაც სიბრძნე და ლირიზმია ჩაქსოვილი. ამ ციკლში პოეტი ხშირად იმეორებს უძღები შვილის სახარებისეულ იგავს. ჩვენ გამოვდივართ მამისეული სახლიდან და ცხოვრების რთულ გზას ვადგებით. მოგვყვება მშობლებისგან შეთვისებული ჩვეულებანი, მათი წარმოდგენა და აზრი სამყაროზე. ვცდილობთ, ჩვენს ყაიდაზე გარდავექმნათ მათი გამოცდილება, მერე კი ისევ მშობლების ნააზრევს და ცხოვრების წესს ვუბრუნდებით. რილკეს ლირიკული სუბიექტიც ამ გზას გაივლის. ის შეიძლება შინ დაბრუნდეს, მაგრამ შეიძლება ვერც დაბრუნდეს და ცხოვრების ვრცელ გზაზე სადღაც აღესრულოს. ასეა თუ ისე, სახლიდან გასვლა აუცილებელია საიმისოდ, რომ შეიმეცნო ის, რაც სახლში დატოვე. რასაც განემორეო, მერე ისევ იმას უახლოვდება.

სოფელია და

მის ირგვლივ კი ორი სივრცეა

და ეს სოფელი

ამ სივრცეთა შორის ირწევა,

რალაცას ელის,

გზა კი არის უზომოდ ვრცელი,

და იმას,

ვინც ამ გზას დაადგა და მიიქცევა,

ალბათ გზაშივე


მიენევა სიკვდილის ცელი.



დიდი

თანავარსკვლავედი

რჩეული თარგმანები



მწერალი

ანდრო ბუაჩიძე:

„პოეზიაშიც, პროზაშიც მთავარი ადამიანია“

დასასრული

— თქვენი მოთხრობების კრებული გამახსენდა, „ტრამეზი, სახელად წარსული“.

— იმ კრებულში მეც სახარებისეულ იგავს ვიმეორებ, უძღვები შვილივით ვუბრუნდები იმას, რასაც დავშორდი, ვწერ იმაზე, რასაც დავშორდი და რა გზაც გამოვიარე. ვწერ ჩემს წინაპრებზე, ბაბუაჩემზე, მამაჩემზე, ოთხმოც-დაათიან წლებზე, ოციათი წლების ქართველ მწერლებზე, რომელთაც მწარე ხვედრი ხვედათ წილად, მაგრამ საკუთარი მრწამსისთვის არ უღალატიათ. ეს პროზაა, აქ დოკუმენტალიზმი და ლირიკა ერთმანეთს ერწყმის. პროზა ჩემივე პოეზიის გაგრძელებაა, ექსისტენციური მარტოობაა და გადარჩენის გზის ძიება, თავისებური ღვთისმადიებლობა.

— „ინტერიერი“ ჰქვია წიგნს, რომელშიც ლიტერატურულ საუბრებს გვასმენინებთ. როგორ შეიქმნა ის?

— როცა ქმნი ლიტერატურას, შენ ფიქრობ კიდეც იმაზე, როგორ იქმნება ის ლიტერატურა. არსებობს ამ თემაზე დანერგილი კარგი წიგნები, მაგრამ სწავლა მხოლოდ შენი გამოცდილების ხარჯზეა შესაძლებელი. ჩემი წერილების წიგნი „ინტერიერი“ ამგვარმა გამოცდილებამ მიკარნახა. არსებობს სალექსო სტრუქტურის ფლობა, ოსტატობა, მაგრამ არსებობს შთაგონებაც. ლიტერატურა ოსტატობაზე მეტია, ის ინსპირაციის ნაყოფია. ინსპირაცია მაღლს ანიჭებს და სიცოცხლეს შთაბერავს ნაწარმოებს. ლექსები, მოთხრობები, ესეები მხოლოდ განცდები კი არ არის, გამოცდილებანია, ამბობს რილკე. ცხოვრება მოგონებების საწყაოა. მოგონებების განჩხრეკა, მუდმივი კონტაქტი ამ მოგონებებით განათებული სამყაროსთან წარმოშობს მოულოდნელ ემოციურ იმპულსებს. ხან ერთი მოგონება აინთება ღამეში, ხან მეორე და აქედან იღებს სათავეს პოეზიაც და პროზაც.

— და რა არის მთავარი ლიტერატურაში?

— პოეზიაშიც და პროზაშიც მთავარია ადამიანი, ის არის სამყაროს მიკრომოდელი; როგორიც არის ადამიანი, ისეთივეა სამყარო. ადამიანი ავტონომიური, თავისუფალი არსებაა, ის ყოველთვის არჩევანის წინაშე დგას. დღევანდელ სამყაროში განსაკუთრებით მწვავედ წამოიჭრა ამ არჩევანის გაკეთების პრობლემა. ადამიანმა ან მაღალზნობრივ ფასეულობებს უნდა მიაღწიოს უპირატესობა, აქ ეთიკური და ესთეტიკური ფასეულობები იგულვისხმება, ან ფულს და კომფორტს, ანუ სულით ბერნობას. ფულის და კომფორტის გარეშე ცხოვრება ძნელია, მაგრამ ეს ორი რამ არ უნდა იქცეს ადამიანისთვის თვითმიზნად, არამედ საიმისო საშუალება უნდა გახდეს, რომ უფრო მაღალი მიზნისთვის მსახურება შეაძლებინოს მავანს. დღევანდელი სამყაროს „მკვიდრი“ წმინდა წყლის მატერიალისტად და მომხვეჭელად იქცა, განიძარცვა სულიერი ინტერესებისაგან და ხელოვნებაც კომერციის სამსახურში ჩააყენა. მას მსოფლმხედველობაც შესაბამისი აქვს — ნეოპოზიტივიზმი. ამის საშიშროებას მთელი XX საუკუნის მანძილზე გრძნობდნენ მოაზროვნეები და მწერლები, დღეს კი ყოველივე ამან ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ შემოფოთებას იწვევს. ზურაბ კაკაბაძე და თამაზ ბუაჩიძე სწორედ ცხოვრებაში მტკივნეულად შემოჭრილ ამ პრობლემაზე საუბრობენ.

— ზემოთ უკვე ახსენეთ გასული საუკუნის ორი დიდი ფილოსოფოსი და განუყრელი მეგობრები — მამათქვენი თამაზ ბუაჩიძე და ზურაბ კაკაბაძე.

— თამაზ ბუაჩიძე და ზურაბ კაკაბაძე მეგობრები და თანამოაზრეები იყვნენ, ორივე დახვეწილი შემოქმედი — ფილოსოფოსი იყო. მათი აზროვნების და წერის მანერა სულიერ დახვეწილობას ასხივებდა. ფილოსოფოსობა მათთვის მხოლოდ პროფესია კი არა, ბედისწერა და შინაგანი მოთხოვნილება გახლდათ. ბუნებრივია, ამიტომაც მათთან ურთიერთობა ინტერესს აღმიძრავდა არამარტო მე, არამედ იმ უამრავ ახალგაზრდას, რომელიც უნივერსიტეტში მათ ლექციებს ესწრებოდა.

— ახლა რაზე მუშაობთ, რა გეგმები გაქვთ?

— გამოსაცემი მაქვს თარგმანების წიგნი და სამომავლოდ ვამზადებ კიდეც.

ესაუბრა თამარ ჟურული



რაინერ მარია რილკე

შენთან თითქოს შინ ვარ...

შენთან თითქოს შინ ვარ,
საათი რეკს დინჯად,
თითქოს წარსულიდან.
ამიხსენი სიყვარული,
ოღონდ ჩუმიად, ფრთხილად.

ყვავილები ყვავიან
სადღაც კარის მიღმა.
ღამე სარკმელთან ფხიზლობს,
მოდის, ჩუმიად ვიყვით,
ასე ვერაფერს გვიცნობს!

...
თუნდაც მოგწონდეს შენი ყველაზე ღამაში ნატვრა,
და ყველა ნატვრა, რაც კი გქონია,
ცხოვრება — თუ მას სწორად გაუგებ —
ცხოვრება მოვა და შენს ყველა ნატვრას აჯობებს.

იყო და არა იყო რა...

იყო და არა იყო რა
რაინერ მარია რილკე.

ფოთლებს შეჰპარვიათ
სიყვითლე და ჭკნობა,
ელიან სიკვდილს.
იყო და არა იყო რა.

ნისლი მოსდებია
მთას და ხეობას;
გაპარულა გაზაფხული;
იყო და არა იყო რა.

გული საცეკა
სევდით და ტანჯვით.
სად გაქრა სიყვარული?
იყო და არა იყო რა...

მაშა კალეკო

მე და შენ

მე და შენ ჩვენ ვიყავით წყვილი
ორივე მათგანი ნეტარი მხოლოდითი
გვიყვარდა ერთმანეთი როგორც მე და შენ
და პაემანს ჰგავდა ჩვენი ყველა დღე
მე და შენ ჩვენ ვიყავით წყვილი
ორმოცი წელი მოწმეა ამის
გვიყვარდა ერთმანეთი ჭირსა და ღვინში
ჩვენი ქორწინება არ იყო შემთხვევითი
ვიყავით ნეტარი როგორც ღრუბელი და ქარი
რადგან ორი მხოლოდითი არ არის მრავლობითი.

უსათაურო...

როცა შინ მოხვალ, მოდი, ჩუმიად დავხუროთ კარი.
მძიმე დღე გვქონდა. დე, გარეთ დარჩეს.
დაე დიოდეს წვიმა, მშვიდი და წყნარი,
ჩვენ ერთადა ვართ. ცუდი რა უნდა მოხდეს?

დე, იოცნებონ სხვებმა ვარსკვლავთ ბრწყინვაზე.
ნათურის შუქიც მეყოფა შენთან.
ახლაც არ გჯერა, რომ ეგ შორეთი არ შეგისრულებს,
რასაც დაგპირდა?

გული გეტკინა? შემოდგომამ ნუთუ შეგვცვალა?
ჰო, დრომ ყველა ნატვრა გააცამტვერა.
თუ წრფელი გულით მიუყვები ცხოვრების შარას,
სინამდვილისთვის გინევს ბოლოს თვალის სწორება.

რა სიჩუმეა! დუმილს საათის ნიკნიკი არღვევს
და მარტოხე შრილებს ჩვენს ფანჯარასთან,
ყურს თუ დაუგდებ, გაიგონებ მუსიკის ჰანგებს,
ვიოლინოზე მოპენს უკრავს თითქოს ვიღაცა.

სისულელე ვთქვი. ნუთუ ისევ რაღაც წამომცდა?
(როგორც შენ იტყვი, რომანტიკის „რეციდივი“ მაქვს)!
ალბათ, გვერდით რომ გრანდ ჰოტელი ატლანტიკია,
ორკესტრი უკრავს უგემოვნო მუსიკას ახლა.

ეჰ, შენ ისევ მოუსვენრად ანყდები კედლებს,
ფიქრს მიეცემა და მე მარტო ვრჩები.
ახლა რომ ორი „მე“ არ იბრძოდეს ჩემში,
დავდუმდებოდი და ალბათ, გულშიც ჩაგიხუტებდი.

ისე ჩაივლის ეს საღამო, თითქოს არც იყო,
ბავშვს უფლება აქვს, თქვას: „მეტს აღარ ვიხსენებ!“
ისე დამალა შენთან ერთად ვითომ ცხოვრებამ,
სიმშვიდე ვპოვო, იმის ძალაც არ შემწევს ახლა.

ასა ვთქვამთ, უმიჯნოდ გახარაპული

მე მიხარია, რომ ღრუბლები ლურჯ ცას სერავენ,
რომ ხან ყინვაა, ხან წვიმა მოდის და ხან თოვლია.
მე მიხარია წელიწადის მწვანე დროები,
ველური ვარდი და აწნალები როცა ყვავიან.

მიხარია, რომ შაშვი გალობს, ფუტკარი ბზუის,
და რომ ირევა უამრავი კოლო და ბუზი,
თევზები დუმან, ბელურების ისმის ჟღერტული
და ვხედავ, ცისკენ როგორ მიფრინავს ბუშტი.

მე მიხარია, რომ მთვარე კვლავაც ანათებს ცაზე,
რომ დილაობით მზე ამოდის ისევ ახლიდან,
რომ შემოდგომას ზამთარი სცვლის,

ზამთარს — ზაფხული,
ნამდვილად მომწონს. ამ ყველაფერში ხომ ღრმა აზრია,

რომელსაც ვითომბრძენი ვერ ხვდებიან, რადგან
ფიქრობენ, გონებით ძალუძთ ყველაფრის ჭვრეტა!
მე მიხარია და ეს არის ცხოვრების აზრი.
და რომ ვარსებობ, უპირველესად ის მიხარია.

ჩემ შიგნით ყველაფერს აქვს თავის ადგილი:
გიზგიზებს ცეცხლი და ბზინავს სახლი.
ასეთ დღეებში — თითქოს ვინმემ მიაღდა კიბე —
შეგიძლია, რომ დედამიწიდან ახვიდე ცაში.

ასეთ დღეებში შეგიძლია — ვით დაგინესეს —
მოყვასი შენი შეიყვარო, ვით თავი შენი.
მე მიხარია, ამ სასწაულს და სილამაზეს
დღემდე ბოლომდე რომ ვერ ვეჩვენევი.

რომ ყოველი დღე საოცარი და ახალია!
მე მიხარია ის, რომ... რომ მე მიხარია.

თარგმნა ქეთევან ნიკოლაძე



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

